

**რობერტ კერ პორტერი და მისი ცნობები
საქართველოს შესახებ**

*ქართული თარგმანი გამოსაცემად მოამზადა, შესავალი,
შენიშვნები და საძიებლები დაურთო
გიორგი ხოსიაშვილმა*

ინგლისელმა მხატვარმა და დიპლომატმა რობერტ კერ პორტერმა რუსეთის საიმპერატორო კარის დახმარებით 1817–1820 წ.წ. კავკასიაზე გავლით აზიის ქვეყნებში იმოგზაურა. მან თავისი მოგზაურობის შთაბეჭდილებები ორ ტომად გამოცა. ინფორმაცია საქართველოს შესახებ შესულია მოგზაურის ნაშრომის პირველ ტომში. აქ არის მნიშვნელოვანი ცნობები ჩვენი ქვეყნის ბუნებრივ-გეოგრაფიული პირობების, აღმოსავლეთ საქართველოს არაერთი ქალაქის გარეგნული იერსახის, მოსახლეობის ისტორიული და თანამედროვე ყოფის, ქართველების ჩაცმულობის და ტრადიციების შესახებ. მოგზაურის ჩანაწერებს განსაკუთრებულ მნიშვნელობას სძენს ის ფაქტი, რომ ავტორი აღწერილი მოვლენების და ფაქტების თვითმხილველია. პორტერი ეყრდნობა მისი წინამორბედი მოგზაურების, ასევე თანამედროვე და წინა საუკუნეების ცნობილი ისტორიკოსების და გეოგრაფების თხზულებებს, ზეპირსიტყვიერ ვადმოცემებს. რობერტ კერ პორტერის ცნობები საქართველოს შესახებ ქართულ ენაზე პირველად ქვეყნდება და ვფიქრობთ, ის დახმარებას გაუწევს საქართველოს ისტორიის მკვლევრებს. ინგლისელი მოგზაურის ჩანაწერები დაინტერესებს ფართო მკითხველსაც.

При содействии Российского Императорского двора английский художник и дипломат Роберт Кер Портер 1817-1820 гг. проездом через Кавказ совершил путешествие по азиатским странам. Своим впечатлениям от этого путешествия он посвятил двухтомное издание. Сведения о Грузии содержатся в первом томе издания, который отображает весьма интересную информацию о природных и географических условиях нашей страны, о внешнем облике некоторых городов восточной Грузии, об исторической и современной жизни и быте проживающего здесь населения, о традиционном одянии грузин и их обычаях.

Особое значение записям путешественника придает тот факт, что автор сам является непосредственным очевидцем описанных явлений и событий. В своем труде Портер ссылается как на современных ему, так и творивших в предыдущих столетиях историков, географов и путешественников, на старинные сказания и предания.

Сведения Роберта Кера Портера о Грузии впервые публикуются на грузинском языке, и, нам думается, они окажут помощь исследователям истории Грузии. По нашему мнению, записи английского путешественника заинтересуют также и широкий круг читателей.

The English artist and diplomat Robert Ker Porter, with the help of Russian Imperial Majesty, travelled to Asian countries through the Caucasus in 1817-1820. He published impressions of his journey in two volumes. Information about Georgia is included in volume 1. In the work important accounts are given about country's natural and geographic conditions, cityscape of a number of East Georgian cities, history and social life of population, their clothing and traditions. The fact, that the author is an eyewitness of described facts and events, attaches to it more importance. Porter alludes to works of his predecessor travelers, as well as famous historians and geographers. The Accounts about Georgia by Robert Ker Porter are publishing for the first time, and we believe, that it will be useful for researchers of Georgian history. Non-specialist readers will also be interested in the accounts of the English traveler.

კორექტორი: მარიკა შერაზადიშვილი

ტექნიკური რედაქტორი: გიორგი ყაზიშვილი

მხატვარი, მოგზაური და დიპლომატი რობერტ კერ პორტერი

დიპლომატი, მოგზაური, მხატვარი და მწერალი რობერტ კერ პორტერი (ფსევდონიმი რეინოლდ სტეინკირკი) დაიბადა 1777 წლის 26 აპრილს დარემში, უილიამ პორტერის ხუთშვილიან ტრადიციულ ბრიტანულ ოჯახში. რობერტის მამა, უილიამი, 23 წელს ქირურგად მუშაობდა დრაგუნთა მე-6 ბატალიონში. იგი გარდაიცვალა 1779 წელს და დაკრძალულ იქნა წმ. ოსვალდში, დარემში.¹ მომავალი მხატვრის წინაპრები იყვნენ აგინკურტის ბრძოლის მონაწილე უილიამ პორტერი და როიალისტი ენდომიონ პორტერი. რობერტის დედა გახლდათ ჯეინ პორტერი (1745-1831), დარემის მკვიდრის – რობერტ ბლენკინსონის ქალიშვილი. ჯეინ პორტერი გარდაიცვალა ეშერში, სურეის საგრაფოში 86 წლის ასაკში. რობერტს ორი უფროსი ძმა ჰყავდა: უილიამ ოგილვიე პორტერი - ფლოტში ქირურგად მუშაობის შემდეგ, 40 წლის განმავლობაში ბრისტოლში ექიმის პროფესიას ემსახურებოდა, გარდაიცვალა 1850 წლის 15 აგვისტოს 67 წლის ასაკში და პოლკოვნიკი ჯონ პორტერი, რომელიც მანის კუნძულზე 1810 წელს 38 წლის ასაკში აღესრულა. რობერტს ორი დაც ჰყავდა - ჯეინ (1776-1850) და ანა-მარია (1780-1832) პორტერები.² ორივე მათგანი მწერალი იყო. რობერტმა სიყრმის წლები ედინბურგში გაატარა, სადაც დედამისი შვილებთან ერთად საცხოვრებლად 1780 წელს გადავიდა. მათი ოჯახი ძალზე ხელმოკლედ ცხოვრობდა. პორტერებს ძირითადად არმიაში მყოფი უილიამის მეგობ-

¹ <http://www.nasledie-rus.ru/podshivka/6412.php>; W. M. Armstrong, The many-sided world of Sir Robert Ker Porter, *The Historian*, #25, Washington, 1962, p. 36-58.

² <http://www.encyclopedia.com/article-1G2-2591307617/porter-anna-maria-17801832.html>.

რები ეხმარებოდნენ. ედინბურგში ცხოვრებისას რობერტი გაიტაცა ცნობილი მხატვრის - ფლორა მაკდონალდის ნამუშევრებმა. მან გადაწყვიტა, სამხედრო მხატვარი გამხდარიყო. 1790 წელს დედამ მომავალი შემოქმედი გამოიწიელ ბრიტანელ მხატვართან, ლონდონის სამეფო სამხატვრო აკადემიის პრეზიდენტთან – ბენჯამინ უესტთან წაიყვანა, რომელიც იმდენად აღფრთოვანდა რობერტის ნამუშევრებით, რომ მას სამეფო აკადემიის სომერსეტის სკოლაში რეკომენდაცია გაუწია. რობერტი 13 წლის ასაკში სამეფო აკადემიის სტუდენტი გახდა.³

პორტერის განსაკუთრებული მხატვრული ნიჭი მალე კიდევ უფრო შესამჩნევი გახდა. 1792 წელს მან მხატ-

³ S. C. Hutchison, *The Royal Academy Schools, 1768–1830*, Walpole Society, #38, 1960-62; porteris cxovrebisa da moRvaweobis Sesaxeb ix: Seccombe T., Robert Ker Porter, *Dictionary of National Biography*, London, 1896, XLVI, P. 190-192; Armstrong W.M. *The Many-sided World of Robert Ker Porter*, *The Historian*, 25. Pt. 1. Washington, 1962. P. 36-58; Dupouy W. Sir Robert Ker Porter's Caracas Diary. 1825-1842, Caracas, 1969; Barnett R.D. Sir Robert Ker Porter — Regency Artist and Traveller Iran, 1972. Vol. 10; Anketil M.D.I. *The Silver Palette*, Lantern, 1978, July, P.72-70; Ренне Е. П. Роберт Кер Портер в России, *Труды Государственного Эрмитажа* 25, 1985, С.105-109; Васильева Н. Е., *Альбом Р. Кер Портера с рисунками древнейших памятников скульптуры и архитектуры*, Эрмитажные чтения 1986-1994 гг. памяти В.Г. Луконина, СПб., 1995. С. 246-247; Vasileva N.E., *About The History of Sir Robert Ker Porter's Album with his sketches of Achaemenid and Sassanian monuments*, *Achaelogische Mitteilungen aus Iran*. Berlin, 1994. Bd 27. S. 339-348; Renne E. *British artists in Russia in the first half of the nineteenth century*, *British art treasures from Russian Imperial collections in the Hermitage*, Ed. by B. Allen and L. Dukelskaya. New Haven & London, 1996. P. 104-115; Ренне Е.П., *Британские художники в России в первой половине XIX века, С берегов Темзы — на берега Невы. Шедевры из собрания британского искусства в Эрмитаже*, Под ред. Б. Аллена и Л. Дукельской, СПб., 1997. С.104-115; Губер К.П., *Три картины для Главного Адмиралтейства, Россия-Англия. Страницы диалога. Краткое содержание докладов V Царскосельской научной конференции*, СПб., 1999. С. 113-116;

ვართა საზოგადოებისაგან ბიბლიური პერსონაჟის – „ანდორელი ჯადოქრის“ შესრულებისათვის ვერცხლის პალიტრა მიიღო. რობერტ კერ პორტერის ნამუშევრები იმ დროისათვის ცნობილი იყო ფსევდონიმით – რეინოლდ სტეინკირკის სახელით. თექვსმეტი წლის ასაკში მან შოდერიჩის ეკლესიის საკურთხეველი მოხატა, 1794 წელს კი რომის კათოლიკური ეკლესიის სამლოცველოსთვის ქალაქ პორტსმუტში იესო ქრისტეს მიერ ქარიშხლის დაცხრომის სცენა შეასრულა. 1799 წელს პორტერმა კემბრიჯში წმინდა იოანეს კოლეჯში შექმნა ნახატი „უდაბნოში მლოცველი წმინდა იოანე“. 1799 წელს რობერტ კერ პორტერი დებთან – ჯეინთან და ანა-მარიასთან ერთად ლონდონში ცხოვრობდა. მათი ოჯახი ლეიკერსკვერზე მდებარე საცხოვრებელში დაბინავდა, სადაც ადრე სამეფო სამხატვრო აკადემიის დამფუძნებელი და პირველი პრეზიდენტი ჯოშუა რენოლდსი სახლობდა. ამ სახლში თავს იყრიდნენ ცნობილი მხატვრები და ლიტერატორები, მათ შორის: ისტორიული ფერმწერი და პორტრეტისტი ბენუამინ ვესტი, მოქანდაკე და მხატვარი ჯონ ფლიქსმანი, ჯ. რეინოლდსის მოწაფე, – ხელოვნებათმცოდნე ჯოზეფ ნორკოტი, პოლიტიკური პამფლეტების ცნობილი ავტორი და უპოვართა საკვირაო სკოლის დამფუძნებელი ჰანა მური.⁴

რობერტი მხატვართა კლუბის წევრი გახდა. ამ დროისათვის ის უკვე აღიარებული შემოქმედი იყო. ნიჭიერ ხელოვანს ასეთი წარმატება სამხედრო ისტორიისადმი მიძღვნილმა ბატალურმა კომპოზიციებმა მოუტანა. აღსანიშნავია, რომ XVIII საუკუნის ბოლოს ინგლისში ფართოდ გავრცელდა მხატვარ რობერტ ბარკერის ფართო ფორმატის ფერწერული პანორამები. მან პირველად

⁴ Ренне Е., Художник сэр Роберт Кер Портер в России, <http://www.nasledie-rus.ru/podshivka/6412.php>.

1780 წელს წარმოადგინა „ედინბურგის პანორამა“, რომელიც 360⁰-იანი სრული მიმოხილვის საშუალებას იძლეოდა. მას შემდეგ სპრინგ-გარდენზე მდებარე დიდ დარბაზში და სტრენდზე მდებარე „ლისეუმის“ თეატრის შენობაში მუდმივად ეწყობოდა ამ მიმართულების ფერმწერთა ნამუშევრების ჩვენებები. ამ მიმართულების მიმდევრები ფართო ფორმატში ასახავდნენ ქალაქის ხედებს, საზღვაო ბატალიებს, ასევე - სხვადასხვა სამხედრო ბრძოლათა პანორამებს. 1800 წლის 17 აპრილიდან 1801 წლის 10 იანვრამდე „ლისეუმში“ გამოფენილმა რობერტ კერ პორტერის პირველმა პანორამამ „იერიში სერინგ-პატამაზე“ საზოგადოებაზე წარუშლელი შთაბეჭდილება მოახდინა. ნამუშევარი 200 კვ. მეტრს შეადგენდა და წარმოდგენილი იყო ადამიანის სიმაღლის 700-მდე ფიგურის სცენური ნახატი. ბენჯამენ ვესტმა მას „სამყაროს საოცრება“ უწოდა. პანორამის ჩვენებამ ლონდონში კერ პორტერს შემოსავალი გაუჩინა. ჩვენებას არანაკლები წარმატება ჰქონდა: დუბლინში, ლივერპულში, პლიმუტში, გლაზგოში და სხვ. 1792-1832 წლებში პორტერმა არაერთი ნახატი შეასრულა, მათ შორის: „ლოდის ბრძოლა“ (1803), „1799 სუვოროვის მიერ ფრანგების დამარცხება ეშმაკის ხიდთან“ (1805), „აგინკურტის ბრძოლა“, „ალექსანდრიის ბრძოლა“ და სხვ.⁵

პორტერმა 1803 წელს რამდენიმე ნახატი შეასრულა თომას მურის „ანაკრეონისათვის“. ეს ნახატები ჯონ ვენდრამინიმ ნაპოლეონის საწინააღმდეგოდ მიმართული გრაფიურების სერიისათვის გამოიყენა. 1793-1798 წლების ისტორიული მოვლენების ყველაზე ტრაგიკული ეპიზო-

⁵ Ренне Е., Художник сэр Роберт Кер Портер в России, <http://www.nasledie-rus.ru/podshivka/6412.php>; R. Lister, British Romantic art, 1973, #8-9; B. Comment, The panorama, 1999.

დები – მასობრივი მკვლევლობები იაფესა და ტულონში საფუძვლად დაედო პორტერის ოთხ ნახატს.⁶

1803 წელს პორტერმა ვესტმინსტერის მილიციაში დაიწყო სამსახური. 1805 წელს მან კაპიტნის ჩინი მიიღო, თუმცა ოჯახის დაჟინებული თხოვნის გამო მხატვარს უარის თქმა მოუხდა რეგულარული ჯარისკაცის პროფესიაზე, რაც პორტერს ყველაზე მეტად იზიდავდა. ამ დროისათვის პორტერის, როგორც მხატვრის სახელი, პოპულარული იყო არა მარტო დიდ ბრიტანეთში, არამედ სხვა ქვეყნებშიც, რასაც ადასტურებს ის ფაქტი, რომ 1805 წელს პორტერმა რუსეთის იმპერატორის, ალექსანდრე I მიწვევა მიიღო. საიმპერატორო კარის შეკვეთით მას უნდა შეესრულებინა ისტორიული ნახატები სანკტ-პეტერბურგში არსებული საადმირალო უწყების დარბაზისათვის. როგორც ჩანს, საიმპერატორო კარისათვის ცნობილი იყო მისი ბატალური პანორამები, სადაც სუფოროვისა და ბაგრატიონის ხელმძღვანელობით რუსული არმიის სიმამაცე და გამირობა იყო გამოსახული. მხატვარი ალექსანდრე I მიწვევას დათანხმდა და ის დიდ ბრიტანეთში მყოფი რუსეთის ელჩის – ს. რ. ვორონცოვის რეკომენდაციით პეტერბურგში გაემგზავრა. ვორონცოვის ერთ-ერთი სარეკომენდაციო წერილი, რომელიც პორტერს

⁶ გამოთქმულია მოსაზრება, რომ პორტერის ნახატების მიხედვით შექმნილ გრაფიურებს შეეძლოთ გავლენა მოეხდინათ გოიას გრაფიკულ სერიალზე „ომის საშინელებანი“. მოსაზრება პორტერის შემოქმედების მკვლევარს, პროფ. ჰომბრინს ეკუთვნის. Ренне Е., Художник сэр Роберт Кер Портер в России, <http://www.nasledie-rus.ru/podshivka/6412.php>.

პორტერის მიერ შესრულებული ნახატების უდიდესი ნაწილი დაცულია ბრიტანეთის მუზეუმში, ისინი საჩუქრად პორტერის დამ, ჯეინმა გადასცა. იხ. R. D. Barnett, Sir Robert Ker Porter, *British Museum Society Bulletin*, 7, June, 1971.

ეხებოდა, რუსეთის საზღვაო მინისტრს – პ. ვ. ჩიხაგოვს (1767-1849) გადაეცა. იგი რუსულ პოლიტიკურ წრეებში ცნობილი იყო, როგორც ბრიტანული კულტურის დიდი მოტრფიალე. ჩიხაგოვს უშუალო ურთიერთობა ჰქონდა საადმირალო კოლეგიის საქმეებთან და მან დახმარება გაუწია ბრიტანელ მხატვარს. სწორედ ჩიხაგოვმა გადაიტანა ერმიტაჟიდან საადმირალო უწყებაში (საადმირალო შენობის მთავარი დარბაზის რეკონსტრუქციის შემდეგ) პორტერის ნახატები. პორტერი რუსეთიდან სამშობლოში წერილებს გზავნიდა. ერთ-ერთ წერილში იგი აღნიშნავდა: „იმპერატორმა დამდო პატივი და მოიწონა ჩემი ნახატები, რომლებიც ახლად მშენებარე საადმირალო უწყების შენობას დაამშვენებენ. რა წუთს ამ დიდებული დარბაზის რეკონსტრუქცია დამთავრდება, ისინი დიდი საბჭოს დარბაზში განთავსდებიან, მისი პროექტი ჩინებულაა, და რადგან კედლებზე უნდა აისახოს ჩემი შრომის შედეგები, მე შევეცდები შეგიქმნათ გარკვეული წარმოდგენა იმის თაობაზე, რის წარმოჩენასაც ემსახურება ჩემი ნამუშევრები.“⁷

სანკტ-პეტერბურგში ყოფნისას მან რუსი დიდგვაროვნის, თეოდორ შერბატოვის ქალიშვილის – მარიას (1780-1827) კეთილგანწყობა დაიმსახურა. მალე მათ შორის რომანი გაიბა, თუმცა წყვილის ურთიერთობას იმ დროის პოლიტიკურმა მოვლენებმა ხელი შეუშალა. პორტერს სასწრაფოდ მოუხდა რუსეთის დატოვება. რუსეთის მეფემ ნაპოლეონ ბონაპარტთან 1807 წელს ხელი მოაწერა ტილზიტის ხელშეკრულებას, რამაც რუსეთი დიდი ბრიტანეთის მოწინააღმდეგე საფრანგეთთან დააკავშირა. რობერტ კერ პორტერმა 1807 წელს ფინეთის გავლით რუსეთი დატოვა და შვედეთში გადავიდა. იგი ვარაუდობდა,

⁷ Ренне Е., Художник сэр Роберт Кер Портер в России, <http://www.nasledie-rus.ru/podshivka/6412.php>.

რომ შვედეთში გარკვეული დროით შეეცუნებოდა და შემდეგ ისევ რუსეთში დაბრუნდებოდა. ბრიტანელმა მხატვარმა ლოდინში ოთხი წელი დაჰყო. მან საკუთარ თავზე გადაიტანა ომის საშინელება. 1808 წელს რობერტ კერ პორტერი ჯონ მურთან ერთად ესპანეთში გაემგზავრა. იგი პირინეის ნახევარკუნძულზე იბრძოდა. მხატვარმა მოგზაურობისას არაერთი ჩანახატი შეასრულა. ნაპოლეონის ფლოტის წინააღმდეგ გამოჩენილი მამაცობისათვის კორუნის და ვილმეირის გმირს 1806 წელს შვედეთის მეფემ გუსტავ IV რაინდის წოდება უბოძა. პორტერი გუსტავ IV გაწეული სამსახურისათვის შვედეთისა და წმინდა იოაკიმ ვურტემბერგელის ორდენებითაც დაჯილდოვდა. 1809 წელს პორტერმა ოთხ ტომად გამოსცა „მოგზაურობისას შესრულებული ნამუშევრები რუსეთსა და შვედეთში 1805-1808 წლებში“. Travelling sketches in Russia and Sweden, During the years 1805, 1806, 1807, 1808, Philadelphia: Published by Hopkins and Earle, 1809.

მოგზაურობის შთაბეჭდილებები პორტერის მიერ არის ილუსტრირებული. 1810 წელს მან გამოაქვეყნა „წერილები პორტუგალიიდან და ესპანეთიდან.“ Letters from Portugal and Spain, written during the march of the British troops under Sir John Moore ... By an officer, London, Longman, Hurst, Rees, and Orme, 1809. 1811 წელს რუსეთის იმპერატორის მიწვევით პორტერი კვლავ რუსეთში ჩავიდა. 1812 წლის 7 თებერვალს იგი დაქორწინდა თეოდორ შერბატოვის ქალიშვილზე. ქორწინების შემდეგ მისი მეუღლე მარია შერბატოვი ლედი პორტერად იწერებოდა.⁸

რუსეთში ნაპოლეონის არმიის შეჭრამ ხელი შეუშალა ახლადდაქორწინებულთა ინგლისში გამგზავრებას. მხოლოდ 1813-1814 წლებში მოახერხა ლედი პორტერმა მეუღლის სამშობლოს მონახულება. რობერტ პორტერს

⁸ Архив кн. Воронцова, М., 1882, Т. 23, С. 91, №41.

ბრიტანეთის მთავრობამ რუსეთში მცხოვრები თანამემამულეების სიცოცხლისა და უსაფრთხოების მეურვის რწმუნება უბოძა. ამან საშუალება მისცა მხატვარს, 1812 წლის ისეთი ისტორიული მოვლენების მოწმე გამხდარიყო, როგორიცაა: ნაპოლეონის არმიის რუსეთის ტერიტორიაზე შეჭრა, ბოროდინოს ბრძოლა, მოსკოვის გადაწვა და შემდეგ ნაპოლეონის განდევნა მოსკოვიდან. ამ მოვლენების შესახებ პორტერმა შექმნა წიგნი „მოთხრობა 1812 წელს რუსეთში ჩატარებული კამპანიის შესახებ“. წიგნს თან ერთვოდა კუტუზოვის გრავირებული პორტრეტი და ორი რუკა. აღნიშნული წიგნი ფრანგულ და გერმანულ ენებზეც ითარგმნა და რამდენჯერმე გამოიცა. რუსეთის ეროვნულ ბიბლიოთეკაში ინახება ამ წიგნის ინგლისური ვარიანტის ერთი ეგზემპლარი, რომელიც ოქროთი მოვარაყებულ ყდაშია ჩასმული. ეს წიგნი იმპერატორ ალექსანდრე I ავტორმა გადასცა. 1813 წელს იმპერატორი და მისი მეუღლე მარია ფეოდორის ასული პორტერის ქალიშვილის – მარიას ნათლიები გახდნენ. ამის აღსანიშნავად იმპერატორმა პატარა პორტერს ბრილიანტის ყელსაბამი აჩუქა.⁹

1813 წელს რობერტ კერ პორტერს ინგლისის მეფემ გეორგ IV თავის რეზიდენციაში, კარლტონ-ჰაუსში რაინდის წოდება უბოძა. რუსულ არისტოკრატიულ ოჯახთან დანათესავების შემდეგ პორტერი მიღებულ იქნა რუსეთის უმაღლეს სამხედრო და დიპლომატიურ წრეებში. მხატვარი და დიპლომატი კარგად ერკვეოდა 1812-1813 წლების

⁹ გადმოცემის თანახმად, ა. ს. პუშკინმა მარია რობერტის ასულს უძღვნა თავისი ლექსი „ვსვამ მერის სადღეგრძელოს“. მარია მეგობრობდა პუშკინთან დაახლოებულ დებთან – მ. თ. და ნ. ო. სმირნოვებთან. Ренне Е., Художник сэр Роберт Кер Портер в России, <http://www.nasledie-rus.ru/podshivka/6412.php>.

სამხედრო-პოლიტიკურ მოვლენებში, რამაც ასახვა პპოვა მისი შთაბეჭდილებების კრებულში¹⁰.

1813 წელს პორტერი სამშობლოდან რუსეთში გაემგზავრა. 1817 წელს მან დაგეგმა მოგზაურობა სანკტ-პეტერბურგიდან თეირანისაკენ. აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ 1815 წელს ბრიტანეთის კონსული სპარსეთში სერგორ უოზლი თეირანიდან ლონდონში ბრუნდებოდა, ინგლისელმა დიპლომატმა გავლით მოინახულა სანკტ-პეტერბურგი. იგი შეხვდა ა. ოლენინს – საიმპერატორო საჯარო ბიბლიოთეკის დირექტორს და სამხატვრო აკადემიის პრეზიდენტს. უოზლი ა. ოლენინს ოქროს ბეჭედზე სპარსულად ამოტვიფრული დაზიანებული წარწერის ამოკითხვაში უნდა დახმარებოდა. სანკტ-პეტერბურგში ყოფნისას ბრიტანელმა კონსულმა რობერტ კერ პორტერიც მოინახულა. კონსულმა ინგლისელ მხატვარს მეტად საინტერესო ცნობები მიაწოდა სპარსეთის შესახებ, რამაც პორტერს ირანში მოგზაურობის სურვილი კიდევ უფრო გაუძაფრა. გარდა ამისა, მათ იმსჯელეს სპარსეთში პორტერის დიპლომატიურ სამსახურში მოწყობის შესახებ, თუმცა პორტერმა სპარსეთში დიპლომატიური თანამდებობა ვერ მიიღო. პორტერის რუსეთში მოღვაწეობის მეკლევარი ე. რენე გამოთქვამს მოსაზრებას, რომ პორტერს სპარსეთის მონახულების იდეა შესაძლოა გასჩენოდა 1815-1816 წლებში პეტერბურგში სპარსეთის დელეგაციის ყოფნის დროს. 1815 წელს საიმპერატორო კარზე ჩასულ სპარსულ დელეგაციას მირზა აბდულ ჰასან-ხანი ხელმძღვანელობდა, რომელსაც რუსეთის ხელისუფლე-

¹⁰A narrative of the campaign in Russia, during the year 1812, By Sir Robert Ker Porter, Baltimore, E. J. Coale, 1814; ix. აგრეთვე, A narrative of the campaign in Russia, during the year 1812, By Sir Robert Ker Porter. To which is added, A narrative of the events which followed Buonaparte's campaign in Russia, to the period of his dethronement, By William Dunlap, Hartford, Andrus and Starr, 1815.

ბასთან სასაზღვრო საკითხები უნდა გაერკვია. ამ მოსაზრებასთან ერთად ე. რენე აღნიშნავს: „ვინ იცის, იქნებ ის (რობერტ კერ პორტერი — გ.ს) ბრიტანული მთავრობის დავალებით მოქმედებდა, მთავრობისა, რომელსაც გააჩნდა მუდმივი ინტერესი სპარსეთისა და ინდოეთის მისადგომებთან მდებარე ოლქებში არსებული ვითარების გარკვევისა.“¹¹

ჩვენი აზრით, პორტერმა ბრიტანეთის მთავრობის საიდუმლო დავალებით იმოგზაურა სპარსეთში. თუ რა დავალება ჰქონდა, ამაზე ქვემოთ შევხერდებით. სპარსეთის დელეგაციის ხელმძღვანელთან პორტერმა მოლაპარაკება გამართა. აბდულა ჰასან-ხანმა მისი მოგზაურობის შესახებ ირანში წერილებიც გაგზავნა. ამას ადასტურებს ის ფაქტი, რომ, როდესაც თავრიზში პორტერი სპარსეთის შაჰის მემკვიდრეს შეხვდა, აბას მირზა მის შესახებ კარგად იყო ინფორმირებული. ამასთან დაკავშირებით პორტერი წერდა: „მიმიღო (აბას მირზამ — გ.ს.) როგორც ძველი მეგობარი, რადგან იგი კარგად მიცნობდა მისთვის მიწოდებული მოხსენებითა და პატაკებით.“¹² პორტერის ექსპედიციის განხორციელებას დიდად შეუწყო ხელი ალექსი ნიკოლოზის ძე ოლენინმა (1764-1843). სწორედ მისი დამსახურება იყო, რომ პორტერის სპარსეთში მოგზაურობას სამეცნიერო ექსპედიციის სტატუსი მიენიჭა. ირანში ყოფნისას, როდესაც პორტერი სპარსულ ძეგლებზე მუშაობდა, იგი ა. ნ. ოლენინის მითითებს ასრულებდა.¹³

¹¹ Ренне Е., Художник сэра Роберт Кер Портер в России, <http://www.nasledie-rus.ru/podshivka/6412.php>.

¹² Ibidem.

¹³ Васильева Н.Е., Роль А.Н.Оленина в определении научной цели экспедиции Р. Кер Портера в Иран, Центральная Азия от Ахеменидов до Тимуридов: археология, история, этнология, культура, СПб., 2005, с. 400.

ექსპედიციის დასრულების შემდეგ ა. ნ. ოლენინმა რუსეთის სასულიერო საქმეთა და სახალხო განათლების მინისტრს სპეციალური ანგარიში წარუდგინა და პორტერის სამეცნიერო ექსპედიციას ძალზე მაღალი შეფასება მისცა. ანგარიშში ა. ნ. ოლენინი აღნიშნავდა: „თქვენი ბრწინვალებისათვის ცნობილი ინგლისელი კერ პორტერის რთული, გაბედული და მეცნიერებისა და ხელოვნებისათვის მეტად სასარგებლო წამოწყება – მოგზაურობა სამხრეთ სპარსეთში მეტად წარმატებით იქნა ჩატარებული“. ¹⁴ ირანში წასვლამდე რობერტ კერ პორტერმა მოიძია სპარსული ენის სახელმძღვანელო, სპარსულ-ინგლისური ლექსიკონი. ამ საქმეში მას დახმარებას უწევდა თავისი და ჯეინი. ¹⁵

ირანში ჩასულ პორტერს მასპინძლობას უწევდა აბდულა ჰასან-ხანი. მოგზაური წერდა: „ჩემი ძველი ნაცნობი აბდულა ჰასან-ხანი, რომელიც მისი ელჩობის დროს პეტერბურგში გავიცანი, თავაზიან მასპინძლობას მიწევდა მისი მბრძანებლის დედაქალაქში.“ ¹⁶

ირანში განხორციელებული მოგზაურობის ამსახველი დღიურები პორტერმა ორ ნაწილად გამოიცა. მოგზაურობის დროს მან 200-ზე მეტი ნახატი შეასრულა. მისი 87 ნახატის მიხედვით ი. კლარკმა გრაფიურები შექმნა და პორტერის წიგნს დაურთო. სპარსეთში მოგზაურობის დროს შესრულებული ნახატების დიდი ნაწილი პორტერის გარდაცვალების შემდეგ მისმა დამ – ჯეინმა ბრიტანეთის მუზეუმს გადასცა. საისტორიო მეცნიერებისათვის განსაკუთრებით ფასეულია ის ნამუშევრები, რომლებზეც უძველესი ძეგლები და არქეოლოგიური ნაშთებია აღბეჭდილი. დაგეგმილი ერთი წლის ნაცვლად სპარსეთში

¹⁴ Там же, с. 401.

¹⁵ Там же, с. 400.

¹⁶ Ренне Е., Художник сэра Роберт Кер Портер в России, <http://www.nasledie-rus.ru/podshivka/6412.php>.

პორტერმა სამი წელი დაჰყო. თეირანში 1819 წელს პორტერს აუდიენცია ჰქონდა ირანის შაჰთან – ფათჰ ალისთან. ინგლისელმა მხატვარმა შაჰის პორტრეტი შეასრულა და ირანის ხელისუფლისგან ჯილდოდ ლომისა და მზის ორდენი მიიღო.¹⁷ რა იყო ბრიტანელი მოგზაურის, მხატვრის და დიპლომატის სპარსეთში მოგზაურობის ნამდვილი მიზანი? ერთი შეხედვით, უძველესი ცივილიზაციის და კულტურის მქონე ქვეყანაში მოგზაურობით მხატვრის დაინტერესებაში უჩვეულო არაფერია, თუმცა, როგორც მისი ერთ-ერთი წერილიდან ირკვევა,¹⁸ იგი სპარსეთში ბრიტანეთის მთავრობის საიდუმლო დავალებას ასრულებდა.

XVIII საუკუნის ბოლოს ახლო და შუა აღმოსავლეთის ქვეყნებს განსაკუთრებული მნიშვნელობა ეკისრებოდათ საერთაშორისო პოლიტიკაში. აღნიშნულ რეგიონში ევროპის სახელმწიფოები თავიანთი გავლენის მოპოვებას ცდილობდნენ და მათ, ცხადია, აღმოსავლურ პოლიტიკაში დასაყრდენი ესაჭიროებოდათ. ამ მხრივ ირანს განსაკუთრებული ფუნქცია ჰქონდა. თავისი გეოგრაფიული მდებარეობით ის ინდოეთს, ასევე შუა აზიის და კავკა-

¹⁷ აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ თავრიზში ბრიტანელი მოგზაური ქართლ-კახეთის მეფის, ერეკლე II ვაჟს, ალექსანდრე ბატონიშვილს შეხვდა, რომლის შესახებაც მან თავის თხზულებაში გარკვეული ჩანაწერი გააკეთა, იხ. სოსიაშვილი გ., რობერტ კერ პორტერის ცნობები ალექსანდრე ბატონიშვილის პოლიტიკური მოღვაწეობის შესახებ, კრებ. ქუთაისური საუბრები, ქუთაისი, 2013, გვ. 45.

¹⁸ აღნიშნულ წერილს 1994 წელს ოქსფორდში, ბოდლეანის ბიბლიოთეკაში მიაკვლიეს. წერილის ადრესატი უცნობია, თუმცა შინაარსიდან ჩანს, რომ იგი ინგლისის უმაღლესი პოლიტიკური წრის ერთ-ერთი წარმომადგენლის სახელზეა დაწერილი. Ренне Е., Художник сэр Роберт Кер Портер в России, <http://www.nasledierus.ru/podshivka/6412.php>; Notes by Sir Robert Ker Porter, Bodlean Library, Modern papers Library, Ms. Eng. Hist. P. 32-34.

სიის ქვეყნებს ემეზობლებოდა და სწორედ ამიტომ ირანი ევროპული სახელმწიფოების, კერძოდ, ინგლისის ყურადღების ცენტრში მოექცა. ეს განსაკუთრებით რუსეთ-ირანის დაპირისპირების შემდეგ გახდა თვალშისაცემი.¹⁹ სწორედ ეს პერიოდი შეარჩია რობერტ კერ პორტერმა სპარსეთში სამოგზაუროდ. მხატვრის და მოგზაურის სახით შენიღბულ დიპლომატს ინგლისის უმაღლესი პოლიტიკური წრეებისათვის ირანში არსებული პოლიტიკური ვითარების შესახებ საიდუმლო ინფორმაცია უნდა მიეწოდებინა და დიდი ბრიტანეთის მესვეურთათვის შემდგომი მოქმედებებისათვის გარკვეული რეკომენდაციებიც მიეცა. პორტერის საიდუმლო მისიის შესახებ ნათელ წარმოდგენას გვიქმნის მხატვრის მიერ უცნობი ადრესატისადმი გაგზავნილი ზემოთ ნახსენები წერილი. წერილში პორტერი საუბრობს ირანში და, ზოგადად, აზიის ქვეყნებში არსებული პოლიტიკური მდგომარეობის შესახებ. მისი გადმოცემით რუსეთის გააქტიურება კასპიისპირეთში სერიოზულ საფრთხეს უქმნიდა ბრიტანეთის ინტერესებს. ინგლისის უმაღლეს პოლიტიკურ წრეებს პორტერი გადაამწვევტი მოქმედებისკენ მოუწოდებდა: „იმის გამო, რომ მე გარკვეულწილად გამაჩნია არაჩვეულებრივი კავშირ-ურთიერთობები მეზობელ, დიდ ჩრდილო იმპერიასთან, მეძლეოდა განსაკუთრებული უპირატესობა მრავალი დიპლომატიური აგენტის წინაშე. ამ უპირატესობის წყალობით მომეცა შესაძლებლობა მსოფლიოს ამ ნაწილში რუსეთის იმპერიის შეხედულებების შესახებ სათანადო ინფორმაციის მოპოვებისა. ზუსტად ეს ვითარება მაიძულებ-

¹⁹ ეს დაპირისპირება რუსეთ-ირანის 1804-13 და 1826-28 წწ. ომებში გადაიზარდა. ცნობილია ის ფაქტიც, რომ 1829 წელს თეირანში რუსეთის დიპლომატიური მისიაც დაარბიეს, რასაც ირანში რუსეთის ელჩის – ა. ს. გრიბოედოვის სიცოცხლე ემსხვერპლა.

ბს გითხრათ შემდეგი: ჩემი შეტყობინება უნდა განიხილე-
ბოდეს, როგორც უმკაცრესად საიდუმლო, თუნდაც იმ
წყაროების პატივსაცემად, საიდანაც ის მომდინარეობს.
მოკლედ რომ ვთქვათ, სპარსეთში ჩემი ყოფნისას მე ყო-
ველდღიურად, თუ უფრო ხშირად არა, ვიყავი მოწმე იმი-
ნა, თუ როგორი გავლენით სარგებლობს რუსეთი სპარ-
სეთის სახელმწიფოზე, თუ როგორ არის ის გაბატონებუ-
ლი აქ, მის საზღვრებზე. უეჭველია, რომ ამჟამად ამ
მდგომარეობით სარგებლობა რუსეთს დაუყოვნებლივ აძ-
ლევს ყველა წინააღმდეგობის იოლად გადალახვის შე-
საძლებლობას და მას შეუძლია მცირე სისხლის, ან სა-
ერთოდ სისხლის დაღვრის გარეშე გახდეს სპარსეთის
მდიდარი ჩრდილო პროვინციების ბატონ-პატრონი. ერთი
ასეთი მიზეზი (რომლისთვისაც თუ ეს აუცილებელი იქ-
ნება, საბაბი ყოველთვის მოინახება) და დასრულდება
ჩვენი გავლენა სპარსეთში... მაგრამ როდესაც ჩვენ განვი-
ხილავთ არსებით მდგომარეობას სპარსეთში და მის საზ-
ღვრებზე სიტუაციის განმკარგულებელი დიდი იმპერიის
ბუნებრივ ზრახვებს, წარმოუდგენლად არ მიგვაჩნია, რომ
შეიძლება სულ მალე ყოფილი მძლავრი ქვეყანა ამჟამინ-
დელის (რუსეთის - გ. ს) სრულ განკარგულებაში აღ-
მოჩნდეს. მაშინ (ეს ჩემი პირადი აზრია) შეიძლება იყოს
და ალბათ ასე იქნება კიდევ ჩვენი აღმოსავლური იმპე-
რიის შერყევის მცდელობა. ამჟამინდელი შაჰის სიკვდი-
ლის შემთხვევაში **ქართულ არმიას საგსებით შესწევს**
უნარი, სპარსეთის ტახტზე აიყვანოს ნებისმიერი ის, ვის-
ზეც ზემოდან (რუსეთის საიმპერატორო კარზეა საუბარი
- გ. ს) მიუთითებენ.²⁰

პორტერი ძალზე საინტერესო ანალიზს აკეთებდა
რუსეთის მიერ აზიურ სახელმწიფოებში განხორციელე-

²⁰ Ренне Е., Художник сэр Роберт Кер Портер в России,
<http://www.nasledie-rus.ru/podshivka/6412.php>.

ბული პოლიტიკის შესახებ. ბრიტანელი დიპლომატის ინფორმაციით, კავკასიის ქვეყნებს, კერძოდ, საქართველოს განსაკუთრებული დატვირთვა ჰქონდა: „თურქმენეთი ცდილობს დაიყოლიოს ზოგიერთი მეზობელი ბელადი, რომ მათ გარანტირებულად უზრუნველყონ რუსეთის ქარავნების უსაფრთხო გადაადგილება დიდი და პატარა ბუხარიდან, ან მეზობლად მდებარე სათათრეთიდან და ქაშმირიდან და სხვ. სამხრეთ სანაპიროზე ახალ დასახლებებს გააჩნიათ დიდი მნიშვნელობა. მიუხედავად იმისა, თუ რისი მომტანნი იქნებიან კომერციის დარგში, ისინი წარმოადგენენ სამხედრო გეგმის ნაწილს, რაც თავის მხრივ მომავალ დაპყრობებთან არის დაკავშირებული. ამ დასახლებებიდან საქონელი გემებით იგზავნება მტკვრისა და ალაზნის შესართავამდე, სადამდეც მიზაშენწონილია ნაოსნობა და ხელსაყრელია დატვირთვა-გადმოტვირთვის თვალსაზრისით. საქონელი აქედან კარგად გამართული გზების გავლით მტკვრის სანაპიროს გასწვრივ ჩადის ტიფლისამდე, შემდეგ გზა ქუთაისის გავლით კვეთს იმერეთს და მიემართება რიონის შესართავთან, შავ ზღვაზე მდებარე ახალ, აყვავებულ პორტამდე (მოგზაური, სავაზრაუდოდ, უნდა გულისხმობდეს რედუტ-კალეს, იმავე ყულევის ნავსადგურს – გ. ს.). აქ საქონელი იტვირთება გემებზე და იგზავნება ოდესაში, ტაგანროგში და სხვ. მე უკვე ვახსენე, რომ ქართული საზღვარი რუსეთის მხრიდან რამდენიმე ადგილას ასუსტებს სპარსეთს.“²¹

მიუხედავად იმისა, რომ პორტერი დამაჯერებლად აყალიბებს თავის შეხედულებებს, იგი გარკვეული სიფრთხილით წერს: „მე არ ვიღებ ჩემს თავზე სპარსეთში ჩვენი ოფიციალური წრეების წარმომადგენლების უფლებების დაჩემებას, მე ვხელმძღვანელობ მხოლოდ ჩემი პირა-

²¹ Ренне Е., Художник сэр Роберт Кер Портер в России, <http://www.nasledie-rus.ru/podshivka/6412.php>.

დი დაკვირვებებით, რომელთა მიხედვით კიდევ ერთხელ მინდა ხაზი გავესვა შემდეგს – მიუხედავად იმისა, რომ შაჰს და მის შვილს არ გააჩნიათ უშუალო კავშირი ინგლისის ინტერესებთან, ჩვენმა სახელმწიფომ ამჟამად არ უნდა უგულებელყოს შაჰი და მისი შვილი, როგორც პოლიტიკური ძალა, არ უნდა დაკარგოს ისინი პოლიტიკური ხედვის არეალიდან, რამეთუ არიან სხვები, ვინც დაინტერესებულნი არიან საწინააღმდეგო პოლიტიკის განხორციელებაში.“²²

წერილის შინაარსის გარდა, პორტერის საიდუმლო აგენტობას ადასტურებს მხატვრის მიერ სამშობლოში გაგზავნილი ტექსტის ბოლო წინადადება, იგი თხოვნით მმართველს ადრესატს, რათა მან არ გაამხილოს წერილის ავტორის ვინაობა: „თუ ეს ინფორმაცია იქნება თქვენთვის სასარგებლო, მე კვლავ და კვლავ გაფიცვით – თქვენს გულის სიღრმეში შეინახოთ ჩემი, როგორც თქვენი ინფორმაციის ვინაობა“.²³

პეტერბურგში დაბრუნებულმა პორტერმა იმპერატორ ალექსანდრე I საჩუქრად გადასცა აღმოსავლეთში შეგროვილი რამდენიმე ნივთი, ასევე თავისი წიგნის ფრანგულენოვანი გამოცემა. საჯარო ბიბლიოთეკას მოგზაურმა ალბომი უსახსოვრა, სადაც ძველი სპარსული ძეგლების ჩანახატები იყო. როგორც აღვნიშნეთ, პორტერის ექსპედიციამ ოლენინისაგან ძალზე მაღალი შეფასება მიიღო. პორტერი იმდენად შენიღბულად მოქმედებდა, რომ ალექსანდრე პირველს მის საქმიანობაში ეჭვი არ შეუტანია. რუსეთის ხელისუფალმა ბრიტანელ მხატვარს 2,5 ათასი მანეთის ღირებულების ოქროს ბეჭედი

²² Там же.

²³ Там же.

აჩუქა, რომელზეც მისი ინიციალები იყო ამოტვიფრული.²⁴

პორტერი ერთხანს ბრიტანეთში გაემგზავრა და მოკლესნიანი ვიზიტის შემდეგ კელავ რუსეთში დაბრუნდა. თუმცა, აქაც მცირე ხანი დაჰყო. 1825 წელს მხატვარი ვენესუელაში დიდი ბრიტანეთის კონსულად დაინიშნა. სამხრეთ ამერიკაში იგი ოჯახის გარეშე წავიდა.²⁵ ლედი პორტერმა მეუღლესთან ერთად წასვლა ვერ მოახერხა, იგი შვილის აღზრდით იყო დაკავებული. ვენესუელადან პორტერი თავის ოჯახის წევრებს წერილებს უგზავნიდა და რუსეთში დაბრუნების სურვილს გამოთქვამდა.²⁶

ლედი პორტერის სამხრეთ ამერიკის კონტინენტზე ჩასვლას მისმა ავადმყოფობამაც შეუშალა ხელი. იგი მუცლის ტიფით იყო დაავადებული, რაც 1826 წლის 27 სექტემბერს მისი გარდაცვალების მიზეზი გახდა. პორტერის შვილის აღზრდა მისმა ნათესავებმა და მეგობრებმა იტვირთეს. დიპლომატიური სამსახურის დროს რობერტი 15 წელს კარაკასში ცხოვრობდა. ესპანეთის გავლენისაგან გათავისუფლებული ქვეყნიდან ინგლისელი დიპლომატი მოხსენებებს გზავნიდა ბრიტანეთში საგარეო საქმეთა სამინისტროს მდივნის – ჯორჯ კანინგის სახელზე.²⁷

პორტერი სამხრეთ ამერიკაშიც მალე გახდა პოპულარული. ამ პერიოდის განმავლობაში ის, დიპლომატიური საქმიანობის გარდა, ხატვასაც განაგრძობდა. ვენესუელაში ყოფნის დროს მან რამდენიმე ნახატი შეასრულა, მათ შორის: „ქრისტეს მიერ ბავშვის განკურნება“, „აი, ადამიანი“, „წმ. იოანე აპოკალიფსის წერის დროს“, ასევე

²⁴ Там же.

²⁵ Марина М. В старом, радушном дворянском гнезде на Арбате, Русская старина, 1909, Т. CXL, С. 608.

²⁶ Ренне Е., Художник сэр Роберт Кер Портер в России, <http://www.nasledie-rus.ru/podshivka/6412.php>.

²⁷ Там же; R. K. Porter, Caracas diary, 1825-1842, Caracas, 1966.

სამხრეთ ამერიკის კონტინენტის გმირის და კოლუმბიის რესპუბლიკის დამაარსებლის, სიმონ ბოლივარის რამდენიმე პორტრეტი. აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ 1836 წელს ვენესუელას კონგრესთან არსებულმა ჰერალდიკის კომისიამ პორტერის კონსულტაციით სახელმწიფო გერბი შექმნა.

კონსულად ყოფნის პერიოდში პორტერი აქტიურად ცდილობდა, რომ აღმოეფხვრა რელიგიური დაპირისპირება ადგილობრივ კათოლიკეებს და ვენესუელაში მცხოვრებ არაკათოლიკე უცხოელებს შორის. პორტერმა საკუთარი ხარჯით, ასევე ბრიტანეთის მთავრობის თანადაფინანსებით კარაკასში პროტესტანტული სასაფლაო დააარსა. იმ მრავალმხრივი დახმარების გამო, რაც მან პროტესტანტი მორწმუნეებისთვის ვენესუელაში გააკეთა, 1832 წელს პორტერი ჰანოვერის ორდენის რაინდად დასახელდა. პორტერი დიდ ბრიტანეთში 1841 წელს დაბრუნდა. მხატვრის ქალიშვილი რუსეთის დედაქალაქში ცხოვრობდა. იგი 1837 წელს გათხოვდა პიერ დე კიკინზე, რომელიც საიმპერატორო გვარდიის კაპიტანი იყო. მძასთან – დოქტორ უილიამ ოგილვიე პორტერთან, ბრისტოლში მცირეხნიანი ვიზიტის შემდეგ, რობერტ პორტერი დასთან – ჯეინთან ერთად სანკტ-პეტერბურგში თავისი ქალიშვილის და სიძის მოსანახულებლად გაემგზავრა. აქ მათ გარკვეული პერიოდი დაყვეს. 1842 წლის 3 მაისს მან თავის ძმას სანკტ-პეტერბურგიდან წერილი გაუგზავნა. წერილის მიხედვით მხატვარი ინგლისში გამგზავრებას აპირებდა, მაგრამ ნიკოლოზ I-თან გამოსამშვიდობებელი სადამოს შემდეგ ეტლში მან გონება დაკარგა და მეორე დღეს გონზე მოუსვლელად გარდაიცვალა. რობერტ კერ პორტერი დაკრძალულია სანკტ-პეტერბურგში, უცხოელეების სასაფლაოზე. მის სამშობლოში, ბრისტოლის მონასტერში პორტერების ოჯახის უკვდავსაყოფად განთავსე-

ბულია მარმარილოს დაფა, სადაც მხატვრისა და მოგზაურის სახელიც არის ამოტვიფრული.

ზოგიერთი შენიშვნა პორტერის საქართველოში ჩანაწერების შესახებ

როგორც აღენიშნეთ, რობერტ პორტერმა 1817-1820 წ.წ. კავკასიაზე გავლით აზიის ქვეყნებში იმოგზაურა.²⁸ პორტერმა ექსპედიციაში სამი წელი დაყო და მოგზაურობისას გაკეთებული ჩანაწერები ორ წიგნად გამოსცა.²⁹ ეს არის მოგზაურის და მხატვრის უზარმაზარი ნაშრომი, რომელშიც დაცულია ძალზე საინტერესო ინფორმაცია აზიის უძველესი ქვეყნების, აქ მცხოვრები ხალხების ისტორიული და თანამედროვე ყოფის შესახებ. მოგზაური დაწერილებით გადმოგვცემს კავკასიასა და აზიაში მცხოვრები მოსახლეობის ისტორიას, მათ წეს-ჩვეულებებს. ჩანაწერებს განსაკუთრებულ მნიშვნელობას სძენს ის ფაქტი, რომ ავტორი აღწერილი მოვლენების და ფაქტების თვითმხილველია. პორტერი ეყრდნობა მისი წინამორბედი მოგზაურების, ასევე თანამედროვე და წინა საუკუნეების ცნობილი ისტორიკოსების და გეოგრაფების

²⁸ R. D. Barnett, Sir Robert Ker Porter - Regency artist and traveller, Iran-2, 1972, pp. 19-24, plates 1-12; N. E. Vasilieva, About the history of Sir Robert Ker Porter's album with his sketches of Achaemenid and Sassanian monuments, Archaeologische Mitteilungen a 1994, pp. 339-48, plates 104-11.

²⁹ Travels in Georgia, Persia, Armenia, ancient Babylonia, During the years 1817, 1818, 1819 and 1820, By Sir Robert Ker Porter, Vol. I, London, 1821; Travels in Georgia, Persia, Armenia, ancient Babylonia, During the years 1817, 1818, 1819 and 1820, By Sir Robert Ker Porter, Vol. II, London, 1822.

თხზულებებს, ზეპირსიტყვიერ გადმოცემებს. მის ჩანაწერებს კიდევ უფრო მეტ ღირებულებას სძენს პორტერის მიერ შესრულებული ჩანახატები, რაც აღწერილი ადგილების ვიზუალურ წარმოდგენასაც გვიქმნის. მოგზაურობის დროს მან შეასრულა არაერთი მნიშვნელოვანი ჩანახატი, სადაც გამოსახა აღწერილი ქვეყნების რელიეფი, უძველესი ძეგლები, ისტორიული პერსონაჟები, თანამედროვე პოლიტიკური მოღვაწეები. აზიის უძველეს ქალაქებში ყოფნისას გადაწერა ლურსმული წარწერები, გადმოხატა ძველი ტაძრების კედლებზე არსებული რელიეფური გამოსახულებანი.

რობერტ კერ პორტერმა ირანში საქართველოზე გავლით იმოგზაურა. ინგლისელი მხატვრის ცნობები საქართველოს შესახებ თხზულების პირველ ტომშია. მოგზაური, როგორც მისი ჩანაწერებიდან ჩანს, საქართველოში დარიალის ხეობით შემოსულა. კავკასიონის მთებს მოგზაურზე წარუშლელი შთაბეჭდილება მოუხდენია.³⁰ მოგზაური რუსეთის ევროპული და აზიური ნაწილის საზღვრად მდ. თერგს მიიჩნევდა: „მდინარე თერგი რუსეთის ევროპულ ნაწილს ჰყოფს აზიური ნაწილისგან. ეს მდინარე კავკასიონის მთებიდან მოედინება. მისი სათავე კობის ახლოსაა.“³¹ პორტერის მიერ რუსეთის აზიური ნაწილის ხსენება შემთხვევითი არ არის. XIX საუკუნეში საქართველოში ნამყოფი სხვა მოგზაურებიც იყენებენ ტერმინს „აზიური რუსეთი“. ამ მხრივ შეგვიძლია დავასახელოთ ავსტრიელი მოგზაური, ქალბატონი იდა პფაიფერი. იგი კავკასიაში არსებულ ქვეყნებს (სომხეთი, საქარ-

³⁰ Travels in Georgia, Persia, Armenia, ancient Babylonia, During the years 1817, 1818, 1819 and 1820, By Sir Robert Ker Porter, Vol. I, London, 1821, p. 44.

³¹ Ibidem, p. 50.

თველო) აზიურ რუსეთში მოიაზრებს.³² მოგზაურის ცნობით, თერგის ხეობა ერთგვარ ჭიშკარს წარმოადგენდა. სწორედ ამ ჭიშკრით ურთიერთობდა ჩრდილოეთ კავკასიის მოსახლეობა სამხრეთ კავკასიაში მცხოვრებ ხალხებთან. ამ ადგილს ძველად „პორტა კაუკასია“ ერქვა. გადმოცემით სწორედ აქედან შევიდა საქართველოში ეკატერინე II ლაშქარი ტოტლებენის მეთაურობით, რომელმაც გზის ერთი მონაკვეთიც დააგო. ეკატერინე II სურდა, გზათბილისამდე გაეყვანა, თუმცა არ დასცალდა. როგორც პორტერი აღნიშნავს, იმპერატორის სურვილი მისმა მემკვიდრემ შეასრულა. საიმპერატორო კარის დავალებით პავლე ციციანოვის მეთაურობით შესანიშნავი გზა გაიყვანეს.³³ რობერტ პორტერი საქართველოში დარიალის ხეობით შემოვიდა და მცირე ხნით ყაზბეგში შეყოვნდა, სადაც ადგილობრივ წარჩინებული გვარის წარმომადგენელს – ყაზბეგს შეხვდა, აღწერა აქ მცხოვრები მოსახლეობის ყოფა-ცხოვრება და სამეურნეო საქმიანობა. პორტერის გარდაცვლილი ყაზბეგის (იგი სახელს არ აკონკრეტებს, თუმცა უნდა გულისხმობდეს გენერალ-მაიორ გაბრიელ ყაზბეგს, იხ. გვ. 140) სახლში დარჩენილა, სადაც ყაზბეგის ქვრივი ცხოვრობდა. მოგზაურის ინფორმაციით, ყაზბეგი რუსების სამსახურში ყოფილა. თავისი გვარი მას მთის სახელწოდებისაგან მიუღია, რაც შემდეგ სოფელსაც დაერქვა.³⁴ ჩრდილოეთ კავკასიის საქართველოსთან დამაკავშირებელი გზების კეთილმოწყობას პორტერი რუსების დამსახურებად მიიჩნევს. მისი გადმოცემით, რუსებმა სამიმოსვლო გზები მოაწესრიგეს, ააშე-

³² იხ. იდა პფაიფერის მოგზაურობა კავკასიაში, გვ. 21.

³³ Travels in Georgia, Persia, Armenia, ancient Babylonia, During the years 1817, 1818, 1819 and 1820, By Sir Robert Ker Porter, Vol. I, London, 1821, p. 67.

³⁴ Ibidem, p. 76.

ნეს ფოსტის შენობები და სამხედრო სადგურები. მოგზაურის შეფასებით, უსაფრთხო მგზავრობა სწორედ რუსეების დამსახურება იყო. ეტლებით გადასატანი ტვირთებისათვის დაწესებული იყო გადასახადები 20-დან 25 რუბლამდე, რომელსაც ძირითადად ვაჭრები იხდიდნენ. ამ თანხაში შედიოდა პასპორტის ღირებულება. უცხოელებისათვის მგზავრობა უფასო იყო.³⁵ რუსული ხელისუფლება გზებზე მძარცველი ოსებისაგან თავდაცვის მიზნით საგუშაგოებს აგებდა. გზის იმ მონაკვეთზე, სადაც რობერტ კერ პორტერი მოძრაობდა, ოსები მიმავალ მგზავრებს უსაფრდებოდნენ და ძარცვავდნენ. ოსების გახშირებულ თავდასმხებზე საყურადღებო ცნობებს გვაწვდის აგრეთვე გერმანელი მოგზაური იოჰან ანტონ გიულდენშტედტი, რომელმაც საქართველოში მეთვრამეტე საუკუნის 70-იან წლებში იმოგზაურა. ოსები თავს ესხმოდნენ არა მარტო მგზავრებს, არამედ რუსულ რაზმებსაც.³⁶ ბრიტანელი დიპლომატი და მოგზაური მცირე ხნით ანანურში გაჩერდა, სადაც ერთი ღამე გაათია. მისი გადმოცემით, ანანური ქუშდის ციხის სამხრეთ-დასავლეთით მდებარეობდა. ის ერთ-ერთი უძველესი ქალაქი იყო,

³⁵ Travels in Georgia, Persia, Armenia, ancient Babylonia, During the years 1817, 1818, 1819 and 1820, By Sir Robert Ker Porter, Vol. I, London, 1821, p. 81; გენერალ ერმოლოვს, იმ მიზეზით, რომ საქართველოს სამხედრო გზა ზამთრის პერიოდში ზვავებით ხშირად იხერგებოდა, ახალი გზის გაყვანა სურდა თბილისიდან გორის, ცხინვალის და ონის გავლით კავკასიონის თხემზე, მაგრამ ამ იდეის განხორციელებას ჩეჩნეთის აჯანყებამ შეუშალა ხელი. იხ. ედუარდ აიხვალდი საქართველოს შესახებ, გერმანულიდან თარგმნა, შესავალი და საძიებლები დაურთო გია გელაშვილმა, თბ., 2005, გვ. 236. სხვა ცნობით, ერმოლოვს განუზრახავს, გორიდან გაეყვანა გზები რუსეთისაკენ და თბილისიდან მმართველობის აპარატიც ამ ქალაქში გადაეტანა. მამისთვალიშვილი ე., გორის ისტორია, I (1801 წლამდე), თბ., 1994, გვ. 12.

³⁶ გიულდენშტედტის მოგზაურობა საქართველოში, გვ. 157-158.

რომელსაც ერთ დროს სამხედრო დანიშნულება ჰქონდა. თუმცა, იმ დროს ანანურში მხოლოდ ქოხები იდგა. ანანურში შემორჩენილი იყო შესანიშნავი ქრისტიანული ეკლესია ნატიფი ჩუქურთმებით, რომლის შესასვლელში ქართული წარწერები იყო. მოგზაურის ცნობით, მტრების შემოსევის დროს სამეფო ოჯახი მანდილოსნებს ანანურში ხიზნავდა, აქვე მალავდნენ სამეფო განძს. პორტერის ინფორმაციით, ანანურში გარკვეული პერიოდით ინახებოდა ქართველთა განსაკუთრებული რელიკვია-წმინდა ნინოს ჯვარი.³⁷

ანანურში რომ არასახარბიელო საცხოვრებელი პირობები იყო, ამას შოტლანდიელი მოგზაური – რობერტ ლაიელიც ადასტურებს. (შოტლანდიელმა ბოტანიკოსმა და მოგზაურმა საქართველოში რობერტ კერ პორტერის შემდეგ იმოგზაურა). მისი გადმოცემით, ანანურში ძნელად იშოვებოდა საჭმელი და მოგზაურს ღამის გათევამაც მძიმე პირობებში მოუწია.³⁸ ანანურიდან რობერტ კერ პორტერი დუშეთში ჩავიდა. მისი გადმოცემით დუშეთი მთის ძირას გაშენებული ღამაში ქალაქი იყო, სადაც

³⁷ Travels in Georgia, Persia, Armenia, ancient Babylonia, During the years 1817, 1818, 1819 and 1820, By Sir Robert Ker Porter, Vol. I, London, 1821, p. 81.

³⁸ Travels in Russia, the Krimea, the Caucasus, and Georgia by Robert Lyall, vol. I, London, 1825, p. 67. აღსანიშნავია, ის ფაქტი, რომ წმინდა ნინოს ჯვრის შესახებ ინფორმაციას გვაწვდის XIX საუკუნის პირველ მეოთხედში საქართველოში ნამყოფი შოტლანდიელი მოგზაური რობერტ ლაიელი, რომელმაც ძალზე საინტერესო ცნობები დაგვიტოვა ჩვენი ქვეყნის შესახებ. მისი გადმოცემით, საქართველოს მეფეებმა წმ. ნინოს ჯვარი მცხეთის ტაძარს (სავარაუდოდ, იგი სვეტიცხოველს უნდა გულისხმობდეს) გადასცეს. იხ. Travels in Russia, the Krimea, the Caucasus, and Georgia by Robert LYALL, vol. I, London, 1825, p. 63; გ. გელაშვილი, ინგლისელი მოგზაური რობერტ ლაიელი თბილისის შესახებ, კრებ.: ახალი და უახლესი ისტორიის საკითხები, თბ., 2014, გვ. 319.

შემორჩენილიყო ძველი სასახლის და ციხესიმაგრეთა ნაშთები. პორტერის ცნობით, დუშეთი ერთ დროს ქართველ მეფეთა საზაფხულო რეზიდენციას წარმოადგენდა. იქაური მოსახლეობა დაკავებული იყო მიწათმოქმედებით. დუშეთის მიწა, პორტერის ცნობით, ძალზე ნაყოფიერი იყო, თუმცა მოსახლეობა მოუხერხებელი რკინის გუთნით ამუშავებდა ნაკვეთებს, უზარმაზარი სახნისი თოთხმეტ ხარს უნდა გაეწია. მოსახლეობა გამწვევ ძაღად კამეჩსაც იყენებდა.³⁹ დუშეთის შესახებ განსხვავებულ ცნობებს გვაწვდის შოტლანდიელი მოგზაური რობერტ ლაიელი. მისი ცნობით დუშეთი ქალაქად იწოდება, მაგრამ იგი ამ სტატუსს არ იმსახურებდა. მისი ქუჩები, ლაიელის ცნობით, ბახჩისარაის ქუჩებს წააგავდა, სადაც დაბალი, პატარა მაღაზიები იყო განლაგებული და სხვადასხვა სახის საქონელი იყიდებოდა. ლაიელის ცნობით დუშეთში ყურადღებას იქცევდა ეკლესია და გარშემო არსებული კოშკებიანი სოფლები.⁴⁰ რობერტ კერ პორტერი თავის თხზულებაში საუბრობს იმდროინდელი საქართველოს ჩამორჩენის და პოლიტიკური დაქსაქსულობის მიზეზებზე. მისი აზრით, ქვეყანა მძიმე მდგომარეობამდე არა მარტო გამუდმებულმა შემოსევებმა, არამედ გაუთავებელმა შიდა არეულობამ მიიყვანა. ოდესღაც აყვავებული, განვითარებული სამეფო ჩამორჩენილ, დამცირებულ ოლქად გადაიქცა. მტრების გამუდმებულმა შემოსევებმა მოსახლეობის რაოდენობა ძალზე შეამცირა. ქვეყანა, პორტერის შეფასებით, დაღუპა მმართველი წრეების დაუოკებელმა ამბიციებმა და იმას, რომ აქ მცხოვრები ხალხი სოციალურად და პოლიტიკურად განვითარებულიყო, ქვე-

³⁹ Travels in Georgia, Persia, Armenia, ancient Babylonia, During the years 1817, 1818, 1819 and 1820, By Sir Robert Ker Porter, Vol. I, London, 1821, p. 100.

⁴⁰ Travels in Russia, the Krimea, the Caucasus, and Georgia by Robert lyall, vol. I, London, 1825, p. 72.

ყნის იმდროინდელი მმართველების აზრით, წლები დასჭირდებოდა.⁴¹ რობერტ კერ პორტერი თავის თხზულებაში ღიდ აღგილს უთმობს მცხეთის აღწერას. ბრიტანელ მხატვარს საქართველოს ძველ სატახტო ქალაქში არაერთი ისტორიული ძეგლი მოუნახულებია. მოგზაურის ცნობით, მცხეთა ძველი საქართველოს დედაქალაქი იყო. იბერთა მეფეების სატახტო, რომელიც ორი მდინარის შესართავთან მდებარეობდა, ანტიკურ ხანაში მნიშვნელოვან ქალაქს წარმოადგენდა, თუმცა პორტერის იქ ყოფნის დროს ის უკვე გადატაკებული სოფელი იყო. ამის მიუხედავად, ძველი ღიდების ნაშთი მრავლად იყო შემორჩენილი. ღამე მოგზაურს ციხესიმაგრის შიგნით სვეტიცხოველთან არსებულ მღვდლის სენაკში გაუთენებია.⁴² პორტერს მოძღვრის დახმარებით ქრისტიანული სიწმინდეებიც უნახავს. სვეტიცხოველში მეგზურობას მას მღვდელი უწევდა, რომელსაც მოგზაურისთვის არაერთი რელიკვია უჩვენებია. რელიკვიათა შორის პორტერს უნახავს ქრისტეს პერანგი, რომელიც ღაცული ყოფილა საკურთხევის შიგნით და ის ყველა მოგზაურის ინტერესს იწვევდა. პორტერს სხვა სიწმინდეები, მათ შორის წმ. ელისას სამოსის ნაწილი არ უნახავს, რადგან, როგორც თვითონ გაღმოგვცემს, არქიმანდრიტი, რომელიც ამ სიწმინდეებზე იყო პასუხისმგებელი, მცხეთაში არ ყოფილა.⁴³

* მოგზაურის ცნობა იმის შესახებ, რომ მან ქრისტეს პერანგი (კვართი) ნახა, სიმართლეს არ უნდა შეესაბამებო-

⁴¹ Travels in Georgia, Persia, Armenia, ancient Babylonia, During the years 1817, 1818, 1819 and 1820, By Sir Robert Ker Porter, Vol. I, p. 102.

⁴² Ibidem, p. 103.

⁴³ Ibidem, p. 105.

* ქრისტიანთა ამ უდიდესი სიწმინდის ისტორიის შესახებ იხ. ე. მამისთვალიშვილი, ქრისტეს კვართის ისტორია, გორი, 2003.

დეს.⁴⁴ მცხეთიდან რობერტ კერ პორტერმა გზა თბილისი-საკენ გააგრძელა, ქალაქის შესასვლელთან სპეციალურ საკონტროლო შენობასთან მოგზაურმა და მისმა მხლებლებმა კარანტინი გაიარეს, ჯანმრთელობის დამადასტურებელი დოკუმენტები წარადგინეს და მათ მხოლოდ ამის შემდეგ დართეს ნება, რომ ქალაქში შესულიყვნენ.⁴⁵ როგორც ჩანს, იმ დროისათვის თბილისში ეპიდემია მძვინვარებდა და შემოწმების პროცედურა დედაქალაქში შემსვლელ ყველა მოგზავრს უნდა გაეკლო. პორტერის გარდა ამ ფაქტს სხვა მოგზაურებიც ადასტურებენ. ავსტრიელი მოგზაურის, იდა პფაიფერის ცნობით, რუსეთის „სახლ-ვარზე“ გადასვლის დროს იმ შემთხვევაში, თუ ქოლერა ან შავი ჭირი იყო გავრცელებული, კარანტინს აწესებდნენ.⁴⁶ გერმანელი მოგზაურის, ედუარდ აიხვალდის ინფორმაციით, საქართველოს ორი მხრიდან ემუქრებოდა შავი ჭირის გავრცელების საშიშროება - კავკასიონის მხრიდან და აზიის მხრიდან. აიხვალდის ცნობით მეცხრამეტე საუკუნის 20-იან წლებში ქვეყანაში რამდენიმე ადგილზე იყო შექმნილი კარანტინი, მათ შორის: ანანურთან, ბაღდადთან, სურამში, ასევე ქარელთან ახლოს. თბილისის შემოგარენში სამი კარანტინი ყოფილა.⁴⁷ თბილისში ჩასული რობერტ კერ პორტერი მთავარმართებელ ერმოლოვს შეხვდა და მას წერილები გადასცა. იგი ამ წერილების შესახებ დაწვრილებით არ საუბრობს. სავარაუდოდ, მას საიმპერატორო კარიდან გამოტანებული წერილები უნდა გადაეცა. პორტერმა ახლოს გაიცნო კავკა-

⁴⁴ Travels in Georgia, Persia, Armenia, ancient Babylonia, During the years 1817, 1818, 1819 and 1820, By Sir Robert Ker Porter, Vol. I, p. 102.

⁴⁵ Ibidem, p. 114.

⁴⁶ იდა პფაიფერის მოგზაურობა კავკასიაში, გვ. 23.

⁴⁷ ედუარდ აიხვალდი საქართველოს შესახებ, გერმანულიდან თარგმნა, შესავალი და საძიებლები დაურთო გია გელაშვილმა, თბ., 2005, გვ. 91.

სიის მთავარმართებელი. ერმოლოვს ბრიტანელ მხატვარზე განსაკუთრებული შთაბეჭდილება მოუხდენია. მისი გადმოცემით, მთავარმართებელი ერმოლოვი სწორედ იმ თვისებებით იყო აღჭურვილი, რომელიც საიმპერატორო კარის მიერ უცხო მხარეში დანიშნულ მმართველს უნდა ჰქონოდა, ერმოლოვს იშვიათი უნარი გააჩნდა, რომ ხალხის გული მოეგო, იგი ღმობიერებით და დიპლომატიით ახერხებდა თავისი მიზნების განხორციელებას, ამიტომაც ანდეს მას კავკასიის მართვა. მთავარმართებელმა კარგად იცოდა ხალხის ენა. მოგზაურის ცნობით, ერმოლოვმა შეძლო მტკიცე, შეუდრეკელი ხასიათის მქონე ქართველების გულის მონადირება და მათი ხასიათების შეცვლა.⁴⁸ თბილისში ჩამოსულმა პორტერმა ადგილობრივ სომეხს, ვინმე არატუნს (სახელი შესაძლებელია დამახინჯებით უწერია, სავარაუდოდ უნდა იყოს არუთინი - გ.ს.) მიაკითხა. არატუნის მამა, მოგზაურის ინფორმაციით, სპარსეთის მეფის კარზე მუშაობდა. მასპინძელი სომეხისგან პორტერმა ერმოლოვის სპარსეთიდან თბილისში დაბრუნება შეიტყო. იგი მეორე დღეს შეხვდა მთავარმართებელს და მას სანკტ-პეტერბურგიდან წამოღებული წერილები გადასცა.⁴⁹ სომეხ არატუნს და მის მამას, როგორც ჩანს, რუსეთის პოლიტიკური წრეები კარგად იცნობდნენ. სწორედ ამიტომ მიაკითხა მას ბრიტანელმა მხატვარმა. სავარაუდოდ, თბილისელ სომეხს მოგზაურისთვის დახმარება უნდა აღმოეჩინა, დაეხმარებინა, შემდეგ კი მეგზურობა გაეწია.⁵⁰ რობერტ პორტერი თავის თხზულებაში თბილისის ისტორიის შესახებაც გვესაუბრება, თუმცა, ქალაქის დაარსების ფაქტს შეცდომით ათარიღებს და

⁴⁸ Travels in Georgia, Persia, Armenia, ancient Babylonia, During the years 1817, 1818, 1819 and 1820, By Sir Robert Ker Porter, Vol. I, London, 1821, p. 154.

⁴⁹ Ibidem, p. 115.

⁵⁰ Ibidem, p. 114.

ქალაქის დამაარსებლად მეფე ლივანგს მიიჩნევს.⁵¹ როგორც ჩანს, მას საქართველოს დედაქალაქის ისტორიის შესახებ არასწორი ინფორმაცია მიაწოდეს. სავარაუდოდ, ინფორმაციის მიმწოდებელი არაქართველი არატუნი უნდა ყოფილიყო. რობერტ კერ პორტერი აღწერს თბილისის გარეგნულ იერსახეს. მისი გადმოცემით, თბილისში ვიწრო ქუჩები იყო. საცალფეხო გზები ძალზე ცუდ მდგომარეობაში დახვდა. ერმოლოვის ბრძანებით, როგორც მოგზაური გადმოგვცემს, თბილისში ქვაფენილს აგებდნენ. მთავარმართებელს განზრახული ჰქონდა დანგრევის პირას მისული სახლების აღება და ახალი შენობების აგება. ერმოლოვის სპარსეთში ყოფნის დროს თბილისში გადაუხურავთ ბაზრის შენობა.⁵² რობერტ კერ პორტერი თბილისის გარეგნული იერსახის შეცვლას კავკასიის მთავარმართებლის – ერმოლოვის სახელს მიაწერს. მისი აზრით, ერმოლოვმა საჯარო შენობების რეკონსტრუქცია განახორციელა, რამაც ქალაქის განვითარებაში მნიშვნელოვანი ძვრები შეიტანა. განხორციელებული ცვლილებების შედეგად საქართველოს დედაქალაქი უფრო უკეთესი გახდა, ვიდრე ის თორმეტი წლის წინ იყო.⁵³ პორტერი თბილისზე საუბრის დროს საგანგებოდ ჩერდება საქართველოს დედაქალაქში არსებულ აბანოებზე. მოგზაურის ცნობით, ბაზრის ბოლოს, ხიდის ქვეშ მთის ცივი ნაკადული მოჩუხჩუხებდა, რომელიც ბოლოს თერმულ წყლებს უერთდებოდა. ქალაქს სწორედ თბილი წყლების გამო დაერქვა თბილისი. თერმული წყლები გამოიყენებოდა თბილისის განთქმულ აბანოებში, ქალაქის მაცხოვრებლები და ჩამოსული სტუმრები აბანოებს

⁵¹ Ibidem, p. 117.

⁵² Travels in Georgia, Persia, Armenia, ancient Babylonia, During the years 1817, 1818, 1819 and 1820, By Sir Robert Ker Porter, Vol. I, London, 1821, p. 117.

⁵³ Ibidem, p. 149.

სამკურნალოდ იყენებდნენ. აბანოები თბილისში გართობის ადგილსაც წარმოადგენდა.⁵⁴ თბილისის მოსახლეობა, ბრიტანელი მოგზაურის ცნობით, თანდათან ევროპულ წეს-ჩვეულებებზე გადადიოდა, რაც მათ ყოფა-ცხოვრებაშიც შეიმჩნეოდა. მისი გადმოცემით, ბოლო 20 წლის განმავლობაში თბილისის მოსახლეობის ზედა ფენამ აზიურ წეს-ჩვეულებებს ზურგი შეაქცია. ეს განპირობებული იყო ევროპული ქვეყნების სამოქალაქო და სამხედრო პირებთან ურთიერთობით. ასეთივე ტენდენცია, მოგზაურის ცნობით, გზას იკაფავდა მოსახლეობის დაბალ ფენებშიც.⁵⁵ მოგზაური განსაკუთრებით მოხიბლულია ქართველი მანდილოსნების სილამაზით. მისი ცნობით, ქართველი ქალი განსაკუთრებული სახის ნაკეთებით, ეშხიანი თვალებით და მოხდენილი ჩაცმით გამოირჩევა. ქართველი მანდილოსნები ძალზე ზრდილობიანები და კარგი ხასიათის მქონენი არიან. პორტერი ხაზს უსვამს მათ ჩაცმულობას. დიდგვაროვანი მანდილოსნები მოხდენილად და მდიდრულად იმოსებიან, ხოლო დაბალი სოციალური ფენების წარმომადგენლებს კი სიღარიბე სამოსზეც ეტყობათ.⁵⁶ პორტერი აღწერს თბილისში არსებულ ტაძრებს. მისი ინფორმაციით, საქართველოს დედაქალაქში რამდენიმე ქრისტიანული ეკლესიაა. არქიტექტურული სინატივით ის თბილისის სიონს და კათოლიკურ ტაძრებს მოუხიბლავს, ხოლო სიდიდით სომხურ ეკლესიას.⁵⁷ თბილისში სიონის მართლმადიდებელთა ტაძრის გვერდით სხვა რელიგიის აღმსარებელთა ეკლესიების მოხსენიება ბრიტანელი მოგზაურის მიერ შემთხვევითი არ არის. ჯერ კიდევ ვახუშტი ბატონიშვილის მიერ შედგენილ 1735

⁵⁴ Ibidem, p. 119.

⁵⁵ Ibidem, p. 122.

⁵⁶ Ibidem, p. 126.

⁵⁷ Ibidem.

წლის ატლასის ქართლის რუკაზე დართული გეგმის მიხედვით საქართველოს დედაქალაქში რამდენიმე „სომხის საყდარი“ იხსენიება, აქვე გვხვდება „ლათინთ საყდარი“.⁵⁸ რუსი ოფიცრის – ალექსანდრე პიშჩევიჩის გეგმის მიხედვით, რომელიც 1785 წელს არის შედგენილი თბილისში, აღნიშნულია: კათოლიკური ეკლესია, სომხების ახალი ეკლესია, სომეხთა ეკლესია ნორაშენი, სომეხთა ეკლესია საჰაკაშენი, სომხების ეკლესია კოზმანი, სომეხთა ეკლესია მოლნინი, სომხების ეკლესია ციხის საყდარი, სომხის ეკლესია მეტეხი (ავლაბარში), სომეხი ბერების მონასტერი, სომხების ეკლესია ქამოანთი, სომხების მონასტერი. ამავე გეგმაში შეტანილია: სამი მეჩეთი, მათ შორის „მეჩეთი თურქთა“.⁵⁹ თბილისში გერმანელი მოგზაურის, იოჰან ანტონ გიულდენშტედტის ცნობით, ქართველებს 15 ეკლესია ჰქონდათ, სომხებს – 20 (ამათგან მოგზაურის გადმოცემით 12 ტაძარი მდებარეობდა ქალაქში, ხოლო 8 ქალაქის გარეუბნებში), ამის გარდა კათოლიკე სომხებს ეკუთვნოდათ ერთი საყდარი. თბილისელ სომხებს საქართველოს დედაქალაქში მონასტერიც გააჩნდათ. გიულდენშტედტის ინფორმაციით საქართველოს დედაქალაქში „მაჰმადიან თათრებს“ 3 მეჩეთი ჰქონდათ.⁶⁰ შოტლანდიელი მოგზაურის, რობერტ ლაიალის ცნობით XIX საუკუნის I მეოთხედში თბილისში არაერთი ტაძარი იყო, მათ შორის: 20 ბერძნული ეკლესია (მოგზაური ბერძნულ ეკლესიებში მართლმადიდებელთა ტაძრებს გულისხმობს), 15 სომხური, 1 თიატინელების მიერ დაარსებული ტაძარი, ასევე 1 სპარსული მეჩეთი და

⁵⁸ თბილისის ისტორია, ტ. I, თბ., 1990, გვ. 459.

⁵⁹ იქვე, გვ. 462–463.

⁶⁰ გიულდენშტედტის მოგზაურობა საქართველოში, გვ. 93.

სიონის საკათედრო ტაძარი.⁶¹ რობერტ კერ პორტერის აზრით, საქართველოს მძიმე მდგომარეობა ქართველ თავადებს შორის არსებულმა გამუდმებულმა შუღლმა, ქვეყანაში კანონისა და სამართლის არარსებობამ, ასევე ლეკების შემოსევებმა განაპირობა. მისი შეფასებით, თურქებისა და ირანელების სისხლიანმა ომებმა ქვეყანა წელში გატეხა. ამ სასოწარკვეთილმა მდგომარეობამ მოსახლეობა გააზარმაცა და სიღარიბემდე მიიყვანა. მისი შეხედულებით ასეთი ვითარება დამახასიათებელია თითოეული იმ ქვეყნისათვის, სადაც გამუდმებული ომებისა და სხვადასხვა დამპყრობელთა შემოსევების გამო წესრიგი მოშლილია.⁶²

პორტერის შეფასებით, ქართული საზოგადოების გარკვეული ნაწილი რუსეთთან ურთიერთობას სკეპტიკურად უყურებდა, უფროსი თაობის წარმომადგენლები ქვეყნის დამოუკიდებლობას მისტიროდნენ, თუმცა ბრიტანელი მხატვრის აზრით რუსეთის გავლენის ქვეშ მოქცევამ საქართველოს მოსახლეობას კეთილდღეობა მოუტანა. დასრულდა ადამიანების გაუთავებელი ჩაგვრა და შევიწროება. შეწყდა მუსლიმანური სახელმწიფოების თავდასხმები. პორტერის შეფასებით ქვეყანა რუსეთთან შეერთებამდე უსუსურ მმართველთა არასწორი პოლიტიკით იტანჯებოდა. მოსახლეობა ვეღარ უძლებდა დამპყრობელთა გამანადგურებელ შემოსევებს, მას შემდეგ, რაც საქართველო რუსეთის იმპერიის შემადგენლობაში მოექცა, ხალხმა შეება იგრძნო.⁶³ თბილისში რობერტ კერ პორ-

⁶¹ Travels in Russia, the Krimea, the Caucasus, and Georgia by Robert Lyall, vol. I, p. 72.

⁶² Travels in Georgia, Persia, Armenia, ancient Babylonia, During the years 1817, 1818, 1819 and 1820, By Sir Robert Ker Porter, p. 132.

⁶³ Ibidem, p. 155.

ტერი რამდენიმე დღეს დარჩა,⁶⁴ ხოლო შემდეგ თავრიზისაკენ გაემართა. როგორც მისი თხზულებიდან ჩანს, საქართველოს დედაქალაქიდან დაახლოებით 5 ვერსის მანძილზე მოგზაური და მისი ამაღა თავად ერმოლოვს გაუცილებია. სპარსეთისკენ მიმავალ ჯგუფს უსაფრთხოების მიზნით მთავარმართებლის დავალებით გამოყოფილი ოფიცრების ესკორტი გაჰყვა. სოღანლუდში ერმოლოვის მითითებით სტუმრებს ღამის გასათევად გაშლილი კარავები და ვახშამი დაახვედრეს. აქედან მოგზაური შულავერის გავლით ირანის გზას დაადგა.

ამრიგად, ინგლისელი დიპლომატის, მოგზაურის და მხატვრის ჩანაწერები საყურადღებო წყაროს წარმოადგენს XIX საუკუნის პირველი მეოთხედის საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური, პოლიტიკური და კულტურული ცხოვრების შესახებ. მოგზაურის ცნობები ზოგჯერ არაზუსტია, თუმცა, სხვა წყაროებთან შედარება გარკვეული ანალიზის გაკეთების საშუალებას გვაძლევს. ბრიტანელი დიპლომატი და მხატვარი აღწერილი მოვლენების თვითმხილველია, რაც მის ჩანაწერებს კიდევ უფრო მეტ ღირებულებას სძენს. საქართველოს შესახებ ბრიტანელი მხატვრის ჩანაწერების სრული ტექსტი ქართულ ენაზე პირველად ქვეყნდება. ვფიქრობთ, რომ რობერტ კერ პორტერის მოგზაურობის ამსახველი დღიურები აღნიშნული ეპოქის მკვლევრებსა თუ ფართო მკითხველს საინტერესო ინფორმაციას მიაწოდებს. მადლობას ვუხდით პროფესორ ელდარ მამისთვალიშვილს, ასოცირებულ პროფესორ იოსებ ალიმბარაშვილსა და ელიზა ისაკაძეს ნაშრომზე მუშაობისას გაწეული დახმარებისთვის.

⁶⁴ ჭოლოშვილი ნ., გერმანული მხატვრული ტრადიცია და საქართველო XIX საუკუნის დასაწყისიდან XX საუკუნის 40-იან წლებამდე, ხელოვნებათმცოდნეობის კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად წარმოდგენილი დისერტაცია, თბ., 2006, გვ. 45.

**მოგზაურობა საქართველოში, სომხეთში,
სპარსეთსა და ძველ ბაბილონში**

წინასიტყვაობა

მწერალს, რომელიც ამ ნაშრომს სთავაზობს საზოგადოებას, არ ამოდრავებს სურვილი, რომ მკითხველს შეუქმნას თავის პირადულ თვისებებზე წარმოდგენა. აღმოსავლეთის ქვეყნებში სამი წლის განმავლობაში მოგზაურობის დროს ავტორს ჰქონდა ჟურნალი, რომელშიც ის მუდმივად იწერდა თავის დაკვირვებებს და მიღებულ შთაბეჭდილებებს მყისვე ინიშნავდა. ამ დღიურის მეშვეობით შესაძლებელი გახდა მის მიერ გაკეთებული ჩანაწერების შედარება სხვა ავტორების ცნობებთან. ორტომეულის გამოცემა სწორედ ავტორის მიერ მოგზაურობების შედეგად შეგროვებული მასალა დაედო საფუძვლად. დასახული ამოცანის შესრულება – სხვადასხვა თემების წესრიგში ისე მოყვანა, რომ ავტორისეული ენა არ შეცვლილიყო და არ დაკარგულიყო ნაშრომის ლიტერატურული იერი - ძნელი განსახორციელებელი უნდა ყოფილიყო ადამიანისთვის, რომელმაც თავისი ცხოვრების უმეტესი ნაწილი საზღვარგარეთ მოგზაურობას მოანდომა. აქედან გამომდინარე, ავტორს არანაირი პრეტენზია არა აქვს მისი ჩანაწერების დახვეწილ სტილზე, მას სჯერა, რომ მიუკერძოებელი მკითხველი შეაფასებს და განსჯის იმ სიმართლითა და საქმისადმი ერთგულებით, რომლითაც ის წერს. მოგვყავს რამდენიმე რჩევა, რომელიც ავტორმა მისი აღმატებულების – სენიორ ოლე-ნინისაგან მიიღო, იგი გახლავთ რუსეთის იმპერიის სახელმწიფო მდივანი და ხელოვნების აკადემიის პრეზიდენ-

ტი. ეს წერილები ავტორს მოგზაურობის დაწყებამდე ცოტა ხნით ადრე გადაეცა.*

ბატონი რობერტ კერ პორტერი ხელოვნების დიდი მოტრფიალე და მოსიყვარულეა. მისი გატაცება ბავშვობის წლებიდან დაიწყო და ის დღესაც გრძელდება. მისი თვალი და ხელი ერთნაირადაა გაწაფული თითოეული დეტალის შემჩნევასა და ფანქრით დახატვაში. სიზუსტე და აკურატულობა მისი ხასიათის თვისებებია. ამიტომ სერ რობერტ კერ პორტერის ჩანახატები იმ ერთგულების გამოვლინებაა, რომლის პრეტენზიაც მას გააჩნია. იგივე შეიძლება ითქვას მის გამოცდილებაზე სამხედრო იარაღის მიმართ, რაშიც მას სხვადასხვა ხალხის იარაღზე დაკვირვება დაეხმარა; მას ჩახატული აქვს არაერთი ხალხის (რომელსაც ის შეხვდა თავისი მოგზაურობების დროს) ძველი და ახალი საბრძოლო იარაღი. ადგილობრივმა მოსახლეობამ, ვისთანაც მოგზაურს ჰქონდა ურთიერთობა, მნიშვნელოვნად გაუადვილა კერ პორტერს მიზნების განხორციელება (მთების აზომვა, ზოგიერთი ქალაქისა და ადგილის დალაშქვრა). სერ პორტერმა საკუთარი დაკვირვებების შედეგად შეადგინა სპარსეთის იმპერიის რუკა. პირველი ტომი მთავრდება ავტორის მოგზაურობით სპარსეთში. შემდეგი ტომი მოიცავს ბაბილონს, ქურთის-

*წერილებში ლაპარაკია, თუ როგორ აღწერეს სხვადასხვა მეცნიერებმა, მათ შორის: შარდენმა, ლე ბრანმა და ნიბუამ თავიანთი მოგზაურობები სპარსეთში. წერილების ავტორი სთხოვს კერ პორტერს, რომ მან ასახოს და დააფიქსიროს წარსულის მხოლოდ თვითმყოფადი ნანგრევები; რომ მან სპარსულ გამოსახულებებს, ფიგურებს არ მისცეს არც ფრანგული (როგორც ეს შარდენტანაა), არც ჰოლანდიური (როგორც ლე ბრანმა გამოსახა), არც გერმანული (ნიბუას მსგავსად) და არც ინგლისური იერი. წერილის ავტორი საუბრობს ნაკ-ში რუსტამის კედლის რელიეფებზე არსებულ სასანიდი მეფეებისა და მისი სამეფო კარის მოხელეების გამოსახულებების ფრაგმენტების აღწერა-ჩანახატების შესახებ.

ტანს და იმ ქვეყნებს, რომლებიც ღრმა ინტერესს იწვევენ ადმოსავლეთით დაინტერესებულ პირებს შორის და რომლებსაც არაერთი გვერდი მიუძღვნეს სხვადასხვა ავტორებმა და მწერლებმა. ძველთაძველი ეპოქების ნიმუშები, რომლებიც ავტორმა ჩამოიტანა იმ ქვეყნებიდან, სადაც იმოგზაურა, მან სხვადასხვა მუზეუმებს გადასცა, მაგრამ მათი უმეტესობა ინგლისის გაერთიანებული სამეფოს მუზეუმებშია დაცული, კერძოდ კი ლონდონის, ედინბურგისა და დუბლინის მუზეუმებში. მის მიერ შეგროვილი და ჩამოტანილი მრავალრიცხოვანი და იშვიათი მონეტები კერძო კოლექციაშია.

შეუძლებელია ისეთი ამოცანის შესრულება, როგორიცაა დიდი მადლიერების გამოხატვა იმ ადამიანთა მიმართ, ვინც მისი პირველი გამგზავრებიდან ქვეყანაში დაბრუნებამდე გაუადვილა მიზნების განხორციელება და გამოიჩინა სტუმართმოყვარეობა მისი ხანგრძლივი მოგზაურობის დროს. რამდენიმე ადამიანის სახელს ავტორი აღნიშნავს თავის ჩანაწერებში. ასეთი ადამიანების რიცხვი ძალიან დიდია და ყველას ჩამოთვლა შეუძლებელია. მაგრამ, თუ მკითხველი გაიხსენებს, ეს ხალხი ძირითადად ისეთ დაწესებულებებში არიან დასაქმებულები, სადაც ძალაუფლებას საუკეთესო ნიჭის მქონე ხალხი ინარჩუნებს. ასეთი მაღალჩინოსნები სათანადოდ უნდა იყვნენ დახასიათებულები.

P.S. ამ მოგზაურობების ავტორი ამჟამად საზღვარგარეთაა, ამიტომ გადამწერი სარგებლობს შემთხვევით, რათა საზოგადოებას მოუბოდიშოს ზოგიერთი ხარვეზის გამო, კერძოდ კი საკუთარ სახელებში დაშვებული ორთოგრაფიული შეცდომებისათვის, რომლებიც ნაშრომში ხელნაწერის გაურკვევლობის გამო გაიპარა.

ჩვენ დილით გავემგზავრეთ სოფელ სვერნაიდან. რვა თუ ათი ვერსის დაშორებით მივალწიეთ ციცაბო გორას, საიდანაც მე პირველად დავინახე კავკასიონის უზარმაზარი, განსაცვიფრებელი მთები. არავითარ ძალას არ ძალუძს იმ ემოციის გამოხატვა, რომელიც მთების უეცარმა გამოჩენამ აღძრა. ვერანაირ კალამს ვერ შეუძლია აღწეროს ის გრძნობა, რომელიც ჩემში კავკასიის დანახვამ გამოიწვია. მე ნანახი მქონდა თითქმის ყველა ველური და უზარმაზარი მთაგრეხილი პორტუგალიასა და ესპანეთში, მაგრამ არცერთ მათგანს არ მოუნიჭებია სივრცისა და გრანდიოზულობის ისეთი გრძნობა, რომელიც ახლა განვიცადე. კავკასიონი თითქოს ბუნების მიერ აღმართული ბასტიონია ევროპისა და აზიის ერებს შორის. ელბრუსი¹, რომლის კლდეებს შორის, გადმოცემის თანახმად, პრომეთე იყო მიჯაჭვული, დაფარული იყო თოვლით. ამ მთის თეთრი და მოელვარე მწვერვალები სამოთხეს სწვდებოდნენ, მაშინ როცა ქვედა ქედის ფერმკრთალი და უთვალავი მწვერვალები, თუმც მალავი, მაგრამ ზღვის დონიდან შედარებით დაბლა აღმართულები პორიზონტის გასწვრივ გადაჭიმულიყვნენ და სადღაც შორს ღრუბლებში იკარგებოდნენ. რამდენიმე უსწორმასწორო, უზარმაზარი შავი კლდის მასა აღიმართა შუალედური ტრამაილიდან, ის მთის ზომის იყო, მაგრამ კავკასიონთან შედარებით მხოლოდ გორაკს მოგვაგონებდა. თუმცა, მათ შორის არსებული კონტრასტი მშვენიერი იყო. მუქი კლდეები დიდ ეფექტს უქმნიდნენ თვალისმომჭრელ მწვერვალებს, რომლებიც მათ ზემოდან დაჰყურებდნენ. პოეტები არ სცეუიან, როდესაც საუბრობენ ამ ადგილის სიდიადეზე. მე არ მეგულება ადამიანი, ვისაც კავკასიონი

უნახავს და არ განუცდია მღელვარება მისი ეული სიამაყის დანახვაზე.*

...მდინარე თერგი რუსეთის ევროპულ ნაწილს აზიური ნაწილისგან ჰყოფს.** ეს მდინარე კავკასიონის მთებიდან მოედინება. მისი სათავე კობთან ახლოსაა. თერგი, რომელიც მშობლიური მთებიდან ქვემოთ ეშვება, ჩქარი და ხმაურიანია. იმ ძალას, რომლითაც ის მოჩქევს, ვერ შეედრება ვერც ერთი სხვა მდინარე. თერგი ჩრდილო-დასავლეთისკენ მოემართება. მოზდოკიდან დაახლოებით 30 კერსის დაშორებით ის იცვლის მიმართულებას აღმოსავლეთისკენ და როდესაც ის კასპიის ზღვის ნაპირს უახლოვდება, საოცრად მშვიდი და წყნარია. ჩემი დამოკიდებულება თერგის მიმართ განსაკუთრებულია. მე მაოცებს მისი სიგრცე და შენაკადები. ის ხშირად უწყევს მეგზურობას იმ მოგზაურებს, რომლებიც მსოფლიოს ამ კუთხეში ჩამოდიან, იმ სტუმრებს, ვისთვისაც მოგზაურობის მთავარი ადგილი თბილისია. მათ თითქმის ნახევარი გზის გავლა თერგის ახლოს უხდებათ.***

...ჩვენი თანმხლები პირების ჯგუფი სხვადასხვა მოგზაურისაგან შედგებოდა. მათ შორის 4 თუ 5 მამაკაცი თბილისში მიემგზავრებოდა სამოქალაქო მმართველობაში თანამდებობის დასაკავებლად; იყო რამდენიმე სომეხი და ქართველი ვაჭარი; აგრეთვე მამაკაცი, რომელსაც 8 თუ 10 ქალი ახლდა. იქ რამდენიმე მოსამსახურე პირიც

*შემდეგ ავტორი საუბრობს ჩრდილო კავკასიის ქალაქების შესახებ, რომლებიც გზად გაიარა, ესენი იყო: ალექსანდროფი, გეორგიევსკი, კონსტანტინოგორსკი და მოზდოკი.

**ტერმინს – „აზიური რუსეთი“ სხვა მოგზაურებიც იყენებენ. მაგ. სამხრეთ კავკასიაში არსებულ ქვეყნებს ავსტრიელი მოგზაური იდა პფაიფერი „აზიურ რუსეთში“ მოიაზრებს. იხ. იდა პფაიფერის მოგზაურობა კავკასიაში, გვ. 21.

***ამის შემდეგ მოგზაური საუბრობს ყაბარდოელებსა და ჩერქეზებს.

იყო. თითოეული ადამიანი, მიუხედავად იმისა, სამოქალაქო პირი იყო თუ სამხედრო, როდესაც დაინახავდა, რომ მტრულად განწყობილი ხალხის ჯგუფი მათკენ მოემართებოდა, ტენიდა თოვს, ან პისტოლეტს, ან კიდევ იძრობდა ხანჯალს, ან ბებუთს. შეიარაღებულ მამაკაცებს ამ დროს ფერმკრთალი სახეები ჰქონდათ.

...დილის 5 საათზე ჩვენი ჯგუფი გზას გაუდგა. გორები ძაღზე ციცაბო იყო, ბილიკები - სველი და სრი-ალა. ხშირი ტყეები ფარავდნენ მაღალ მთებს. სიარული შემაწუხებელი გახდა. ამას დაემატა ხარების ზანტი სვლა, რაც კიდევ უფრო გვაღიზიანებდა. შვიდი ვერსის შემდეგ ჩვენ ავედით მთაგრეხილის მწვერვალზე, რომელიც ამ ადგილზე კავკასიონის პარალელურადაა გადაჭიმული. მწვერვალზე ასვლისას დაგეხვდა დაპირებული მაშველი რაზმი, რომელიც შედგებოდა 50 ჯარისკაცის, 6 ოფიცრისა და ოცამდე კაზაკისაგან. ოფიცერმა ერთი საათის განმავლობაში შეგვაჩერა, რათა ურმების კოლონა ზემოთ ამოეყვანა.*

ვლადიკავკაზში გამგზავრებისას ჩემს მარჯვნივ მიწუხჩუხებდა თერგი... ჩემს წინ გამოჩნდა დიდებული კავკასიონი, მთელი სამყარო თავისი კლდეებით და დათოვლილი, ზეცაში აწოწილი მწვერვალებით, გადაჭიმული აღმოსავლეთით და ჩრდილოეთით ჰორიზონტამდე. ამ სანახაობამ ადამიანს შეიძლება სუნთქვა შეუჩეროს; სული შემეგუბა იმ საოცარი შთაბეჭდილებისგან და უსაზღვრო სიდიადისგან, რომელიც ჩემს თვალწინ გადაჭიმულიყო. ამაყად აღმართული ელბრუსის მთა შორ მანძილზე კი იყო, მაგრამ მისი თოვლით დაფარული მთაგრეხილები, განსაცვიფრებლად მოჩანდა. ოცდამდე ვერსის გავლის შემდეგ მივადწიეთ იმ ადგილს, საიდანაც

* ამის შემდეგ მოგზაური საუბრობს ჩვენებზე, მათ რელიგიასა და ალათ-წესებზე.

საქართველოსკენ მიმავალი გზა იწყებოდა. ვლადიკავკაზი თავისი სიძლიერით ერთ-ერთი ყველაზე დიდი და მნიშვნელოვანი სამხედრო სადარაჯო პუნქტია, რომელსაც რუსეთი ფლობს კავკასიაში. იქ განლაგებულია გარნიზონი.*

დილის 6 საათზე გავემართეთ. ხილთ გადავედით მდ. თერგზე. წელიწადის ამ დროს მდინარე არ არის განიერი, მაგრამ საოცრად სწრაფია. წყლის დინებას კალაპოტში აფერხებს უამრავი ქვა, მდინარის ზათქი დიდ მანძილზე ისმის.

ველი, რომელზეც თერგი მიედინება, ძველად ცნობილი იყო „პორტა კაუკაზიას“ სახელით, რადგან ის დიდ ჭიშკარს წარმოადგენდა მთაში მცხოვრებ სხვადასხვა ხალხებთან ურთიერთობისთვის. ეკატერინე II² იყო პირველი ევროპელი მმართველი, რომლის ჯარმა ჩრდილოეთიდან შეძლო იქ შეღწევა. რუსეთის ჯარის ერთი ნაწილი, გენერალ ტოტლებენის³ მეთაურობით, სწორედ აქედან შევიდა საქართველოში და დააგო გზა, რომელმაც შემდეგ განსაზღვრა ეკატერინე დედოფლის სურვილი, ამ ადგილიდან გაეყვანა გზა თბილისამდე. პროექტი, რომელიც ფრიად მნიშვნელოვანი იყო თავისი სამომავლო შედეგის გათვალისწინებით, ვერ განხორციელდა. დედოფლის ეს ჩანაფიქრი განახორციელა მისმა შვილიშვილმა, მისმა ახლანდელმა უბრწყინვალესობამ⁴. მან გააგზავნა გენერალი ციციანოვი⁵ 1804 წელს, რათა წამოწყებული საქმე ბოლომდე მიეყვანა. მუშების დაუღალავი და ყურადღებიანი, გუდმოდგინე შრომის წყალობით და გენერლის მონღომეხით გზის გაყვანა დასრულდა. ეს გზა ერთ-ერთ საოცრებად მიმაჩნია. ყველა მეგზური, რო-

*ამის შემდეგ ავტორი საუბრობს თათრებსზე, რომლებიც სახლობდნენ ვლადიკავკაზის მახლობლად.

მელმაც ამ უსაფრთხო გზით იმოგზაურა, ამ გზის დამგები ხალხის მადლიერი უნდა იყოს.

სამხედრო სადგურ ლარსში, სადაც ესკორტი უნდა შეგვეცვალა, ხედი უფრო მეტად გასაოცარი და დიდებულია. აქ ხევი ვიწროვდება და საშინელ უფსკრულამდე მივყავართ; ისეთი ციცაბო, უსწორმასწორო და კლდეებში მოქცეულია, თითქოს წარღვნის წყლებს გაეყოს ორად. მისი გრანიტის გვერდები თითქმის პერპენდიკულარულია, ხოლო სიმაღლე ასობით ფუტია. მათი წვეროები ღრუბლებში იკარგება, ღრუბლები ქედის გასწვრივ გადიან ან დაბლა უფსკრულისკენ მიემართებიან, სადაც ორთქლის ზღვას ჰქმნიან, რომელიც ჩვენს თავებს მალდა, კლდეებში ირევა და ეს სანახაობა ძალზე უჩვეულო და დიდებულია. მოკლედ რომ ვთქვათ, სულის ეს აღუწერელი ემოცია, რომელიც ბუნების საოცარი სიდიადის დანახვისას გვეუფლებოდა, ხშირი მეგზური იყო ამ რეგიონში.

რუსების სადარაჯოების უმეტესი ნაწილი განლაგებულია ძველი ციხესიმაგრეების ადგილზე. ამ ძველი საფორტიფიკაციო საშუალებების ნაშთები ახლაც ჩანს, როდესაც ახალი ციხესიმაგრეებისთვის საძირკველს თხრიან. ლარსში და მისგან ერთი ვერსის დაშორებით ახლაც შემორჩენილია საკმაოდ ძველი, მაღალი კედლები და კოშკის ფრაგმენტები, რომლებიც ციცაბო კლდის წვეროებს გადაჰყურებს, ისინი ხევის გასასვლელს იცავდნენ. ამბობენ, რომ ერთ-ერთი მათგანი იყო ის ადგილი, სადაც ხერგილი იყო მოწყობილი, რომელიც ანტიკურ ეპოქაში ხშირად გამოიყენებოდა. ეს ადგილი ისეა ჩახერგილი ბუნების წყალობით, რომ ძალიან მცირე ძალისხმევას საჭირო ამ ჭიშკრის ჩასაკეტად.

დადგა სადამო, ადგილს, სადაც უნდა გავჩერებულიყავით, გარკვეული მანძილი გვაშორებდა. სულ უფრო და უფრო მწყდებოდა გული, რომ სიბნელის გამო ვერ

ვხედავდი ბუნებას, რომლის გავლაც გვიწევდა, გარდა მოსალოდნელი საფრთხისა, სიბნელემაც იმატა და რთული იყო ირგვლივ რამის გარჩევა. ამ ადგილს, მისი წარსულიდან გამომდინარე, ჩვენ ჩუმად, მაგრამ შიშის გრძნობით გავდიოდით; ხევის დასაწყისში მოჩუხჩუხე წყლის ხმაური და ბუნდოვანი აზრები, რომლებიც უცხო ქვეყანაში დამეში მგზავრობისას, გეუფლება, ადამიანს ეუფლსა და განმარტოებულს გხდის; ეს გრძნობები გეძალდება მაღლა, მთაში, - შიში რაღაც შეუცნობელის წინაშე.

დერიალი⁶, რუსული სამხედრო სადგური, იყო ის ადგილი, სადაც დამე უნდა გაგვეთენებინა. როდესაც ვუახლოვდებოდით ამ საგუშაგოს, გზა უფრო მეტად გაურკვეველი გახდა, მისი უმეტესი ნაწილი კლდეში გაყვანილ მიწისქვეშა გასასვლელში გადიოდა. დერიალი დაახლოებით ერთი მილით არის დაშორებული საგუშაგოდან. გამოვედით მდინარის ნაპირთან, რომელიც ციცაბო უფსკრულის ძირში გადიოდა; აქედან ხის ხიდზე გადავედით და საგუშაგოს რაზმის დაცვის ქვეშ, უსაფრთხოდ მივაღწიეთ გასაჩერებელ ადგილს. გავიგეთ, რომ ადგილობრივ მოთარეშეებს* დაკავებული ჰქონდათ გზის ის მონაკვეთი, რომელიც ჩვენ მეორე დღეს უნდა გაგვევლო; გამცილებლების უსაფრთხოების მიზნით, დილით ადრე საგუშაგოს ოფიცერმა მათ დასარბევად ქვეითი რაზმი გაგზავნა. შესაბამისად, ჩვენი მოგზაურობა შეეყოვნდა, სანამ არ მივი-

*ჩვენი აზრით, ამ მოთარეშეებში მოგზაური ოსებს უნდა გულისხმობდეს. ოსების მხრიდან მგზავრების გაძარცვის ფაქტები ძალზე ხშირი იყო. აღსანიშნავია, რომ ისინი გზის იმ მონაკვეთის გავლაში, რომელსაც თვითონ აკონტროლებდნენ, მგზავრებისაგან გასამრჯელოს იღებდნენ. ამის შესახებ ძალზე საინტერესო ცნობებს გვაწვდის გერმანელი მოგზაური იოჰან ანტონ გიულდენშტედტი, იხ. გ. სოსიაშვილი, გერმანელი მოგზაურები ოსების შესახებ, თბ., 2007, გვ. 11-12.

დეთ ოპერაციის წარმატებით დასრულების ამბავი. მე გამომიჩნდა დრო, დამეთვალყურებინა ქვეყნის ის ნაწილი, რომელიც წინა დამით გამოვიარეთ.

რუსული საგუშაგო დერიალი განლაგებულია უზარმაზარი უღელტეხილის ქვემოთ, რომელსაც იგივე სახელწოდება აქვს. ჩვენ გარშემო ჩამოკიდებული იყო კლდეების უზარმაზარი მასა, რაც იქაურ სიტუაციას საზარელს ხდიდა. ერთ-ერთი ასეთი კლდიდან, თერგის მარცხენა ნაპირზე, მოჩანს ძალიან ძველი კოშკის ნანგრევები. მე შევძელი ავცოცებულიყავი ზემოთ და იქ აღმოვაჩინე ოთხკუთხედი ფორმის ნაგებობის ნანგრევები, რომლებსაც გარშემო სქელი მასიური კედელი ჰქონდა შემორტყმული. კედლის შიგნით დიდი სივრცე იყო, ისეთი, რომ იქ შესაძლებელი იყო რამდენიმე ასეული ჯარისკაცის გარნიზონის განლაგება. ის კონსტრუქცია, უდაოდ, დარიალის ხეობის გასასვლელის ციტადელი უნდა ყოფილიყო. იქვე გამოჩნდა გარეთა სიმაგრის ნანგრევები. კოშკის უკანა მხარეს წყლის ავზის ტიპის ნანგრევებია. სწორედ მისი მეშვეობით მიეწოდებოდა აქ განლაგებულ სამხედრო გარნიზონს სასმელი წყალი. ჩვენი აზრით, ამ ადგილზე ჯარისკაცებისა და რქოსანი პირუტყვის საჭმლითა და წყლით მომარაგების შესანიშნავი პირობები არსებობდა. ჩვენ ვერ წარმოგვიდგენია გარნიზონისთვის განკუთვნილი უკეთესი ადგილი, ვიდრე ის ხეობა.

ხეობის გასასვლელი იმ ადგილას 30 იარდს⁷ არ აღემატება. ბუნების სიდიადე შერწყმული წარსულის დიდებასთან, უდავოდ მაფიქრებინებს, რომ უძველეს დროში ეს ხეობა იყო ძირითადი კარიბჭე, რომლის მეშვეობითაც ხდებოდა ჩრდილოეთში მცხოვრები სხვადასხვა ხალხის იბერიასთან ურთიერთობა.

პლინიუსი⁸ ასე აღწერს დერიალის ხეობას: „თითოეული გასასვლელი ჩაკეტილი იყო ხის დიდი მორებით,

რომელთა ბოლოები რკინის იყო. ვიწრო ხეობის შუაში მიედინებოდა მდინარე. მაღალ კლდეზე აგებული კოშკი სამხრეთს ჩრდილოეთის ხალხთა შემოსევებისგან იცავდა.

პტოლემეის⁹ მიხედვით სამი დიდი ხეობა არსებობდა კავკასიაში: the Pyle Sarmata, the Pyle Albanie და Via Caspia. პირველი the Pyle Sarmata იგივე უნდა იყოს, რაც პორტა იბერია, ანუ, პორტა კავკასია, რომელზეც სტრაბონი¹⁰ მიუთითებდა და ის დღევანდელი თერგის¹¹ ხეობაა.

The Pyle Albanie და the Vie Caspia ერთი და იმავე ადგილის სახელწოდებაა, რომელსაც ახლა დერბენტის¹² ხეობა ჰქვია. მაგრამ არსებობდა კიდევ ერთი, პორტა კუმიანადა. ის მოშორებით, დასავლეთში მდებარეობდა. პლინიუსი მას განსაკუთრებით იხსენებს და ციხესიმაგრეს კუმიანიას¹³ სახელით აღნიშნავს. ეს ხეობები, აღმოსავლეთის გასაღებები, ყოველთვის საგანგებოდ იყო დაცული, რადგან ისინი, ვინც მათ იცავდა, კარგად ხვდებოდნენ მათ მნიშვნელობას. მაგრამ ლეონ I-მა¹⁴ ბარბაროსების შემოსევები არჩია, ვიდრე გაეღო მცირედი ხარჯი, რომ დაეცვა ხეობის კარი, რომელიც მის საზღვრებს ამაგრებდა. იმპერატორმა იუსტინიანემ¹⁵ უკეთ შეაფასა ამ ხეობის მნიშვნელობა. მან დადო ზავი სასანიანთა ირანის მეფე კავადთან¹⁶ 523 წელს, რომლის თანახმად ხეობა ორივე ქვეყნის - რომისა და ირანის მმართველებს უნდა დაეცვათ. თუ მხოლოდ კავადის ჯარი დაიცავდა, მაშინ რომაელებს ირანის შაჰისთვის უნდა გადაეხადათ 1 მილიონ 100 ათასი ფუტის წონის ოქრო, რაც ორმაგად გაწეული სამსახურის საფასური იქნებოდა.

სიტყვა დერიალში პირველი მარცვალი, ისევე როგორც სიტყვა დერბენდში, ჭიშკარს აღნიშნავს. ამ სიტყვების მნიშვნელობა ადასტურებს იმ ფაქტს, რომ ხეობაში არსებობდა მთავარი ბარიერი და რომ ლარსის კოშ-

კები და მის ქვემოთ არსებული პატარა სამხედრო სადგურები უთუოდ იყო ურთიერთობის ჯაჭვები, უფრო განსხვავებული სიდიდისა და მნიშვნელობის მქონე სადგურთან, მაგრამ მათ ყველას ერთი დანიშნულება ჰქონდა – ბარბაროსების შემოსევებისგან დაცვა. სანამ რაზმი დაბრუნდებოდა, საკმარისი დრო მქონდა ერთი-ორი ესკიზი გამეკეთებინა ხედისა, რომელსაც ჩემ ირგვლივ ვხედავდი. იმ სურათის დიდებულებას, რაც დავინახე ძველი ციხესიმაგრის სიმაღლიდან და ქვემოთ, რუსული საგუშაგოს განლაგების ადგილიდან, ვერც ფანქრით შევასრულებ და ვერც კალმით აღვწერ. მდინარის ნაპირიდან ათასი ფუტის სიმაღლეზე ამოდის კლდე, რომლის გვერდები სავსეა ბზარებით და შვერილებით, იგი ბნელი და პირქუშია; ძალზე მაღალია და იმდენად ახლოს მოწოლილი, რომ დღისითაც კი მთლიანი ადგილი ჩრდილით არის დაფარული. დოქტორ რენიგის¹⁷ გამოთვლებით, რომელიც 1781 წელს ესტუმრა კავკასიას, დერიალის საგუშაგოს გასწვრივ მდებარე მთების სიმაღლე, არანაკლებ სამი ათას შვიდას ოთხმოცდაექვსი ფუტია. ეს იყო ხანგრძლივი დაკვირვებების შედეგი; ეს სიმაღლე შეიძლება ჩავთვალოთ თითქმის მთლიანი ქედის სიმაღლედ, ელბრუსის და ყაზბეგის მთების გარდა.

პირქუში სილამაზე არ ტოვებდა ჩვენს მარშრუტს დერიალიდან იმ ხეობამდე, საიდანაც ჯარისკაცებს დაუპატიჟებელი სტუმრები უნდა გაედევნათ. იქ ერთი უდაბური ადგილი ვნახეთ, რომელსაც მისი ყოფილი მობინადრეები იყენებდნენ. ჩვენ მარცხნივ არსებული დაბლობი სავსე იყო დიდი რაოდენობით დაბალი სქელი ბუჩქებით და ფიჩხით. ადამიანის თვალისგან კარგად დამალული ეს ბუნებრივი თხრილი მთის მისადგომებთან მთავრდებოდა. ჩასასვლელი რთული ჩანდა, მაგრამ ჩვენ, თავგადასავლის მოყვარულებმა, ჩასვლა შევძელით. აქ საკმაო რაოდენობის ხალხი ჩადის, დაბურულ ბუჩქნარში იმალება,

სანამ არ გამოჩნდება მსხვერპლი, რომ თავს დაესხან. სანამ უსაფრთხოების ზომებს მიიღებდნენ, გაწმენდნენ გზას და ბუჩქებს, ეს გზა ძარცვის და სისხლისღვრის ადგილი იყო. მთის ყაჩაღებმა კარგად იცოდნენ ბილიკები და ყოველთვის ასერხებდნენ გაქცევას. ჩასაფრებულები ელოდებოდნენ კოლონის მოახლოებას. ბუჩქნართან და დამსხვრეული კლდეების სიახლოვეს მყოფნი ცეცხლს უშენდნენ დაბნეულ ხალხს, ზოგი იღუპებოდა, ზოგი დაჭრილი იყო. ხოლო ვინც გადარჩებოდა, ხშირად უკან გარბოდა და გამარჯვებულებს რჩებოდათ ნადავლი, რომელსაც დინჯად, აუჩქარებლად ინაწილებდნენ.

ჩვენ გაძლიერებული ესკორტით გავუდექით გზას, ყაჩაღებს არ შევუწუხებოვართ, თუმცა რამდენჯერმე დავინახეთ მძარცველთა სხვადასხვა დაჯგუფებები, რომლებიც მაღლა, კლდეებზე დაძვრებოდნენ. მათი სასოწარკვეთილი მდგომარეობა და ჩაცმულობა გააძლიერებდა სალვატორ როზას¹⁸ ამ სცენის ნახატს. იყო ალბათობა მათთან გზაზე შეხვედრისა. ესკორტის ოფიცერი ნებას არ მრთავდა ჩანახატი გამეკეთა, იმიტომ, რომ ნებისმიერ წუთს ბუჩქებიდან გამოვარდნილ ყაჩაღს შეეძლო სიცოცხლეს გამოესაღმებინა ჩამორჩენილი მგზავრი. ცდუნებას ბოლომდე ვერ ვუძლებდი, ერთხელ თუ ორჯერ, გამცილებლებთან ერთად ვეცადე, რამდენიმე უბრალო ჩანაწერით დამემახსოვრებინა ეს დიდებული მთები, რომლებიც შეიძლება ვეღარასდროს მენახა.

როდესაც მინდვრის გავლით გავაგრძელეთ გზა, ბუნების საშინელი კატაკლიზმების მოწმენი გავხდით. ბაზალტის სვეტები აღმოჩნდნენ მთების ზედაპირზე დიდი მასების სახით. ისინი სხვადასხვა მიმართულებით ჩანდა: ჰორიზონტალურად, ზოგი აღმართული იყო გროვად, სხვები კი ვერტიკალური მდგომარეობიდან მეტ-ნაკლებად გადახრილნი იყვნენ. თუ შევხედავდით ამ სვეტებს პატარა მანძილიდან, ისინი მოგვაგონებდა უზარმაზარი ძვე-

ლი ქალაქის ნანგრევებს. დიდი სასახლის, ტაძრის ნანგრევები, ნაომარი კედლები ყველგან მიმოფანტული იყო. გრანიტის დიდი ნატეხები ამ სტიქიური უბედურების ნიშანი იყო.

ექვს გარეშე იყო ის ფაქტი, რომ სიცხისა და სიცივის მონაცვლეობამ გამოიწვია ახლანდელი ქაოტური მდგომარეობა. ძველად მიწისქვეშა ცეცხლმა და შემდეგ მზემ ქვეშ არსებული ყინული დაადნო. დამდნარმა წყალმა მთებში ბზარი გამოიწვია. წელიწადის იმ დროს, როდესაც მზის ძალა ყველაზე ძლიერია, თოვლი დნება და, აღწევს რა ღრმად კლდეების ბზარებში, წყალდიდობას იწვევს. მთის შვერილები ირყევა, ველარ ეჭიდებიან მთას და ქვემოთ დიდი, ჭექა-ქუხილის მაგვარი ხმაურით ვიწრო ხევში ეშვებიან, გზად ყველაფერს ხვეტავენ; ხმაური იმდენად მაღალია, რომ ძირს ურყევს ახლომდებარე კლდეებს, ისინიც ქვემოთ ეშვებიან და მიმოფანტული კლდის ნატეხების მასას უერთდებიან. ასეთი შემთხვევების გამო გზა ჩახერგილი იყო და შემოვლას საჭიროებდა; თუ სიახლოვეს არსებული უფსკრულის გამო ამის გაკეთება შეუძლებელი იყო, მაშინ გზა პირდაპირ ჩამონგრეულ კლდეებზე გადადიოდა; რა თქმა უნდა, ასასვლელ-ჩასასვლელი განსაკუთრებით ციცაბო და საშიში იყო. ერთ-ერთი ასეთი გზის გადაკვეთისას ჩვენს ეტლს ღერძი მოსძვრა, რომელიც წინა ბორბლებს აერთიანებდა. დიდი პრობლემა შეგვექმნა, ეტლის შეკეთებაზე დრო დაგვეკარგა; ექვსი ვერსის მანძილზე იყო სოფელი ყაზბეგი, სადაც ჩვენ ეტლის ნელ-ნელა მიყვანას და შეკეთებას ვაპირებდით, თოკებისა და კარგი ხასიათის მქონე გამცილებლების წყალობით, რომლებმაც თავიანთი მხრებისა და გამომგონებლური ნიჭის წყალობით შეძლეს ეტლის დანიშნულების ადგილზე მიტანა; როდესაც ჩავედით სოფელ ყაზბეგში, დაახლოებით დღის 2 საათი იყო.

დაბლობი, რომელიც ჩვენ წინ თანდათან ჩნდებოდა, უღამაზესი სანახავი იყო. მის ზემოთ აღმართული განსხვავებული ფორმისა და ფერის უსასრულო მთები გვერდიგვერდ იყვნენ ჩამწკრივებულნი და თავიანთი სიმაღლითა და სიღიალით ელბრუსის მთას მეტოქეობას უწევდნენ. ყაზბეგის მთა პაროტის¹⁹ მიხედვით შავი ზღვის დონიდან 14.400 ფუტზე²⁰ მდებარეობს. სოფელს, რომელიც იმავე დასახელებისაა, რაც მთა, წინათ სტეფანწმინდა ერქვა იმ წმინდანის²¹ პატივსაცემად, რომლის სახელზეც აგებულია ეკლესია.

სახლი, სადაც მე შეეჩერდი ჩემი ეტლის აუცილებელი შეკეთების დროს, ეკუთვნოდა ქვრივ ქალს. მისი მეუღლე ადგილობრივი თავკაცი იყო. მას რუსების ჯარში კარგი და ერთგული სამსახურისთვის გენერალ-მაიორის წოდება უბოძეს. აქ მაცხოვრებელ ხალხში მიღებული არ იყო გვარების ქონა. ამიტომ გარდაცვლილმა, რათა შეწყობოდა თავის ახალ პატრონებს – რუსებს, აიღო გვარი ყაზბეგი²², იმ უძველესი მთის სახელი, რომლის ჩრდილშიც ის და მისი წინაპრები დაიბადნენ და ცხოვრობდნენ. სოფელმაც ამ პიროვნებისგან მიიღო ეს სახელწოდება - ყაზბეგი. ყაზბეგში დასახლებულნი არიან ოსები. ეს ხალხი შერეული რწმენისაა. მათ შორის არიან ქრისტიანები, მუსულმანები და კერპთაყვანისმცემლებიც²³. სოფელი ყაზბეგი, ისევე როგორც მის ახლოს მდებარე სხვა სოფლები, დასახლებულია უმეტესად ქრისტიანებით, რომლებსაც იგივე სარწმუნოება აქვთ, რაც ქართველებს.* მათი ცოტა ხნის წინ გარდაცვლილი ბელადი ცნობილი იყო თავისი ერთგულებით ქრისტიანული რელიგიის მიმართ. ის მაგალითს აძლევდა თავის ხალხს, მკაცრად

* ყაზბეგსა და მის ახლომდებარე სოფლებში მცხოვრებ ქრისტიანებში ინგლისელი მოგზაური ჩრდილო კავკასიიდან ჩამოსახლებულ ოსებს უნდა გულისხმობდეს.

იცავდა რელიგიურ ადათ-წესებს, ხშირად ადავლენდა ღოცვებს, იცავდა მარხვას და წმინდა დღესასწაულებს. მან შეძლო, ყველა მოექცია თავისი გავლენის ქვეშ. მოსახლეობა მონაწილეობდა არა მარტო ქრისტიანული წესების შესრულებაში, არამედ დიდი პატივისცემით ეპყრობოდა და იცავდა განადგურებულ შენობებს, სადაც ოდესღაც მათი წინაპრები ღოცვებს ადავლენდნენ ერთადერთი ღმერთისადმი. ყაზბეგმა თვითონ ააგო ახალი, შესანიშნავი ეკლესია თავისი ქრისტიანი ძმებისთვის. ტაძარი აშენდა იმ ადგილას, სადაც ადრეც ეკლესია იყო აღმართული, რომლის ნანგრევებს ახლაც დიდ პატივს სცემენ. ძველი ეკლესია აშენებული იყო დაახლოებით 600 წლის წინ ცნობილი ქართველი დედოფლის, თამარის მიერ. ამ მმართველის ერთგულებამ ქრისტიანული რელიგიისადმი მრავალი ხალხი მოაქცია ქრისტიანულ სარწმუნოებაზე, ის ხალხი, რომელიც მის სამეფოს ექვემდებარებოდა. დღესაც პოულობენ საყვარელი დედოფლის სახელზე აგებულ დაზიანებული და ჩამოშლილი ნაგებობების ნაშთებს. ამბობენ, რომ დღევანდელი ქრისტიანი ოსების მოდგმა ყველაზე ცივილიზებულად ითვლება კავკასიაში მცხოვრებ მთის ხალხებს შორის. შესაძლოა ეს ასეცაა, მაგრამ, მიუხედავად იმისა, რომ ისინი ქრისტიანები არიან და უკეთესი კანონებიც აქვთ, ოსები მშვენივრად არიან გაწაფული დაყაჩაღებასა და მკვლელობებში, როგორც მათი მუსულმანი კერპთაყვანისმცემელი ძმები. ოსი მამაკაცები ფიზიკურად ძლიერები, აქტიურები და კარგი აღნაგობის არიან. მათი ადათ-წესები ისეთივეა, როგორც ჩერქეზების. მათ ვერ ნახავთ წელზე შემორტყმული ხმლის გარეშე. ხანჯალი განიერი სახელურთან, ხოლო ბოლოში წვეტიანი. მისი სიგრძე 18 ინჩია²⁴. ყველა მამაკაცი იარაღასხმულია. თითოეული სახლი პატრონისთვის ციხესიმაგრეს წარმოადგენს.

გენერალ ყაზბეგის სახლი ოთხკუთხედი ფორმისაა, ის ქვისგანაა აშენებული. სახლის გარშემო მაღალი კედელია და პატარა სათვალთვალ კოშკი. სახლს მხოლოდ ერთი შესასვლელი – ძალიან ვიწრო კარი აქვს. ოჯახი ბინადრობს სახლის ერთ ნაწილში, დანარჩენი მხარე – შესანიშნავი ოთახებით განკუთვნილია სტუმრებისთვის. მე მქონდა პატივი გაეჩერებუდიყავი ერთ-ერთ ასეთ ოთახში. ჩამოსვლისთანავე მე დამხვდა 12 წლის ბიჭი - განსვენებული გენერლის ვაჟი. მან ისეთი სტუმართმოყვარეობით მიმიღო და ისე შეასრულა მასზე დაკისრებული მოვალეობები, რასაც მასზე ორჯერ უფროსი ასაკის ადამიანი ვერ შეძლებდა. დედამისი ავადმყოფობის გამო არ გამოჩენილა. მაგრამ მან გასცა განკარგულება, რომ ჩემთვის მოემზადებინათ საჭმელი, რომელიც შედგებოდა გამოყვანილი თევზის, შემწვარი ხორცის პატარა ნაჭრების, მშვენიერი პურისა და კარაქისგან და ბოლოს ყავისგან. ორმა ჩემმა თანამგზავრმა გაიზიარა ასეთივე მიღება და საჭმელი.

ჩვენი გამცილებლების გარეგნობა, მათი სახის გამომეტყველება გვაგონებდა უფრო ბანდიტებს, დაქირაებულ მკვლელებს, ვიდრე ხალხს, რომელსაც ჩვენი თავი უნდა დაეცვა. ყველა მამაკაცი შეიარაღებული იყო. ტანსაცმლის მკერდის ჯიბეები სავსე ჰქონდათ პატრონებით. თავში რამდენჯერმე გამიელვა, რომ, როდესაც გავემგზავრებოდით კობში, თუ მათ მიეცემდი შესაძლებლობას, ამ ველური სახის მქონე მამაკაცებს თავისუფლად შეეძლოთ ჩემი დაყაჩაღება და მოკვლა. გამიგია, რომ კარგი განწყობით მიღებული და პატივმცემი სტუმრები ხშირად ხდებიან მასპინძლების მსხვერპლნი. მთის ხალხის წარმოდგენით სტუმარი ჭიშკრის შიგნით და მის გარეთ – განსხვავებული მცნებებია.

მითხრეს, რომ გენერალი, რომლის სახლშიც მე დამეგათენე, მდიდარი იყო. მას სიმდიდრის დიდი ნაწილი

თავისი ცხოვრების ადრეულ წლებში დაუგროვებია. რუსებმა დააგეს გზები, რომელთა საშუალებით შესაძლებელი გახდა ეტლებით და ცხენებით მოძრაობა. მათ აგრეთვე ააშენეს სამხედრო სადგურები, რომლებიც განლაგებულია მოსახერხებელ ადგილებსა და მანძილზე. ფოსტის შენობები და კარგად შეიარაღებული ესკორტებიც მათი დამსახურებაა.

ეტლებზე გადასატანი ტვირთისთვის რუსებმა დააწესეს გადასახადი, რომელიც ვლადიკავკაზში იკრიფება. (ვლადიკავკაზი ითარგმნება, როგორც კავკასიის გასაღები). ვაჭრები იხდიან გარკვეულ თანხას – 20-დან 25 რუბლამდე. ამ თანხაში შედის პირადი პასპორტის თანხაც. სხვა მოგზაურები უფასოდ მგზავრობენ, ისევე როგორც მე.

მინდა მოგითხროთ ჩემი შთაბეჭდილება სუსტი სქესის ორ წარმომადგენელზე, რომლებსაც თვალი მოვკარი გენერალ ყაზბეგის ეზოში ფეხით სეირნობის დროს: მათ არავითარი პრეტენზია არ უნდა ჰქონდეთ სილამაზეზე. ისინი საკმაოდ დაბალი ტანის არიან, აქვთ განიერი ლოყები, ბრტყელი ცხვირები. შავგვრემანები და შეუხედავები არიან. მათ გარეგნობაში მხოლოდ თვალებია კარგი. მეხსიერებაში დამრჩა მათი ჭუჭყიანი, შიშველი ფეხები. ქალების სამოსი განსხვავებული იყო. რამდენიმეს ეცვა პერანგისმაგვარი ტანსაცმელი, მაგრამ პირბადე არ ეკეთათ სახეზე. დანარჩენები ღამის პერანგისმაგვარ კაბებში იყვნენ, გრძელი ქართული სახელოებით. ქვემოთ ყველა ქალს განიერი შარვალი ეცვა.

მამაკაცები უხეში ნაჭრისგან შეკერილი ტანსაცმელით იყვნენ შემოსილნი. წელზე შემორტყმულ ქამარზე ხმლები ჰქონდათ ჩამოკიდებული. თუ ქალის ტანსაცმელი მნახველში იწვევდა სიღარიბის გრძნობას, მამაკაცის ჩაცმულობა ასოცირდება ვაჟკაცობასა და კოლორიტულობასთან. ერთ ჯგუფად მღვარი კაცები, რომლებიც მჭედ-

ლის სახელოსნოსთან შეგროვდნენ, შესანიშნავი ესკიზი იქნებოდა მხატვრისთვის. მჭედელი მუშაობდა, მის გარშემო კი 10-12 მამაკაცი იდგა და ისინი ისე ხმამაღლა საუბრობდნენ, რომ მათი ლაპარაკის მანერის აღწერა ენით შეუძლებელია. ყველა ლაპარაკობდა ერთდროულად, ზოგი ღრიალებდა და ლაპარაკს თან ერთვოდა ქესტიკულაცია ხელებით და სახის ნაკეთებით. მე ისეთი შეგრძნება მქონდა, რომ მათი ლაპარაკი აფეთქებით დასრულდებოდა. მამაკაცი, რომელიც გზების ინსპექტორი იყო და იმ დროს თან მახლდა, კარგად იცნობდა ადგილობრივი მოსახლეობის ხასიათს. მან მითხრა, რომ ასეთი საუბარი ჩვეულებრივი და დამახასიათებელი იყო ამ ხალხისთვის. ისინი დისკუსიის საგანს განიხილავდნენ, მაგრამ თუ არგუმენტი რთულ ფორმას მიიღებდა, მაშინ შედეგი ძნელი წარმოსადგენი იყო. ჩხუბი შეიძლება დაწყებულიყო საშინელი მუქარით, ხანჯლების ტრიალით, რასაც მოჰყვებოდა სიბრაზის ნებისმიერი გამოვლინება. ხშირად ასეთი სიტუაციები „ორთქლის“ გამოშვებით მთავრდება. ორივე მხარის მტრული განწყობა მალე არყის სმით სრულდება. თუმცა, მთის ხალხში არსებული ადამ-წესების თანახმად, სიტყვიერი შეხლა-შემოხლა ყოველთვის მშვიდობიანად არ მთავრდება. თუ რომელიმე პიროვნება მოკვდება მეზობლის ხელით, მთის ხალხში (ყაბარდოელი, ჩეჩენი) გარდაცვლილის უახლოესმა ნათესავმა შური უნდა იძიოს მკვლელზე²⁵. იყო ისეთი შემთხვევები და ისინი ახლა უფრო გახშირდა, როდესაც დაზარალებული მხარე ურიგდება მოწინააღმდეგეს გარკვეული თანხის აღებაზე, ან მყარდება ცოლ-ქმრული კავშირი კარგი მხითვის პირობით. მტრული განწყობა ოჯახებს შორის მთავრდება და ოდესღაც ერთმანეთისადმი მტრულად განწყობილ ოჯახებს შორის მყარდება ახლო მეგობრობა.

მარტო მომიხდა მგზავრობა კობისკენ. ჩემი თანამგზავრები გაქრნენ. ეტლს ახლდა 25 ჯარისკაცისგან შემდგარი დაცვა. 15 მათგანი შეიარაღებული იყო მუშკეტებით²⁶. დანარჩენის მოვალეობა იყო დახმარება გაეწიათ ეტლისთვის ციცაბო გორებსა და ცუდ გზებზე მგზავრობის დროს. კობი მდებარეობს ყაზბეგიდან 16 ვერსის დაშორებით.

ღამის 11 საათისთვის გაყინული და სველი ჩავედი კობში. კობის სადარაჯო, სხვა სადარაჯოების მსგავსად, ოთხკუთხა საგუმავოა. კობის ახლოს მიედინება ჩვენი ძველი თანამგზავრი მდინარე თერგი, რომელიც ივსება მდ. თეთრიწყლის წყლით და ამ მდინარესთან შეერთების შემდეგ დასავლეთიდან 35 ვერსის სიგრძეზე ჩრდილო-აღმოსავლეთის მიმართულებით მოედინება. თერგი უღამაზესია იმ ხედის გარემოცვაში, რომლის გასწვრივაც ის მიედინება.

ქვეყნის იმ ნაწილში მრავალი ნათელი და ღამაზი სოფელია, რომლებშიც უმთავრესად მუსულმანები და კერპთაყვანისმცემლები სახლობენ. ყველაფერი, რაც დაკავშირებული იყო ქართველი დედოფლის, თამარის მიერ დაარსებულ და შექმნილ ქრისტიანულ ძეგლებთან, დავიწყებას მიეცა ამ კუთხეში. გავრცელებულია მუსულმანური სარწმუნოება, რომელმაც შეცვალა ქრისტიანობა, რასაც ხელი შეუწყო სულთნების პოლიტიკამ²⁷. ისინი გარკვეულ თანხას აძლევდნენ იმ ოჯახებს, რომლებიც თანხმდებოდნენ ბავშვების გამაჰმადიანებაზე. მიუხედავად იმისა, თუ რომელი რელიგიის მიმდევრები არიან ეს მთის ტომები, ყველას სწამს, რომ მათ იცავს კეთილი სული, რომელსაც ისინი ევედრებიან ხოლმე დახმარებას უბედურებისა და ავადმყოფობის დროს, ასევე შინაური შუღლის მოსაგვარებლად, ომების წარმოებისას, ქარავნებისა თუ ცალკეული მგზავრების გაძარცვისას. ზოგიერთი ოსი მამაკაცი ამ მხარეში დასაქმებულია იმით, რომ ზამთარ-

ში დახმარებას უწევს მგზავრებს თოვლიან მთებში ასვლის დროს.

ჯვრის მთის მწვერვალზე და იმ ადგილას, სადაც არაგვის ველისაკენ იწეება დაღმართი, აღმართულია დიდი ქვის ჯვარი. ჯვარიც და კვარცხლბეგიც ერთი და იმავე მასალისგანაა დამზადებული. ეს ჯვარი გახლავთ საკადრისი მემორიალური ძეგლი იმ ადამიანებისადმი, ვინც შეძლო, თავი დაედოთ ყველა იმ განსაცდელისათვის, რაც ამ მგზნებარე და საშიშროებით საესე მოგზაურობის დროს შეხვდა და ვინც უვნებლად მოახერხა ამ პუნქტამდე მისვლა. მართლაცდა, შეუძლებელია ადამიანის გონებამ მეტად გამოსატოს თავისი დამოკიდებულება და მადლიერების გრძნობა [შემოქმედისადმი] აქ, სადაც ეს ქვაა აღმართული. წყალუხვი არაგვი ამაყად და დიდებულად მიედინება სამხრეთ აღმოსავლეთისკენ, კუმლის ციხის²⁸ მთების მაღალ მთაგრეხილებსა და ტყით დაფარულ გოგ და მაგოგ²⁹ მთებს შორის. მშვიდი მთების ხედი ნათელ, კაშკაშა, სახარბიელო და მაცდურ კონტრასტს ქმნის ჩრდილოეთის უზარმაზარ, ცივ და უნაყოფო მხარესთან შედარებით. იქ არაფერი ჩანს, გარდა ფერმიხდილი და ღრუბლებში გახვეული ყაზბეგის მწვერვალის და მისი კლდიანი მცველებისა, რომლებიც თითქოს უბღვერენ ბედნიერ მოგზაურს, რომელიც ასეთ არასტუმართმოყვარე, მაგრამ დიდებულ მხარეს ემშვიდობება.

ჩვენ დავიწყეთ ძირს დაშვება. ასეთი ციცაბო გზა ჯერ არ გაგვივლია. ეტლის ყველა ბორბალი გაფუჭდა. ათი თუ თორმეტი ჯარისკაცი იძულებული გახდა გამოეყენებინა საკუთარი ძალა, რათა თოკებით დაეჭირათ გადამზიდი საშუალება და თავიდან აეცილებინათ ცხენებზე დაწოლა. ცხენები ძლივს იკავებდნენ თავს, რომ ძირს არ დაცურებულიყვნენ. ჩვენ იძულებული გახდით, კვლავ მთაზე ავსულიყავით, რომელსაც გუდგორა³⁰ ერქვა. მის ზედაპირზე თოვლი არ იდო. როდესაც ზურგი შევაქციეთ

ამ უზარმაზარ მთებს, მე ვცდებოდი, როდესაც მეგონა, რომ ყველანაირი ალკური სიძნელე გადავლახეთ, როცა წმინდა ჯვართან ავედით. მაგრამ მალე გავიგეთ, რომ მოგზაურები, რომლებიც აქ ჩამოდიოდნენ საქართველოდან უსაფრთხოდ გავლილი გზის გამო მადლიერები უნდა ყოფილიყვნენ და დარჩენილი გზის მშვიდობით გავლისთვის ღვთის წყალობა ეთხოვათ.

ენით აღუწერელია გზის საშინელი მდგომარეობა, რომელიც ჩვენ წინ გაჩნდა გუდგორას წინ. ის კლდის პერპენდიკულარულად ფოფხვასთან შედარებით ოდნავ უკეთესი იყო. ბილიკი, რომელზედაც მივდიოდით, ფაქტიურად 10-12 ფუტის იყო და მთის გარშემო იკლაკნებოდა. როდესაც ამ ბილიკზე მივდიოდით, შორს, ქვემოთ დავინახეთ მაღალი მთების მწვერვალები, სოფლები, გაშლილი ტყეები. ამ თავბრუდამხვევი სანახაობის თვალის მოწყვეტა შეუძლებელი იყო. მწვანე უფსკრულის ძირში ვერცხლისფერ ზოლად გამოჩნდა არაგვი.

მე აღელვებული ვუთვალთვალე ჩემს თანამგზავრებს, რომლებიც ქვიან შვერილებს ებლაუჭებოდნენ და ასე მოიწვევდნენ ზემოთ ამ საშინელ კლდეზე. ჩვენ ყველაზე უფრო იმის გვეშინოდა, რომ ცხენებს, რომლებიც ეტლებს ექაჩებოდნენ, არასწორი ნაბიჯი არ გადაედგათ, ან არ დამფრთხალიყვნენ. ორივე შემთხვევაში მათ უფსკრულში ჩავარდნისაგან ვერაფერი იხსნიდა. მაგრამ ჩემი აღფრთოვანება ისეთივე დიდი იყო, როგორც ჩემი გაკვირვება, როდესაც მოწმე გავხდი იმ სრული სიმტკიცისა და პიროვნული სიმამაცის, რომლითაც ჯარისკაცები ჩემს ეტლთან ისე ახლოს მოდიოდნენ, რომ მათ უფსკრულის ნაპირს ერთი ფუტი ძლივს აშორებდათ. ჯარისკაცები ბორბლებს ხელებით აკავენდნენ, რათა არამყარ და უზარმაზარ ღოდებს, რომლებიც გზას ხერგავდნენ, ეტლი არ გადაეყირავებინათ.

ასეთ გზაზე ჩვენ გავიარეთ სამი ინგლისური მილი³¹. მხოლოდ ამ გზის გავლის შემდეგ შევძელით შიშისგან განთავისუფლება და თავისუფლად სუნთქვა იმ სუნთქვით, რომელიც ჩვენმა თავბრუდამხვევმა მაღლა სვლამ ჩაახშო, მაგრამ ის საშიშროება, რომელსაც ამ საშინელ აღმართთან წავაწყდით, არაფერი იყო იმ საფრთხესთან შედარებით, რომელიც იმ ადამიანებს ექმნებათ, რომლებიც აქ ამოსვლას ზამთარში ბედავენ. წელიწადის ამ დროს ყველაფერი თოვლშია დამარხული. ეს ბილიკი მთის გვერდთან პერპენდიკულარულად მოჩანს. მასზე გაელა სხვაგვარად შეუძლებელია, თუ არა მხოლოდ ფეხით. მოგზაურებს, რომლებიც აქ ამოდიან, მეგზურობას უწევენ და წინ მიუძღვიან ჯარისკაცები, ან ადგილობრივი მკვიდრნი, ისინი ერთ რიგად მიიწევენ მაღლა. მას, ვინც პირველი მიდის, წელზე თოკი აქვს მიბმული. მისი თანმხლები პირები ამ თოკს სხვადასხვა სიგრძეზე ეჭიდებიან, რადგან ისინი ერთიმეორის უკან მიდიან. ეს ხერხი გამოყენებულია ლიდერის დაღუპვის თავიდან ასაცილებლად, თუ მას ფეხი დაუცდება არასაიმედო ბილიკზე. მიუხედავად ასეთი სიფრთხილისა, არც ერთი ზამთარი არ ჩაივლის ისე, რომ მოგზაურების გარდა რამდენიმე ჯარისკაცი, კაზაკი ან ადგილობრივი მკვიდრი არ ჩავარდეს ამ საშინელ ხრამში.

როდესაც ერთ-ერთ ჩემს თანმხლებ პირს, რომელიც ამ ქვეყნის მკვიდრია, ვკითხე, თუ რა ხდებოდა მაშინ, როცა ამ გზაზე ეტლები ერთმანეთს ხვდებოდნენ, მან მიპასუხა, რომ ასეთი შემთხვევის დაშვება შეუძლებელია. როდესაც თანმხლებ პირებს უნდა გაეცლოთ რომელიმე მიმართულებით, ხალხი წინასწარ იყო გაგზავნილი საკმაოდ ადრე, რათა შეეყოვნებინა მსვლელობა, სანამ გზა გაიხსნებოდა. როდესაც გზის გასწვრივ მივდიოდით, მე მოაცუბდა ის, რომ მთელი გზის მანძილზე მისი ყველა

სახიფათო ნაწილი ყველაზე უყურადღებოდ იყო დატოვებული. გარდა იმისა, რომ გზა ძალიან ვიწრო იყო, მისი ამგვარი მდგომარეობა მის დიდ საფრთხეს ზრდიდა. ჩვენ შეგვეძლო, ყოველ ორმოცდაათ იარღზე წაებორძიკებულიყავით უზარმაზარ და არამყარ ღოდებზე, რომელთაგან ზოგი მიწაში ნახევრად იყო ჩაფლული, სხვები კი ზუსტად უფსკრულის კიდეზე ეყარა. მთების ბუნებიდან გამომდინარე, რომელიც ფენოვანი კლდეა, მცირე სიძნელის დაძლევისა და გარჯის შედეგად შესაძლებელი იქნებოდა ამ ბილიკის გაგანიერება და გასწორება.

როდესაც ჩავედით ვაკემდე, მთები ისე საზარლად და უდაბურად აღარ გამოიყურებოდნენ. მათი ფორმები ქვემოდან უფრო მომრგვალებული ჩანდა. ისინი ტყითა და მდიდარი მცენარეული საფარით იყვნენ დაფარულნი. მუდმიდური და ველური კლდეები, რომლებსაც ბოლო დროს ასე შევეჩვიე, იშვიათად მოჩანდა. ოთხ საათზე მივედით კაშოურის საგუშაგომდე³².

ეცემა.“ ქართველ თავადებს შორის არსებულმა გამუდმებულმა შედეგმა, ქვეყანაში კანონისა და სამართლის არარსებობამ, ლეკების სისტემატურმა შემოსევებმა, თურქებისა და ირანელების სისხლიანმა ომებმა საქართველოს მოსახლეობა სიზარმაცემდე, უვიცობამდე, სიღარიბემდე და სასოწარკვეთილ მდგომარეობამდე მიიყვანა. ასეთი მდგომარეობა საერთოა თითოეული იმ ქვეყნისათვის, სადაც გამუდმებული ომებისა და სხვადასხვა დამპყრობლების არსებობის გამო წესრიგი არ ყოფილა. ზოგიერთი მომხდური ბარბაროსები იყვნენ, იყვნენ ისეთებიც, რომლებიც მხოლოდ ახლა ითვისებენ და სწავლობენ ქრისტიანული კანონებით ქვეყნის მართვას, სამწუხაროდ, ასეთი იყო სიტუაცია საქართველოში დროთა თანმიმდევრული ცვალებადობის დროს. მაგრამ დაახლოებით 20 წლის წინ საქართველო გახდა რუსეთის ქვეშევრდომი ქვეყანა. ადგილობრივი მოსახლეობის ცნობიერებაში იმედის ბედნიერი ნაპერწკალი გაღვივდა. ახალი მთავრობის დროს ის თავს იმედიანად და უსაფრთხოდ გრძნობს. სანამ საქართველო რუსეთს შეუერთდებოდა, სხვადასხვა ევროპელები, რომლებიც აქ საქმის წარმართვისათვის იყვნენ გამოგზავნილნი, დიდ ძალისხმევას ახმარდნენ თავადებისა და უბრალო ხალხის გაერთიანებას. ეს გამოიხატებოდა თანასწორუფლებიანი მართლმსაჯულებისა და იმ პირობების თანდათანობით გაუმჯობესებასა თუ შეცვლაში, რომლებიც დიდხანს უშლიდნენ ხელს ადგილობრივ მოსახლეობას და სწორედ ამან მიიყვანა ის სიღარიბესა და სავალალო მდგომარეობამდე. ამჟამად საქართველო დაცულია ლეკების შემოსევისაგან, ისევე როგორც თურქებისა და ირანელების თავდასხმისაგან. საქართველოს მაღალი წრის წარმომადგენლებს კვლავ მაღალი თანამდებობები უკავიათ. მისმა უდიდებულესობამ, რუსეთის გულუხვმა მონარქმა ბევრ ქართველ თავადს უბოძა საპატიო საერო და სამხედრო წოდებები, რითაც

გამოხატა თავისი დიდი პატივისცემა მამაცი და სანდო ქართველების მიმართ. მოკლედ შეგვიძლია აღვნიშნოთ, რომ საქართველოს მიეცა ქვეყნის აღდგენისა და განვითარების საშუალება.

ქართველები რომ კვლავ გულადი ერია, გამოჩნდა ამ ბოლო 12-14 წლის მანძილზე. ამ პერიოდში ისინი რუსული დროშის ქვეშ იბრძოდნენ რუსეთის მიერ წარმოებულ ომებში⁶⁹. ქართველი მეთაურები ისე თავგანწირულად იბრძოდნენ, რომ სამართლიანად დაიმსახურეს გენერლის წოდებები. ქართველები ახლაც ერთგულად მსახურობენ რუსეთის ჯარში და სწორედ მათ მოაგებიან რუსეთს მრავალი ბრძოლა. ქართველები კვლავ აგრძელებენ მამაცურად მოქცევას და ახალ ჯილდოებს იღებენ. ქართველების ახალმა მთავრობამ ადვილად მოახერხა იბერიელებისა და ალბანელების მეზობლი სულის გაღვიძება, მეტად ადვილია სიმამაცის სულის აღძვრა იბერიელებისა და ალბანელების შთამომავალ ქართველებში, ვიდრე მათ შთააგონო ვაჭრობა ან სოფლის მეურნეობის საქმე. დროა საჭირო ყველაფრის მისაღწევად. ქართველების მეზობლებმა - სომხებმა აჩვენეს ვაჭრობის განვითარების მაგალითი, რაც მათ მიერ გაწეული დიდი ძალისხმევის შედეგია. მის აღმატებულებას, გენერალ ერმოლოვს, როგორც სამხედრო პირს, კარგი რეპუტაცია აქვს. გარდა ამისა, მისი მთავრობა კარგად ეწყობა ხალხის დამოუკიდებელ აზროვნებას, რომელიც დიდი ხნის მანძილზე მიწას იყო მიჯაჭვული. უიმედობისა და სასოწარკვეთილების წლებმა ჩაიარა, მაგრამ მათ მრავალი ადამიანის ბედს დაღი დაასვეს. ამ ადამიანების იერშიც შეიმჩნევა საშინელი წლების იარები. მოსახლეობის წარბებს ზემოთ ის წყვილია და ღრუბელია, რომელიც მათი სულების მუდმივი თანამგზავრი იყო. უკეთესი დღეები ამ ჩრდილს გააქრობს და მათი სახის გამომეტყველება ისეთივე ნათელი იქნება, როგორც თავისუფლად დაბადებუ-

ლი მთის შვილების იერი. ერთ საღამოს მისმა აღმატებული ბულებამ, მმართველმა გენერალმა⁷⁰ მიმიწვია გასართობ წვეულებაზე, რომელზეც მე შესაძლებლობა მომეცა მენახა და გამეცნო არა მარტო ადგილობრივი ქართული მაღალი წრის წარმომადგენელი მამაკაცები და ქალბატონები, არამედ სხვა კავკასიელებიც. ქართველი თავადი გამოირჩევა მოღუშული სახის გამომეტყველებით, რომელიც მე უკვე აღვნიშნე. მიუხედავად იმისა, რომ ის მკაცრია და სასტიკი ადამიანის შთაბეჭდილებას ტოვებს, იგი ელეგანტურად გამოიყურება. მასში ჰარმონიულადაა შერწყმული ვაჟკაცობა, ტანადობა, უზადო ჩაცმულობა და თავის დაჭერა. ტანსაცმელი მშვენივრად ერწყმის მის ღალ, მსუბუქ მოძრაობებს და პიროვნების თავისუფლებაზე მიანიშნებს. თანსაცმელი, პირველ რიგში, კარგი ხარისხის ვარდისფერი ნაჭრისაგან შეკერილი პერანგია. ის ღამაზად მოჩანს ჟილეტიდან და ფარავს გულმკერდს, კისერი შიშველია, ის მხოლოდ მის დასაწყისს ფარავს. ჟილეტი სხვადასხვა ფერის ნაჭრისგანაა დამზადებული, მაგრამ ფერით განსხვავდება პერანგისაგან. ჟილეტი გრძელმკლავიანია, მკლავები თავისუფლად არიან მომჯდარი ხელებზე, ჟილეტის ქვემოთ მოსასხამია, რომელიც წინ შეხსნილია და მისი სიგრძე მუხლებს სწვდება. ეს ზედა სამოსი დამაგრებულია წელს გარშემო არსებული შარფით, რომელიც ჩვეულებრივ თეთრი ფერისაა. მასზე ყოველთვის მიმაგრებულია ხმალი. პერანგის კალთები ეხება შარვალს. დაბალი, წაწვეტებული, შავი ან ალისფერი შემოტყეცილი ჩექმის შიგნით წინდები აცვიათ. ტანსაცმელი შეკერილია სხვადასხვა ფერის მაუდისაგან და ხშირად ნატიფი ოქროსფერი ზონარებითა და ნაქარგობით შესრულებული ორნამენტებით არის მორთული.

ქართველი მამაკაცი ზედა ტუჩზე ატარებს უღვაშს. შეხსნილი პერანგიდან მოჩანს დახვეული თმა, თავს კი შავი ცხვრის ტყავისაგან დამზადებული ქუდი უმშვენებს.

ამ ქუდის ფორმა და მასალა, რისგანაც ის დამზადებულია, ზუსტად ისეთია, როგორსაც ირანელი მამაკაცები ხმარობენ. განსხვავება მხოლოდ ქუდის ტარებაშია, ქართველი მას „განსხვავებულად ატარებს“. როდესაც ირანელი ქუდს იხურავს, მას ორად გაყოფილი ფორმა უნდა ჰქონდეს, ქართველები კი ქუდს ჩვეულებრივ მრგვალი ფორმით ატარებენ. დაბალი ფენის მამაკაცების ტანსაცმელი განსხვავებულია. მათ ცუდი ხარისხის აბრეშუმისაგან შეკერილი გრძელი შარვალი აცვიათ, რომელიც კოჭებადვე წვდებათ. სარტყელზე ხანჯალი ჰკიდიათ. დანარჩენი სამოსი იმავე სტილისაა, რაც მაღალი ფენის წარმომადგენელ მამაკაცებს აცვიათ. განსხვავება მასალაშია, მათი სამოსის ნაჭერი უხეშია და ყოველგვარ ორნამენტს მოკლებული.

ქართველი მანდილოსნების სამოსი ზედმეტად გადატვირთულია, თუმცა კაბის მოუქნელობა და ორნამენტებით გალამაზება სრულ პროპორციაშია ერთმანეთთან. შუბლზე მათ თასმა არტყიათ, რომელიც მდიდრულადაა მორთული ბრილიანტებითა და სხვა ძვირფასი თვლებით. თასმა მოთავსებულია ორ წყვილ შავ ნაწნავში, რომელიც სიმეტრიულადაა განლაგებული და ჩამოყვება სახეს. სახის სილამაზეზე მისი ნაკვთები მეტყველებენ, მაგრამ იმდენად გადატვირთულია კოსმეტიკით, რომ ბუნებრივი კანი არ ჩანს, და კიდევ უარესი, მათი გარეგნობა დახატულობის გამო იმდენად გაშეშებული და გაყინულია, რომ არც ერთი ნაკვთი არ მიუთითებს სიცოცხლის ნაპერწკალზე, გარდა ღიდი, შავი, მშვიდი, წყლიანი და კრიალა თვალებისა, რომლებიც ანათებენ გრძელი შავი წამწამებიდან და რკალის ფორმის წარბებიდან. აბრეშუმის თავშლისმაგვარი პირბადე დამაგრებულია თასმაზე და ის მხრებიდან ჩამოდის ზურგზე. თხელი დოლბანდის ცხვირსახოცი დამაგრებულია ნიკაპის ქვემოთ. ის ფარავს სახის ქვედა ნაწილს და ჩადის მკერდამდე, სადაც ის ებ-

მევა დანარჩენ სამოსს. ოქროს მძივები და სხვა სახის სამკაულები ამშვენებს ქალბატონების კაბის წინა ნაწილს, რომელიც უმეტესწილად ხავერდისგანაა შეკერილი. ზოგჯერ ის მდიდრულადაა მოქარგული აბრეშუმის ძაფებით და ფარავს სამოსის მკერდს და მთელ წელს. კაბის ზემოთ მანდილოსნები ატარებენ ფარჩის მკლავებიან მოსასხამს და ძალზე გრძელ ქვედაბოლოს, რომელიც მიწას სწვდება. ეს მოსასხამი წელიდან წინ არის ჩახსნილი. ტანსაცმელს ალამაზებს ქაშმირის შალი. მოსასხამის სახელოები შეხსნილია ხელის წინა მხარეს, მაგრამ სურვილისამებრ შეიძლება შეიკრას ანანასის ფორმის ოქროს ღილებით. თუ ამინდი ცივია (და სწორედ წელიწადის ის დრო იყო, როდესაც მე ეს ქალბატონები ენახე), ქალებს ზემოდან აცვიათ მოკლე ოქროსფერი ფარჩის ქსოვილისა და ბეწვისგან შეკერილი სამოსი, რომელიც განიერმკლავიანია და თავისუფლადაა ტანზე მორგებული. ის წინა მხრიდან ჩახსნილია და მუხლებს ფარავს. ეს ტანსაცმელი ღამაზად და კომფორტულად გამოიყურება. როდესაც სუსტი სქესის ქართველები ერთად სხედან ან დგანან, საუცხოო, ჩინებულ ტანისამოსში გამოწყობილნი, უდრეკი თავდაჭერილობით და მოძრაობას მოკლებული თითოეული ნაკვთით, ეს ქალბატონები დიდ ცვილის ფიგურებს უფრო ჰგვანან (რომლებიც თვალებს მექანიკური ხელსაწყოს მეშვეობით ადებენ და ხუჭავენ), ვიდრე ცოცხალ, მშვენიერ ქალებს. მის აღმატებულებასთან სადამოს სტუმრად ყოფნის დროს რამდენიმე ახალგაზრდა დიდგვაროვანი ქართველი მამაკაცი წარდგა ჩვენ წინაშე ეროვნული ცეკვით. მაგრამ გერცერთი მანდილოსნის ცეკვაში ჩაბმა ვერ მოხერხდა. რამდენიმე ჩერქეზმა მამაკაცი, რომელიც მოწვეული იყო იმ წვეულებაზე, თავი გამოიჩინა ცეკვაში და ფრიად საინტერესო სცენის მომსწრენი გაეხდით. ეს არ იყო ერთსაათიანი გართობა, არამედ იყო უღამაზესი წარმოდგენა,

რომელიც აერთიანებდა საუკუნეებს, ერთ ძირძველ მოსახლეობას მეორესთან. ეს ცეკვა დემონსტრირება იყო ჩვეულებრივი ადამიანის ათლეტური, მოქნილი კიდურების, სწრაფი და ენერგიული მოძრაობისა. შეიძლება ამას უფრო ვარჯიშების სერია ვუწოდოთ, ვიდრე ცეკვა. თუმცა, ყველა ნახევრად ცივილიზებული ერის ცეკვა თითქმის ასეთია; მონაწილეობენ მეტ-ნაკლებად რაინდული, ველური ან უხეში ხასიათის მქონე მამაკაცები, რომლებიც დახვეწილობის იმ წერტილამდე მივლენ, როდესაც ცეკვა ძალ-ღონის მაჩვენებელი კი აღარ იქნება, არამედ დახვეწილი საზოგადოების სასიამოვნო დროსტარება და ქალური სინარნარის გადმოცემის საშუალება.

ქართული ცეკვა წარმოადგენს მამაკაცური აქტიურობის დემონსტრირებას. ფეხის უწყვეტი მოძრაობები და ერთმანეთზე გადატანა, მუხლებზე ხტომა, თითისწვერებზე ცეკვა – აი, ეს არის მოძრაობები, რომლებიც შორს არის ელეგანტურობისგან და დამახასიათებელია ქართული ეროვნული ცეკვისთვის. ქართველებმა ტანის ამგვარი რამდენიმე უცნაური მოძრაობის შემდეგ ცეკვა ფეხის წვერებზე ხტუნვით დაასრულეს. ცეკვას ჯეროვან სულისკვეთებას აძლევდა ეროვნული მუსიკა, რომელიც აგრეთვე შორს იყო ცივილურობისგან. მას აკლდა მოხდენილობა და ელეგანტური ჰანგები. მუსიკა, რომელსაც უნდა გადმოეცა და თავისი ხალისიანი ჟღერადობით პეწი და სილამაზე შთაენერგა, თითქოს აცოცხლებდა კავკასიაში მაცხოვრებელთა მოძრაობებს. ადგილობრივი მუსიკოსების მუსიკის თანხლებით მოცეკვავეების ტერფები, ხელები და თავი ინსტრუმენტების ჰანგების შესაბამისად ირხეოდა.

ქართული მუსიკალური ინსტრუმენტები ძნელი აღსაწერია. ერთ-ერთი მათგანი შედგება რამდენიმე პატარა დოლისგან. მათზე განუწყვეტლივ უკრავენ ხელების დარტყმითი მოძრაობებით. მათთან ერთად უკრავენ გიტა-

რის ფორმის ხუთ თუ ექვს საკრავზე; მათ მკვეთრი, არასასიამოვნო ხმა აქვთ, რომელიც ფხეკვას მოგვაგონებს. ეს უსიამოვნო ჟღერადობის ხმა უწყვეტად ერწყმოდა დოლის მონოტონური ბრახუნს და ისეთ ხმაურს გამოსცემდა, რომელიც წყლის წისქვილის ხმას თუ შეიძლება შევადაროთ. მოკლედ რომ ვთქვათ, ეს მელოდია იყო ველური. განსხვავებულ ინსტრუმენტზე შესრულებული მსგავსი მუსიკა, ანალოგიური ცეკვის მანერით გავრცელებულია რუს გლეხებსა და კაზაკებს შორის, ისევე როგორც აფრიკაში, აზიაში მცხოვრებ ინდოელებში და ჩრდილო და სამხრეთ ამერიკაში, სადაც მკვიდრი მოსახლეობა არსებობისთვის იბრძვის.*

1776 წლის ივნისში მდინარე თერგმა კავკასიონის მთიდან დაშვებული ყინულოვანი მასის გამო მიმართულება შეიცვალა. როდესაც თერგის წყალმა 258 ფუტის სიმაღლემდე აიწია და კლდოვანი ბარიერების გასასვლელი გაარღვია, ისეთი ხმაური ახლდა, რომ მისი ხმა საშინელ ექოს გამოსცემდა. წყლის ნაკადმა გამანადგურებელი წყალდიდობა გამოიწვია.

ანალოგიური საშინელი სცენა აღწერილია მოხსენებაში, რომელიც 1817 წლის ნოემბრით თარიღდება. ყაზბეგის მწვერვალის ერთი მხარე, ბნელ დარიალის ხეობასა და იმავე სახელწოდების მქონე სოფლის მხრიდან, ჩამოინგრა. მთა ჯერ ამოძრავდა, წინ გადაიხარა, არაფერი არ ჩანდა, გარდა დაძრული თოვლისა და საზარელი დაბნელებისა, რომელიც დაძრულმა თოვლმა გამოიწვია. Xმაური, რომელიც ზევას ახლდა, ძალზე შემადრწუნებელი იყო. მთიდან კლდის დიდი მასა წყდებოდა. როდესაც ზვავი ძირს მიექანებოდა, თოვლი და საუკუნოვანი ყინული უზარმაზარ დამსხვრეულ ნატეხებად

*შემდეგ ავტორი მოგვითხრობს ჩერქეზებზე, მათ ადათ-წესებსა და ჩაცმულობაზე.

ეცემოდა. ყინული ისე ეცემოდა ძირს, როგორც მიწის-
ძერის დროს ხდება ხოლმე. ყინულმა თვალთახედვიდან
გადაფარა სოფლები, მინდვრები და ხალხი. რა საშინელი
წუთები იყო, როდესაც ყველაფერი დაწყნარდა, როდესაც
აღარ ისმოდა ადამიანისა და ნადირის საზარელი ყვირი-
ლის ხმა. უშველებელმა ზვავმა ყველგან დატოვა დიდი,
უმოდრო თეთრი სუდარა. თბილისში ჩამოსვლისას ჯერ
კიდევ ვიყავი ამ მთების საშინელი შედეგის შტაბეჭდი-
ლების ქვეშ, რასაც ცუდ ამინდში უფრო ვგრძნობდი. ცუ-
დმა ამინდმა ხელი შემიშალა ახლომახლო არსებული
ბევრი საინტერესო ადგილის შესწავლაში, რადგან მეც
შეიძლება მცირე დოზით, მაგრამ წყალდიდობის წერა
გავხმდარიყავი. მხოლოდ ქალაქების დათვალიერებით შე-
მოვიფარგლე, სადაც ტალახის სიღრმე ადამიანებს ქუ-
ჩებში სიარულში ხელს არ უშლიდა. აქვე უნდა აღვნიშ-
ნო, რომ სახლების უმეტესობაში ჭუჭყი თითქმის უტოლ-
დებოდა გარეთ არსებულ ჭუჭყს. ასე რომ, მე მალე შევუ-
რიგდი იმ გარემოებას, რომ იძულებული ვიყავი ჩავკეტი-
ლიყავი ჩემს შედარებით კომფორტულ ბინაში. თბილისის
ბინების სტილი ჩვეულებისამებრ აზიურია. როგორც ზე-
მოთ აღვნიშნე, სახლებს ბრტყელი სახურავები აქვთ,
რომლებიც მყარი მიწით არის დაფარული. ნებისმიერი
ხანგრძლივი წვიმის შემდეგ წყალი ისე ჩადის გაუმართა-
ვი სახურავიდან, თითქოს ის დიდი გამფილტრავი მოწყო-
ბილობა იყოს. სახურავის ზედაპირიდან კედლებზე ჩამო-
სული წყლით მთელი სახლი ივსება, მაგრამ უბედურება
ამით არ მთავრდება. ზემოდან წამოსული ნიაღვრის გამო
საწყალ მაცხოვრებლებს არა აქვთ მშრალი ადგილი არც
დასაჯდომად და არც დასაწოლად. მათ საშინელ დის-
კომფორტსა და ტანჯვა-წამებაში უხდებათ ყოფნა. სავა-
რაუდოდ, ყველა სერიოზული დაავადება სწორედ ასეთი
წყალდიდობების შედეგად ჩნდება. ის ნესტი, რომელიც
ბინებში ჩნდება წყლის შეწყვეტის შემდეგ, დიდხანს რჩე-

ბა წყლით გაუღენთილ კედლებსა და იატაკში, სანამ არ დათბება.

ასეთი იყო თბილისი 1817 წელს. თუ სახლების რეკონსტრუქციის შესახებ გენერალ-გუბერნატორის გეგმები განხორციელდება, რომლის ნაწილი მისმა აღმატებულებამ უკვე დაასრულა ქალაქის საჯარო შენობების შეკეთების მხრივ. ეს კარგი მაგალითი იქნება თბილისის აღმშენებლობისა და კეთილმოწყობის საქმეში. განხორციელებული ცვლილებების შედეგად ქართული დედაქალაქი უფრო მიმზიდველი გახდა, ვიდრე ის თორმეტი წლის წინ იყო. მოგზაური ვაჭრები ძლივსღა ცნობენ თბილისის ბაზრებს და ქარვასლას, რომლებიც სრულიად განსხვავდებიან ძველი ნაგებობებისაგან.

7 ნოემბერს ცა მოიწმინდა. დადგა ჩემი მოგზაურობის გაგრძელების დრო და მე დავიწყე სამზადისი, რათა დამეტოვებინა ადგილი, სადაც ბევრი საინტერესო ობიექტი დავათვალიერე და გენერალ-გუბერნატორის და მისი ამაღლის მიერ ჩემ მიმართ გამოჩენილი ყურადღებისაგან თუ კეთილი მოპყრობისაგან ნასიამოვნები ვიყავი. ეტლი მე თბილისში უნდა დამეტოვებინა; ბარგი ისე უნდა შემეკრა, რომ ცხენებს მისი ზურგით გადაზიდვა შესძლებოდათ. კახაკების გენერალმა, რომელსაც ჩემი უსაფრთხოდ გამგზავრება დაევალა, ჩემი ოფიცრები ესკორტით უზრუნველყო. მათ მე უნდა მივეცილებინე რუსეთის უკიდურეს საზღვრამდე. მოგზაურები უდავოდ დავალებულნი არიან იმით, რომ საქართველო რუსეთის მფლობელობაშია. მგზავრები უსაფრთხოდ გრძნობენ თავს მდინარე დონიდან შორეულ მტკვრის ნაპირამდე.

ჩვენ შეგვიძლია მივიჩნიოთ, რომ კავკასიონის მრავალფეროვანი მთაგრეხილი სათავეს იღებს ერთი მთის ძირიდან, რომელიც დიაგონალურადაა გადაჭიმული დიდ მანძილზე – ეუქსინისა და კასპიის ზღვებს შორის. ეს გაბედულად აღმართული მთა იწყება თურქეთის საგუშა-

გოს ანაპას⁷¹ მიდამოებში, გადაჭიმულია ეუქსინის ზღვის აღმოსავლეთ ნაპირთან, შემდეგ შედის ძველი კოლხეთის ტერიტორიაზე, რომელსაც ახლა იმერეთი ეწოდება. იქიდან კი კავკასიონი 300 ვერსის მანძილზე გადაჭიმულია აღმოსავლეთისაკენ, საიდანაც კასპიის ზღვამდე აღწევს. ეს მთის გრეხილი ამაყოფს უზარმაზარი ელბრუსისა და ყაზბეგის მწვერვალებით, რომლებიც მედიდურად დგანან სხვა მაღალ მთებს შორის, როგორც დიდი ციხესიმაგრის ბურჯები. ამ ორი ცნობილი მთის მწვერვალი თითქმის ყოველთვის ღრუბლებშია მოქცეული და როდესაც ღრუბლები ნაწილობრივ ქრებიან, მიუხედავად წელიწადის დროისა – ზამთარია თუ ზაფხული – მწვერვალებზე ყოველთვის მოჩანს მარადიული თოვლი. აღუწერელია ის ეფექტი, რომელიც ჩნდება ამ მწვერვალებზე სინათლის ზეგავლენის შედეგად. ამ უსპეტაკეს, თვალშეუდგამი მთების ზედაპირზე მზის ამოსვლისა და ჩასვლის დროს ანდა მთვარის შუქზე, როდესაც ღრუბლების თეთრი ჩრდილი ქრება, კავკასიონის მწვერვალი ვერცხლისფერი პირამიდის მსგავსია. მასში იმ სივრცის ათასობით ფერია არეული. ეს სიდიადე და სილამაზე ძნელი აღსაწერია. ამ განცდის გადმოცემა შეუძლებელია. ელბრუსისა და ყაზბეგის მთებს ქვემოთ სხვა ბრჭყვიალა მწვერვალებია, - თოვლის საფარიდან მაღლა აღმართულები, რომლებიც ქვემოთ მდგარ დათოვლილ მთის წვეროებს გადაჰყურებს. თუმცა მათზე დაბალი მთა სხვა ადგილას რომ ყოფილიყო, უდიდეს მწვერვალად წარმოგიდგებოდათ. ეს არის შედარება, რაც განარჩევს კარგს უკეთესისგან, თუმცა მისი ხარისხის შეცვლა არ შეუძლია. ამგვარად, ეს გახლდათ კავკასიონის პირველი და ყველაზე დიდებული მთაგრეხილი.

კავკასიონის მეორე განშტოება გამოირჩევა თავისი სახელწოდებით - მოსიანის გორები⁷² (Mossian Hills). პტოლემეი მას მოიხსენიებს, როგორც მოსჩისის მთებს (Moos-

chici montes). მთის ეს განშტოება მდებარეობს თურქეთის საგუშაგოს – ბათუმის მახლობლად*. ის პირველი მთა-გრეხილის პარალელურია, თუმცა დიდ მანძილზეა მისგან დაშორებული. ეს მთის განშტოება მდინარე არაქსის ნაპირს აღწევს და იკარგება მოგანის⁷³ (Mogan) ბარში. მერე ის უერთდება ძირითად მთის ჯაჭვს სხვადასხვა განშტოებებით. ის გეხვდება ნაყოფიერ დაბლობ ადგილებში აკჰისკაში (Akhiska), იმერეთში, ქართლსა და საქართველოში და ბოლოს აღწევს შირვანს. შავი ზღვის აღმოსავლეთით მდებარეობს მნიშვნელოვანი დამაკავშირებელი მთა, რომელიც ცნობილია, როგორც ჩილდირის⁷⁴ (Tchildir) მთაგრეხილი. აქედან ეს ქედი ყველა მიმართულებით გრძელდება, განსხვავებული განშტოებებით უერთდება პირველი და მეორე ძირითადი მთაგრეხილის განშტოებებს და ასე მიემართება მესამისკენ, რომლის ციცაბო კლდეები მდინარე ევფრატის სანაპიროს ქმნის.

მესამე მთაგრეხილი, რომელიც პტოლემეისთან ცნობილია პარიარდეს მთების სახელით, მდინარე ევფრატის გაყოლებაზე მიემართება სამხრეთ-დასავლეთისკენ. ის კავკასიონის მესამე პარალელურ ჯაჭვს ქმნის და სომხე-

*პორტერის საქართველოში ყოფნის დროს ბათუმი თურქეთის შემადგენლობაში რჩებოდა. როგორც ცნობილია, 1828 წელს, რუსეთსა და ოსმალეთს შორის ადრიანოპოლის საზავო ხელშეკრულების შედგენისას, რუსეთმა მოითხოვა და ოსმალეთმა დაუთმო მას მთელი ტერიტორია ჭოროხამდე, რომელიც შავ ზღვას ბათუმის იქით, დასავლეთით უერთდება. ამ დათმობის მიხედვით, ბათუმი უკვე 1828 წელს უნდა შეერთებოდა რუსეთს, მაგრამ ხელშეკრულებაში და საზავო რუკის შედგენის დროს, საზღვარი მდინარეთა სახელწოდებების არევის გამო გაყვანილ იქნა არა მდინარე ჭოროხთან, არამედ მდინარე ჩოლოქთან, რომელიც ზღვას ბათუმის ჩრდილო-დასავლეთით ერთვის. ამ ხაზის მიხედვით, ბათუმი დარჩა ოსმალეთს. შეცდომა შემჩნეულ იქნა ხელმოწერისა და დამტკიცების შემდეგ, მაგრამ უკვე გვიან იყო ამ საკითხის ხელახალი აღძვრა და ბათუმი ოსმალეთს დარჩა.

თამდე აღწევს, იქ, სადაც დიდებული არარატი ზემოდან გადაჰყურებს სხვა მთებს. აქედან მთაგრეხილი მკვეთრ კუთხეს ქმნის და უხვევს სამხრეთისკენ, იშლება სხვადასხვა განშტოებებად, რომლებიც გადაჭიმულან სპარსეთსა და მცირე აზიაში.

ჩემი მარშრუტი თბილისიდან თავრიზამდე ზუსტად ამ ორი მთაგრეხილის გავლით გადიოდა. მე დროებით გადავდებ მათზე საუბარს მანამ, სანამ არ მომეცემა დამატებითი ინფორმაცია მათ შესახებ.

იმავე დღეს, 7 ნოემბერს, ჯენტლმენები, რომლებიც შეადგენდნენ რუსეთის საელჩოს სპარსეთში დიპლომატიური მისიიდან, ბრუნდებოდნენ სანქტ-პეტერბურგში. როგორც ყოველთვის, კავკასიის ჩრდილოეთი გასასვლელი დაკეტილი იყო ზეავის ჩამოწოლის გამო და გადაწყდა, რომ ისინი რუსეთში დერბენდიდან და კისლარიდან⁷⁵ უნდა ჩასულიყვნენ. ამ მარშრუტის გავლას ერთი დღე სჭირდებოდა. მე მათ შევუერთდი, რათა ის მოკლე მანძილი ერთად გაგვევლო. ჩვენ დილის 3 საათზე დავტოვეთ გენერალ-გუბერნატორის სახლი. მშვენიერი დარი იყო. მისმა აღმატებულებამ⁷⁶ თავისი გულკეთილობა და აგვირგვინა იმით, რომ გზის გარკვეულ მონაკვეთამდე მიგვაცილა. გზა, რომლის გაყვანასაც მას უნდა ეუმაღლოდეთ, მდინარე მტკვრის დასავლეთ ნაპირზეა და სოღანლუდამდე გრძელდება. სოღანლუდი ჩვენი გაჩერების ადგილი იყო. როდესაც თბილისს ტოვებ, ქალაქი სრულიად განსხვავებულად გამოიყურება. მისი აღქმა ისეთი არაა, როგორც მცხეთიდან მომავალი მოგზაური პირველად დაინახავს მას. ახლანდელი გადასახედიდან თბილისი უფრო გაშლილია. ქალაქის გარშემო მთები არ მეჩვენებოდა პირქუშად და უნაყოფოდ. ბაღებს და ვენახებს ფარავდა მაღალი ალვის ხეები, რომლებიც მდინარის გაყოლებაზეა დარგული. ეს ხეები ამშვენებს მტკ-

ვარს წყალში თავიანთი ხვეული ანარეკლებით და სილადითა და მხიარულების გრძნობით ავსებს მნახველებს.

გენერალ-გუბერნატორი თბილისიდან ხუთი ვერსის დაშორებით დაგვემშვიდობა მეც და თავის თანამემამულეებსაც. ჩვენ მას ვუყურებდით მანამდე, სანამ ჩვენს თვალთახედვას არ მოეფარა. ყველანი მაღლიერებისა და პატივისცემის გრძნობით ვიყავით მის მიმართ განმსჭვალულნი. ადამიანმა შეიძლება განიცადოს ეს მაშინ, როდესაც ის შორსაა მისი ნამდვილი მეგობრებისგან, როდესაც დახმარების ხელს გიწვდიან არა ფორმალურად, ცივად, არამედ ღია გულით, როგორც გვხვდებიან არა როგორც უცხო ადამიანს, არამედ როგორც თანამემამულესა და ამხანაგს. ასეთი იყო გენერალ-გუბერნატორი, რომელსაც ჩვენ ახლახანს დავემშვიდობეთ. თავისი ლიბერალური შეხედულებების წყალობით, მასზე უკეთესად ვერავინ შეძლებდა უცხო გარემოში ადაპტირებასა და იმ მაღალი თანამდებობის დაკავებას, რომელიც მას უკავია ქვეყანაში. გენერალ-გუბერნატორის თავაზიანობა და სულგრძელობა მას საიმედოდ იცავს. ყველა ეროვნების წარმომადგენელი, რომლის მიმართაც ის გულისხმიერებას იჩენს, გამსჭვალულია მისადმი მაღლიერებით და ნდობით. მას გააჩნია იმის უნარი და ნიჭი, რომ მოიგოს ხალხის გული. უხეში, ძუნწი და უმადური ადამიანი, რომელიც დიდი იმპერიის წარმომადგენელი იქნება საზღვარგარეთ, ადგილობრივი მოსახლეობის მიერ მტრად იქნება მიჩნეული. ასეთი მანკიერი თვისებების მქონე ადამიანი შეაფერხებს იმ მიზნების განხორციელებას, რისთვისაც ის გამოაგზავნეს. ასეთი ადამიანი სრულიად განსხვავებულია იმ მინისტრისგან, რომლის უპირველესი მიზანი უნდა იყოს ხალხის სამსახური და იმ ქვეყნის გავლენის და ავტორიტეტის გაძლიერება, რომელმაც ის სამუშაოდ მოაველინა. გენერალ-გუბერნატორი ერმოლოვი ამ მხრივ სწორედ ისეთი ადამიანია, როგორიც უნდა იყოს უცხო

ქვეყნის წარმომადგენელი. მას ანდეს კავკასიის მართვა, რადგან მას კარგად ესმის ხალხის, კარგად იცის მათი ხასიათი და სრულიად საწინააღმდეგო ადამიან-წესები, რომლებიც მათ შეძენილი აქვთ საუკუნეების განმავლობაში. გენერალი ერმოლოვი ღმობიერებითა და გულკეთილობით ახერხებს თავისი მიზნების განხორციელებას. მან შეძლო ამაყი, პირქუში, შეუდრეკელი და მტკიცე ხასიათის მქონე ქართველების შეხედულებების შეცვლა. ისინი უფრო შეგნებულები გახდნენ, მიხვდნენ რა ახალი კანონების უპირატესობას, რომლებითაც ისინი უცხო ხელის მეშვეობით, სარგებლობენ. სავსებით ბუნებრივია, რომ საღი გონების მქონე ადამიანები არ უნდა ეჭიდებოდნენ ძველ ასოციაციებს, ისინი უნდა გამოეთხოვონ წარსულში არსებულ ისეთ დაუვიწყარ ეროვნულ გრძნობებს, რომელიც მხოლოდ სახელი იყო და სხვა არაფერი.

ქართველები, სანამ შეუერთდებოდნენ რუსეთს, საუკუნეების მანძილზე, დამოუკიდებელი სახელმწიფოს სახელის შენარჩუნების მიზნით, ბევრ ტანჯვას უძლებდნენ დამპყრობლების მხრიდან. იმ დროს ქვეყანა იტანჯებოდა ადგილობრივი მეფეების უძლური, უსუსური მმართველობითა და გამუდმებული, საშინელი, დამანგრეველი თავდასხმებისგან, რომელსაც დაუცველი ქვეყანა განიცდიდა მუსულმანური სახელმწიფოებისა და კავკასიის მთიელი ხალხის ბარბაროსული შემოსევებისგან. გახდა რა საქართველო რუსეთის ნაწილი, ხალხის ჩაგვრის წინააღმდეგ კარი ჩაიკეტა და გამუდმებული რისკის ქვეშ მცხოვრებმა ხალხმა მალე გააცნობიერა კეთილდღეობით და მშვიდობიანად ცხოვრების უპირატესობა დიდი იმპერიის შემადგენლობაში მყოფი ქვეყნის სახელით, ვიდრე ამო დიდების მქონე სამეფოში ყოფნა, როდესაც ძველი სიდიადის, ტახტზე მჯდომი მეფეების სახით, მხოლოდ აჩრდილი არსებობდა და არა პიროვნება. ლეკები და საქართველოს სხვა თავდამსხმელები ნამდვილი ტი-

რანები იყვნენ, რომლებიც აწიოკებდნენ, ანადგურებდნენ ქვეყანას და უკანონოდ ატყვევებდნენ ქვეყნის უფლებამოსილ პირებს.

ჩვენი სოღანლულისკენ წინსვლის დროს, რომელიც თორმეტი ვერსითაა დაშორებული თბილისიდან, ვაკვირდებოდით ბევრ საინტერესო, თვალწარმტაც ობიექტს. მათ შორის იყო რამდენიმე დრომოჭმული, გამჭრალი ქართული სამეფო დინასტიისა და მათი წინამორბედი მმართველების დროინდელი ისტორიული ძეგლები. მდინარის აღმოსავლეთ ნაპირზე, ჩვენი საცხოვრებელი ადგილიდან მცირე მანძილზე, დავინახეთ ერთ-ერთი ძველი ციხესიმაგრის ნანგრევები, რომლებიც ახლომდებარე შემადლებულ ადგილზე მდებარეობდა. მათ ქვემოთ კი ორი სადაზვერვო ძეგლი კოშკი იყო, რომლის ქვემოთ ხიდის ნანგრევები მოჩანდა. სოღანლულში ჩასვლისთანავე ჩვენ აღმოვაჩინეთ კარვები, რომლებიც ჩვენს მისაღებად იყო გაშლილი. იქ ჩვენ დაგვხვდა დიდებული ვახშამიც, რომელიც გენერალ-გუბერნატორის ბრძანებით მოგვიმზადეს.

სოფელი ნახევარი მილით იყო დაშორებული იმ ადგილიდან, სადაც დაგვაბანაკეს. ის ღამე კარვებში გავათენეთ, მეორე დღეს კი ჩვენი ორი ჯგუფი ერთმანეთს დავშორდით.

რუს თანამგზავრებთან განშორების შემდეგ, რომელთა მარშრუტი საწინააღმდეგო იყო ჩვენი პატარა ჯგუფისა, ჩვენ გეზი სამხრეთ-დასავლეთ საქართველოსკენ ავიღეთ. ზურგი შევაქციეთ დილის სუსხიან ცივ ქარს, რომელიც ძლიერად უბერავდა ჩრდილოეთის მხრიდან. დავტოვეთ სოღანლული, დავემშვიდობეთ მტკვრის ნაპირს. მტკვარი აღმოსავლეთით ჩამოვიტოვეთ.

მდინარის გავლის შემდეგ ვაკე ადგილას აღმოვჩნდით. პირველი საგუშაგო პუნქტი იყო კოდი⁷⁷, სადაც ბარგის დასატვირთად ცხენები გამოვცვალეთ. კოდი პა-

ტარა ადგილია, მაგრამ საუცხოოდ განლაგებული. იგი მშვენიერად არის გაშლილი მიწის ზოლზე, რომელიც აღმოსავლეთით თითქმის მდინარე მტკვრის ნაპირამდე აღწევს. ერთი საათის დასვენების შემდეგ გზა გავაგრძელებთ. ჩვენი მომდევნო პუნქტი იყო შულავერი, რომელიც დაახლოებით 26 ვერსის დაშორებით მდებარეობდა. გზა საკმაოდ კარგი იქნებოდა, რომ არა მრავალრიცხოვანი პატარა არხები, რომლებიც სხვადასხვა მიმართულებით ნიადაგის მორწყვის მიზნით ადგილობრივმა მოსახლეობამ გაიყვანა. გავიარეთ რა 15 ვერსზე მეტი მანძილი, კულაგარის⁷⁸ საგუშაგო უკან ჩამოვიტოვეთ და მდინარე ალგეთზე გადავედით. წყალი არ იყო ღრმა, ის ჩვენს ცხენებს მუცლამდე სწვდებოდა, მაგრამ თოვლის დნობისა და წვიმების სეზონის დროს მდინარის წყალი დიდდება ნიაღვრის შედეგად. ორი მილის გავლის შემდეგ გადავედით მდინარე ხრამზე ანუ ქციაზე, რომლის შენაკადია ტაბატე⁷⁹. მათი შეერთების ადგილზე ხიდია, რომელიც შარდენსაც აქვს მოხსენებული. მდინარე ქცია იმ დროს საკმაოდ წყალმცირე იყო. დაღამებისას მივადწიეთ შულავერს. საგუშაგოზე სრული სიჩუმე სუფევდა. შულავერი განლაგებულია ვიწრო, ბნელ ხეობაში. როდესაც ამ ხეობაში შევედით, აღმოვჩნდით საქართველოს იმ ნაწილში, რომელსაც სომხეთის ოლქი⁸⁰ ეწოდება. ძველი ქვის ციხესიმაგრე დროთა განმავლობაში გაშავებულიყო. იგი ღამის ჩრდილებთან ერთად განმარტოებულიყო ღამის წყვდიაღში. ციხესიმაგრის მახლობლად განლაგებულია რუსული საგუშაგო, რომლის მცველები კაზაკები არიან. ძველი რელიგიური ნაგებობების ნანგრევები რაღაც განსხვავებულ იერს აძლევდა იქაურ გარემოს. დილის 8 საათზე მთებზე ავედით. გზა, რომელსაც ერთ საათს მიუყვებოდით, ჩვეულებრივი ბილიკის სიგანის იყო და თანაც ძალიან უსწორმასწორო. ჩვენ თვალწინ, მთების ძირში, გადაიშალა ბარაქიანი მშვენიერი მინდორი.

მასზე მიედინებოდა მდინარე ბამბეკი⁸¹, რომელიც ჩრდილო-აღმოსავლეთში უერთდება ტაბატესა და ქციას წყლებს. მდინარე ბამბეკის ნაპირებზე მწვანე საძოვრებია და უამრავი ხეა დარგული. მინდვრების შუაგულში გაშენებულია რამდენიმე სოფელი, რაც მეტყველებს იმაზე, რომ მოსახლეობა შეძლებულად ცხოვრობს და დოვლათიც გააჩნია. ბარის შუაგულში რამდენიმე საოცარი ნანგრევია შემორჩენილი. იქ ძალიან დიდი ციხესიმაგრე უნდა მდგარიყო. დამშრალ მდინარეზე გადასვლის შემდეგ მივედით დიდ და კარგად დასახლებულ სოფელ სადახლოში, რომელიც მდინარე ბამბეკის დასავლეთ ნაპირზე მდებარეობს. სოფლის მოსახლეობა დაკავებული იყო ქერის გაღეწვის პროცესით, რასაც ხის კვერის საშუალებით ახერხებდნენ. კვერში შებმული იყო წყვილი ხარი. კვერის ქვედა ზედაპირზე რიგებად იყო ჩამწკრივებული ბასრი ქვები. მამაკაცი კვერზე იდგა და ხარებს მიერეკებოდა. ხარები კვერს გაულეწავი მარცვლის გროვაზე აქეთ-იქით წევდნენ.

ჩვენი გზა სამხრეთ-დასავლეთისკენ მიდიოდა და თანდათან გვაშორებდა ამ მშვენიერი მდინარის ნაპირს. დაახლოებით სამი ვერსის გავლის შემდეგ დავტოვეთ მდელი და კვლავ შევუდექით ზემოთ ასვლას. მდინარე ბამბეკი თვალს მოეფარა. პირველი მაღლა ასასვლელი ბილიკი ვიწრო და ტყით დაფარული იყო. თითქმის ერთი დღე დაგვჭირდა გასაჩერებელ პუნქტამდე მისასვლელად. ეს იყო საგუშაგო ტჩუსკარი, რომელიც პატარა კონუსური ფორმის გორაზე იყო განლაგებული. აქედან გამოჩნდა მდინარის დიდებული ხედი, რომელსაც დილით ასე ვნატრობდით. ეს მდინარე მიიკლავება ღრმა და ვიწრო ხევში კლდეებს შორის. დაახლოებით 30 ან 40 კაზაკი ცხოვრობდა საგუშაგოში, ძალიან ვიწრო და პატარა ფართზე. რადგან ჩვენთვის გასაჩერებელი ადგილი ვერ ვიპოვეთ, მე და ჩემი თანმხლები პირები იძულებული ვი-

ყავით, კიდევ ერთი მილი გაგვევლო მთებში, რათა ახლომახლო სოფელში მოგვეძებნა ბინა. ჩვენი გახანგრძლივებული ღაშქრობის შემდეგ საკმაოდ დაღამდა, მაგრამ საშუალება მოგვეცა დავმტკბარიყავით და უღამაზესი ხედის ნახვით ბედნიერების წუთები განგვეცადა. მთაში არსებულ პატარა, ვიწრო სოფელში ჩვენ ვიპოვეთ თბილი და ფართო საცხოვრებელი ბინა. იქაური მცხოვრებლები კარგი და კეთილი ხალხი აღმოჩნდა. გაგვიმასპინძლდნენ რძით, კვერცხებით, კარაჩით და საუცხოო თაფლით. ამ უკანასკნელ სიამოვნებას წინასწარ მოველოდი, რადგან აქ ფუტკრების მოშენებას მისდევენ და ეს საქმე აქაური მოსახლეობისთვის სარფიანი და შემოსავლიანია. ყველაფერი, რაც ამ სოფელში ვიხილე, მიუთითებს ნაყოფიერ ნიადაგსა და მიწისმფლობელთა სტუმართმოყვარეობაზე. მათ დიდი რაოდენობით ნახირი ჰყავთ, უხვად მოჰყავთ: ხორბალი, ქერი, ფეტვი და ა.შ.

დილის 8 საათზე დავტოვეთ ჩვენი მასპინძლები და უკან, საგუშაგოსაკენ წამოვედით. მალე მივედით ხრამის ნაპირამდე, რომელიც მაღალი და პერპენდიკულარული უფსკრულის ერთ გვერდს წარმოადგენდა, მისი გავლით მდინარე მოჩუხჩუხებდა. ციცაბო კლდეებს მიღმა მთები იყო აღმართული. როგორც მათი ფორმა, ისე ზედაპირი დერბიშაიას⁸² მთებს მაგონებდა; სიმაღლით მათ არ ჰგავდნენ, იმიტომ რომ ჩვენი მთები მხოლოდ პატარა გორაკებია დედამიწის ამ გოლიათებთან შედარებით. მთელი მინდვრის გასწვრივ მხედებოდა ფერთა მრავალფეროვნება და მთის შვერილები, ზუსტად ისე, როგორც ჩემი მშობლიური მიწის მდელოებზე. ათასნაირი რომანტიკული ფორმით წარმოგვიდგება მთის გვერდებიდან წითელი და ნაცრისფერი გრანიტის დიდი მასები, ტაძრების ნანგრევები, რომელთა იავარქმნილი გუმბათები ხშირი ტყის სიმწვანეშია ჩამალული.

სამხრეთ-აღმოსავლეთში მოგზაურობისას შევამჩნიეთ ძველ დროში მოქმედი მაღაროების ნაშთები. ზოგიერთი მაღაროს ბოძი აქედან ნათლად ჩანდა. კლდეებს, სადაც უხვად არის სხვადასხვა წიაღისეული, მოყვითალო ფერი აქვთ. საქართველოს ეს კუთხე მდიდარია სხვადასხვა სახის მადნით და განსაკუთრებით სპილენძით, რომლის კარგი ხარისხი ლორში⁸³ იწარმოება. მივატოვეთ რა ამ სიმდიდრის კვალი, უფრო სწორედ კი ის ადგილი, მდინარე ბამბეკისგან 4 მილის მოშორებით, სადაც მადნის მოპოვებაა შესაძლებელი, მდინარეზე გადავედით. წყალი ისეთი ხმაურით მოედინებოდა, თითქოს ადამიანებისა და ცხენების სიმარდეს სცდიდა. ნაპირზე გამოსვლისას, ზემოთ, სამხრეთის მხარეს დავინახეთ აკაპეტის მონასტერი⁸⁴, რომელიც საკმაოდ დიდი ნაგებობა იყო. ის აშენდა დომინიკანების⁸⁵ წმინდა საძმოსთვის. მონასტრის გვერდით აყვავებული და მჭიდროდ დასახლებული სოფელია. აქაური გლეხების საქმიანობა და შრომისმოყვარეობა ფასდება. ისინი მიწას ამუშავებენ პატარა ვაკე ადგილზე, რომელსაც მეზობლად განლაგებული გორები და ვიწრო ბილიკები ემიჯნება. ამ სოფლის მოსახლეობა აღჭურვილია მათთვის საჭირო ცოდნით, რომელიც მათ თავიანთი წინაპრებისგან შეიძინეს. ამ ტერიტორიაზე მდებარე – აკაპეტისა და სენარის⁸⁶ ორი მონასტერი საქართველოს უდიდესი გავლენიანი და მნიშვნელოვანი სამონასტრო კომპლექსებია.

რამდენიმე ვერსის გავლის შემდეგ, ციცაბო მთის წინ, კვლავ მოგვიხდა მდინარეზე გადასვლა. ამჯერად ხილით გადავედით მდინარის მეორე ნაპირზე. ეს ხილი იყო ერთთაღიანი და ქვისგან აშენებული. ხიდის მშენებელი რომ სომეხი ხელისუფალი იყო, ეჭვს არ იწვევდა. ხილი აშენებულია იმ დროს, როდესაც საქართველოს ეს ნაწილი სომხების იურისდიქციის, მისი სამართლისა და რელიგიის გავლენის ქვეშ იყო მოქცეული. ხიდის არქი-

ტექტურა უცნაურია. ხიდის აგებისას გამოყენებული ქრისტეანული ემბლემები ნათლად ადასტურებს მის წარმომავლობას. ხიდის ორივე მხარე ციცაბოა და ნაკლებად გამოყენებული იქნებოდა, რომ არა მოპირკეთებული კიბეები. კიბეების ერთ მხარეს, დასავლეთით, რომელიც მდინარის ნაპირს ეკვრის, მაღალი, სწორი გამოთლილი ქვა შევამჩნიე. დათვალიერებისას აღმოჩნდა, რომ ქრისტეანული სიმბოლოები იყო ამოკვეთილი. ყველაზე თვალშისაცემი იყო ჯვარი და მის ირგვლივ ოსტატურად მოჩუქურთმებული ფიგურები. სანამ ხიდს გადავივლიდით, ერთ მხარეზე ორი ერთნაირი ქვა შევამჩნიე: ერთი იდოდი ქვების გროვაზე, ამოტიფრულ ჯვართან ერთად. ქვაზე ძველი სომხური წარწერები იყო გამოსახული, მსგავსი ფორმის მეორე ქვა, მასთან ახლოს იდო მიწაზე.

**Художник, дипломат и путешественник
Роберт Кер Портер и его сведения о Грузии**

Художник дипломат и путешественник Роберт Кер Портер родился 26 апреля 1777 года в Англии, в Дареме, в семье Портер. Он был потомком этой традиционной британской семьи. Отец Роберта Уильям Портер служил хирургом 6-го драгунского батальона. Он скончался 1779 году когда Роберту было всего лишь два года. Мать будущего путешественника Джейн Портер (1745-1831) была дочерью Роберта Бленкинсона. В семье Портер воспитывалось пятеро детей - у Роберта было два брата и две сестры. Один из его старших братьев Уильям Огильвие Портер пошел по стопам отца- начал карьеру военным хирургом на флоте, а после окончания службы в течении сорока лет занимался врачебной практикой в Бристоле. Он скончался в 1850 году. Вторым брат Роберта Джон Портер был военным служащим, на 38-ом году жизни в чине полковника он скончался на острове Мэн*. Сестры будущего художника Джейн и Анна-Мария Портеры, с юных лет питавшие страсть к литературе, были писательницами и считались популярными авторами в английских литературных кругах того времени. В 1780 году, спустя год после смерти супруга, мать Роберта Портера вместе с детьми переехала в Эдинбург. Так как их семья жила в бедности, ей помогали друзья служившего на флоте Уильяма. Свои юношеские годы Роберт провел в этом городе, жившем в тот период кипучей научной и культурной жизнью. В Эдинбурге его увлекли работы художницы Флоры Мак-Дональдс. Вследствие этого он

* Остров в Ирландском море

решил стать художником военных сюжетов. В 1790 году мать Портера представила рисунки своего сына Бенджамену Уэсту, второму по счету президенту Лондонской Королевской Академии Художеств*. Тот был настолько восхищен работами начинающего художника, что сразу же посодействовал его зачислению в школу Сомерсета при Академии. 13-летний Роберт Кер Портер стал студентом Королевской Академии. Талант и старания молодого Портера- художника были замечены сразу и были оценены по достоинству - первым результатом его художественных успехов была серебряная палитра, полученная им в 1792 году от общества художников за работу «Аэндорская волшебница»**. В то время работы Роберта Кер Портера были известным под псевдонимом Рейнолда Стейнкирка.

В 1799 году Портер вместе с сестрами переехал в Лондон и поселился в доме на Лейстер-сквер, где когда-то жил Джошуа Рейнольдс - основатель и первый президент Лондонской Королевской Академии Художеств. Некоторое время спустя то ли под воздействием тогдашней политической ситуации, то ли по примеру своих старших братьев будущего путешественника заинтересовала военная служба и в 1803 году он вступил в ряды милиционного ополчения города Вестминстера. Однако по настоянию семьи, капитану Роберту Кер Портеру пришлось отказаться от нее.

В 1805 году с рекомендательными рисунками от русского посла в Лондоне С.Р. Воронцова, английский художник посетил Россию, где от императора Александра I получил заказ по созданию серий батальных картин для

* Основана в 1768 г.

** По названию места где произошло сражение между израильским царем Саулом и филистимлянами

здания Адмиралтейства. Будучи в Санкт-Петербурге он познакомился с дочерью князя Федора Щербатова, Марией и заслужил благосклонность этой русской аристократки. Со временем их взаимоотношения переросли в настоящий роман. Однако, по стечению обстоятельств, Роберту пришлось на время оставить Россию и вместе с ней свою возлюбленную Мэри. Причиной тому явился Тильзитский договор между Александром I и Наполеоном который, сблизив позиции России и Франции, резко оборвал дипломатические отношения между Россией и Великобританией. В 1807 году, Роберт Кер Потер, следуя соображениям безопасности, в месте с другими соотечественниками покинул Санкт-Петербург. За время проведенное вдали от России он побывал в Финляндии, Швеции, Германии и на Пиренеях. В 1809 году Кер Портер опубликовал “Путевые заметки сделанные в России и Швеции 1805-1808 годах”. Это четырехтомное издание содержало 41 иллюстрацию, которые отражали впечатление Портера полученные им от путешествия и были выполнены по рисункам самого автора. За услуги, оказание королю Густаву четвертому Потер был награжден шведским орденом и возведен в рыцары. Вместе с этим он получил приглашение в Россию от императора Александра I. К тому времени к художественным успехам Портера прибавились и успехи на военном и литературном поприщах. И он в 1811 году в лаврах военной, литературной и художественной славы вновь возвратился в Россию. Тут встретился со своей невестой Марией, которая 4 года с небольшим ожидала его возвращения. 7 февраля 1812 года Роберт Кер Портер женился на Марии Федоровне Щербатовой. С одной стороны женитьба на русской княгине и с другой стороны вверение своим правительством служебные полномочия обязали Кера Портера остаться в России и

стать свидетелем разыгравшихся там событий 1812-1813 годах. Кер Портер этим событиям посвятил книгу “Рассказ о кампании в России в 1812 году” которая выдержала 7 изданий и была переведена на немецкий и французские языки*. К тому времени Портера довольно-таки хорошо знали и ценили в российских военных и дипломатических кругах. До выпуска книги Портер посетил Англию, где 2 апреля 1813 года принц-регент, будущий английский король Георг IV посвятил Роберта Кера Портера в рыцари. Спустя неполных два месяца 27 мая 1813 года у сэра Роберта Кер Портера и леди Марии Федоровны Щербатовой-Портер родилась дочь Мэри. В июне 1813 года Российский император и императрица Мария Федоровна стали восприемниками их дочери Машеньки Портер. Согласно сведениям собранных нами из разных источников доподлинно известно, что чета Портер посетила Англию в 1813-1814 годах. Несмотря на то, что о жизни английского художника в России известно не так уж много, все таки имеются источники, удостоверяющие что Кер Портер до его экспедиции по азиатским странам (1817-1820 гг.), вместе с семьей проживал в России, был принят аристократическим обществом Москвы и Санкт-Петербурга, значительно расширил круг знакомств и кроме своих служебных обязанностей интенсивно занимался живописью.

В 1817 году Роберт Кер Портер из Санкт-Петербурга, проездом через Кавказ, отправился в Тегеран. Маршрут его путешествия следовал из Исфахана до Персеполя и далее к Экбатану** и Багдаду. Во время экспедиции

* По существующей версии, одна из книг изданных в 1813 году на английском языке была подарена автором императору Александру I (Г.С.)

** современный г. Хамадан- древнейшая столица Мидии

Портер сделал немало значительных рисунков, перерисовал древнейшие надписи и рельефные изображения. Сделанные во время путешествия записи он издал в двухтомной книге под названием “Путешествие в Грузию, Персию, Армению и древний Вавилон в 1817-1820 годах”. Книга содержала значительную информацию об истории и культуре древнейших государств Кавказа и центральной Азии. Она была издана в 1822-1823 годах. Иллюстративным материалом для нее послужили 87 рисунков самого автора (гравированные И.Кларком) . Большая же часть работ*. сделанных известным художником за время этой экспедиции, после его смерти была передана сестрой путешественника Джейн в дар Британскому музею.

В Тегеране Роберт Кер Портер встретился с правителем Ирана Фатх-Али-шахом** Английский художник нарисовал портрет иранского повелителя получив за это вознаграждение***.

После краткосрочного визита в Англию Портер вновь возвратился в Россию. Однако по воле судьбы ему опять пришлось оставить ее и на этот раз уже надолго. В 1825 году он был назначен консулом Великобритании в Венесуэле. Пребывая на этом посту, Портер 15 лет прожил в Каракасе. Все это время он продолжал заниматься живописью. Наряду с другими картинами он нарисовал портреты Симона Боливара, героя Южной Америки и основателя Колумбийской Республики.

* имеется в виду более 200 законченных рисунков и выполненных эскизов (Г. С.)

** из династии каджаров, в молодости Баба-хан

*** орден Льва и Солнца, присваивался и иностранцам, им также давалась возможность купить лицензию на орден (Г. С.)

Находясь вдали от родины и семьи Роберт Кер Портер с особой чувственностью переживал разлуку со своими родными, переписывался с ними и получал от них то радостные, то печальные сообщения: 17 сентября 1826 года в Санкт-Петербурге от тифа скончалась его супруга Мария Федоровна Шербатова-Потер*, в 1831 году в Эшере, в графстве Суррей** скончалась его мать Джейн Портер, в 1932 году в возрасте 52 года скончалась его сестра Анна-Мария Портер, 1837 году его дочь Мария Робертовна Портер вышла замуж за Пьера Де Кикина***.

В 1841 году вернувшийся на родину Кер Портер с кратким визитом в Бристоль посетил своего брата доктора Уильяма и затем в сентябре того же года вместе с сестрой Джейн отправился к своей дочери в Россию. Пробыв в России чуть больше полугода, (26 апреля встретив свое 65-тилетие) он принял решение вернуться в Англию. О своем намерении 3 мая 1842 года отплыть на родину, Роберт письмом уведомил своего брата Уильяма. Перед отъездом он нанес прощальный визит Императору. Николай I устроил торжественный вечер в честь Портера. Однако, возвращаясь с торжеств, в результате инсульта он потерял сознание и не приходя в себя, скончался на следующий день. Роберт Кер Портер похоронен в Санкт-Петербурге. В Англии, в Бристольском монастыре находятся родословная мраморная доска старейшей семьи Портер. На ней вместе с другими членами семейства увековечено и имя - Роберт Кер Портер.

Как мы раньше упоминали, Кер Портер в 1817-1820 годах проездом через Кавказ совершил путешествие по

* В свое время она из-за болезни не смогла вместе с мужем отправиться в Венесуэлу (Г.С.)

** город с одноименным названием есть еще и в графстве Эссекс (Г.С.)

*** Петр Евграфович Кикин, поручик, род. В 1809 г. (Г. С.)

азиатским странам. Портер провёл в этой экспедиции три года. Заметки, сделанные им во время этого путешествия, впоследствии были изданы в двух книгах. Этот сам по себе огромный труд путешественника и художника вбирает в себя весьма интересную информацию о древнейших азиатских странах, об исторической и современной жизни и быте проживающего в них населения. В своём повествовании автор подробно передаёт историю народов Кавказа и Азии, их обычаи и традиции. Особую значимость записям Портера придаёт тот факт, что автор был очевидцем описываемых им событий. Следует отметить, что Кер Портер в своих сочинениях ссылается на сведения, как современных ему, так и творивших в предыдущих столетиях знаменитых путешественников, историков и географов, на старинные сказания. С нашей точки зрения, большую значимость записям путешественника придают им же сделанные зарисовки, создающие визуальное представление о тех достопримечательностях, с которыми довелось соприкоснуться непосредственно автору. Во время экспедиции Портером была сделана не одна значительная зарисовка, каждая из которых, кроме своего визуального эффекта, по нашему убеждению, оказала добрую службу не только исторической, но и географической и археологической науке. В зарисовках английского художника отображены рельефы посещенных им стран, древнейшие памятники, исторические персонажи, современные политические деятели. Во время посещения древнейших городов Азии, Портер перерисовал клинописные надписи и рельефные изображения со стен храмов.

Роберт Кер Портер путешествие по Ирану совершил проездом через Грузию. Сведения английского художника о ней собраны им в первом томе сочинений. Согласно этим сведениям он въехал в Грузию через Дарьяльское ущелье.

Он был восхищён при виде Кавкасиони: «...никаким пером невозможно описать то чувство, которое овладело мной при виде Кавказа. Мне приходилось видеть почти все высокие, ненаселённые горы Португалии и Испании, однако при виде ни одной из них такое чувство прекрасного и величественного, пространства и бесконечности не владело мной. Кавказ как будто есть бастион между европейскими и азиатскими нациями».

Путешественник границей между европейской и азиатской частями России считал реку Терги (Терек): *»Река Терек отделяет европейскую часть России от её азиатской части. Эта река берёт своё начало с Кавказских гор, неподалёку от Коби«*. Упоминание Портером словосочетания «азиатская часть России» отнюдь не является случайным. Не только он, но и другие путешественники того же столетия, посетившие Грузию пользовались термином «азиатская Россия». К примеру, австрийская путешественница Ида Пфайффер такие страны Кавказа как Армения и Грузия считала частью «азиатской России».

По сведениям Кера Портера ущелье Терека представляло собой своего рода ворота, благодаря которым население Северного Кавказа общалось с народами, жившими на Южном Кавказе. *«Долина по которому течёт Терек в старину была известна под названием «porta kaukasia» - «ворота Кавказа», потому что представляла большие ворота, способствующие общению между различными народами, населявшими Кавказские горы. Екатерина была первой европейской правительницей, армия которой смогла с севера проникнуть в эти ворота. Часть русской армии под командованием Тотлебена именно отсюда провела дорогу в Грузию. Всё это определило желание императрицы обустроить дорогу от ущелья до Тбилиси. Однако этому*

ტორიკოსი და გეოგრაფი, წარმოშობით პონტოელი წარ-
ჩინებული ბერძენი. სტრაბონს ბევრი უმოგზაურია, ვარა-
უდოდენ, რომ იგი კოლხეთშიც ყოფილა.

11. **თერგის ხეობა** – აქ იგულისხმება დარიალის ხეობა,
რომელიც იწყება მდინარე ჩხერის შესართავთან და
მთავრდება ზემო ლარსთან. დარიალის ხეობაზე გადის
საქართველოს სამხედრო გზა. სახელწოდება დარიალი
წარმოდგება სპარსული „დარი ალანისაგან“ (ალანთა კა-
რი). ხეობა ცნობილი იყო ჯერ კიდევ ანტიკური ხანის
გეოგრაფებისათვის: პლინიუსი მას იხსენიებს როგორც
Porta Caucasicae (კავკასიის კარი) და Porta Hiberiae (იბერთა
კარი), პტოლემეოსი - Sarmatikai Pulai (სარმატების კარი),
არაბები და სპარსელები - dar-i-alan (ალანთა კარი). ძველ
ქართულ წყაროებში იგი იხსენიება როგორც დარიალანი,
დარიელა, არაგვის კარი, იბერიის კარი, კავკასიის კარი,
სარმატიის კარი, ოვსთა კარი და სხვა.

12. **დერბენტი** – (ძვ. ქართ. დარუბანდი) - ქალაქი და-
ღესტანში, კასპიის ზღვის დასავლეთ სანაპიროზე.

13. **კუმანია** - კუმანებს (კომანებს) ბიზანტიური და ევ-
როპული წყაროები ყივჩაღებს უწოდებდნენ, ხოლო
კომანიას - მათ ქვეყანას. (იხ: გ. ალასანია, ყივჩაღები
საქართველოში, ვალერიან გაბაშვილის 90 წლისთავი-
სადმი მიძღვნილი საიუბილეო კრებული, თბ., 2003, გვ. 36-
37).

14. **ლეონ I** – ლეონ I თრაკიელი (401-474) — აღმოსავ-
ლეთ რომის იმპერატორი 457-474 წლებში.

15. **იუსტინიანე** – იუსტინიანე I - ბიზანტიის იმპერატორი 527–565 წლებში, დიდი სახელმწიფო მოღვაწე, რეფორმატორი და თეოლოგი.

16. **კავადი** – *კავად I* (დაბადების წელი უცნობია – 531) – სასანიანთა სახელმწიფოს მეფე 488-496 და 499-531 წლებში.

17. **პროფესორი რენიგსი** - პორტერი გულისხმობს გერმანელ ექიმსა და მოგაზაურს იაკობ რაინეგსს, რომელიც 1779-1783 წლებში იმყოფებოდა ერეკლე II-ის კარზე რუსეთის საიმპერატორო კარის საიდუმლო დავალებებს ასრულებდა. მისი აგენტურული საქმიანობა ქართლ-კახეთის სამეფო კარს შეუმჩნეველი არ დარჩა, რის შემდეგ იძულებული გახდა საქართველო დაეტოვებინა. იაკობ რაინეგსმა XVIII საუკუნის II ნახევრის საქართველოს პოლიტიკური ეკონომიკური და კულტურული ცხოვრების შესახებ შესახებ ძვირფასი ცნობები დაგვიტოვა. იხ. იაკობ რაინეგსი, მოგზაურობა საქართველოში, გერმანულიდან თარგმნა, შესავალი და საძიებლები დაურთო ვია გელაშვილმა, თბ., 2002.

18. **სალვატორე როსა** (1615–1673) - იტალიელი მხატვარი, პოეტი, მუსიკოსი, მსახიობი.

19. **პაროტი** – შესაძლებელია აქ ავტორი გულისხმობს რუსული წარმოშობის გერმანელ ექიმსა და ნატურალისტს - იოჰან ფრიდრიხ პაროტს, რომელმაც 1829 წელს არარატის მთის მწვერვალამდე მიაღწია.

20. **ფუტი** – სიგრძის ინგლისური საზომი, უდრის 12 დუიმს (30,5 სმ-ს).

21. **სტეფანე პირველდიაკონი და პირველმოწამე** — წმიდა მოციქული, პირველმოწამე და მთავარდიაკონი, რომელმაც ქრისტესთვის სიცოცხლე გაწირა. მისი წამების დეტალები მოყვანილია ახალი აღთქმის ფურცლებზე.

22. გარდაცვლილ ყაზბეგში მოგზაური უნდა გულისხმობდეს გაბრიელ ყაზბეგს. აღსანიშნავია, რომ XVIII საუ-

კუნეში გაბრიელის მამა ყაზიბეგი სტეფანწმინდის მოურავი იყო, გაბრიელმა თავისი მამის სახელი გვარად დაამტკიცა და სწორედ სწორედ აქედან იწყება ყაზბეგთა საგვარეულო. გაბრიელ ყაზბეგი ძალზე იყო დაახლოებული ერეკლე II-სთან. საქართველოს რუსეთთან შეერთების შემდეგ გაბრიელი რუსეთის ხელისუფლების სამსახურში ჩადგა. გაწეული დვაწლისათვის მას გენერალ-მაიორის სამხედრო წოდება ჰქონდა ბოძებული. გაბრიელის შვილებიდან ცნობილი არიან მიხეილი (ალექსანდრე ყაზბეგის მამა) და ნიკოლოზი (მამა გენერალ-ლეიტენანტ გიორგი ნიკოლოზის ძე ყაზბეგისა). იხ. გ. ავალიანი, რუსი და ქართველი ხალხების საბრძოლო თანამეგობრობის ისტორიიდან, თბ., 1967, გვ. 183-184.

23. ქართული წყაროებით, ოსებში ქრისტიანობის სახელმწიფო რელიგიად გამოცხადება აფხაზთა მეფე გიორგი II-ს (922-977 წწ.) სახელს უკავშირდება. ვ. ითონიშვილი, ქართულ-ოსურ ურთიერთობათა ისტორიიდან, თბ., 1995. გვ. 11. ქრისტიანული სარწმუნოების გარდა ოსების ერთი ნაწილი ისლამს აღიარებდა. XIX საუკუნის II ნახევრამდე ოსების დიდი ნაწილი კერპთაყვანისმცემლობას მისდევდა. ოსების რწმენის შესახებ XVIII-XIX საუკუნეებში იხ: აუგუსტ ჰაქსტჰაუზენი საქართველოს შესახებ, გერმანულიდან თარგმნა, შესავალი, კომენტარები, საძიებლები დაურთო გია გელაშვილმა, თბ., 2011, გვ. 166-168; Г. Сосиашвили, Из истории религиозной жизни осетин, Археология, этнология, фольклористика Кавказа, Тб., 2010, стр. 543; გ. სოსიაშვილი, გერმანელი მოგზაურები ოსების შესახებ, თბ., 2007, გვ. 34; ვახუშტი ბატონიშვილი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა. ქართლის ცხოვრება IV, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, თბ., 1973. გვ. 638; ზ. ანნაბაძე, თ. ბოცვაძე, გ. თოგოშვილი, მ. ცინცაძე. ჩრდილო კავკასიის

ხალხთა ისტორიის ნარკვევები, ნაკვ. I, თბ., 1969, გვ. 237. ხ. ქოქრაშვილი. რუსეთის რელიგიური პოლიტიკა საქართველოში (XIX ს-ის I ნახევარი), წიგნში: რუსული კოლონიალიზმი საქართველოში, თბ., 2008, გვ. 49. ედუარდ აიხვალდი საქართველოს შესახებ, გერმანულიდან თარგმნა, შესავალი და საძიებლები დაურთო გია გელაშვილმა, თბ., 2005, გვ. 150.

24. **ინჩი** – დუიმი, ინგლისური სიგრძის საზომი ერთეული, უდრის 25,4 მმ-ს.

25. **სისხლის აღების წესი მთიელებში** – სისხლის აღება მთის მოსახლეობაში ფართოდ იყო გავრცელებული. სისხლის გადაუხდელობა ჩრდილო-კავკასიელ მთიელთა დიდ ნაწილში (ადიღეში, ჩერქეზეთში, დაღესტანში, ხუნძეთში, დარგოელებში, ლაკებში, ჩეჩენ-ინგუშეთში, კუმიკებში, ოსებში და სხვ.) დიდ სირცხვილად ითვლებოდა, რადგან მიაჩნდათ, რომ მათი მიცვალებული საიქიოში იტანჯებოდა, სანამ „სისხლი – სისხლის წილ“ არ მიუვიდოდა. „მესისხლე“ აქ შეიძლება ყოფილიყო არა მარტო ცალკეული ოჯახი, ან თოხუმი, არამედ მთლიანი სოფელიც კი. სისხლის დადება მრავალი მიზეზით შეიძლებოდა: ოჯახის, ან ნათესავის შეურაცხყოფა, ქალის მოტაცება, მიწაზე, ან ნადავლზე დავა, სტუმრის შეურაცხყოფა და სხვა.

სისხლის აღების ტრადიცია ჩრდილო-კავკასიასა და საქართველოს მთიანეთში გავრცელებული და ერთნაირი წესი იყო, თუმცა ცალკეული დეტალები მაინც განსხვავდებოდა. რ. თოფჩიშვილი, კავკასიის ხალხთა ეთნოგრაფია, ეთნიკური ისტორია, ეთნიკური კულტურა, თბ., 2007, გვ. 129. მ. ალბუთაშვილი, პანკისის ხეობა, ტექსტი გამოსაცემად მოამზადეს, შესავალი და შენიშვნები დაურთეს პროფესორებმა გიორგი და ნიკო ჯავახიშვილებმა, თბ., 2005; Б. Калоев, Агули, в кн. Кавказский этнографический сборник, т. III, отв. ред. Л. Лавров, Москва-Ленинград 1962,

გვ. 100; Н. Дубровин. История войны и владения русских на Кавказ, т. I, книга I, СПб 1871, გვ. 359; გ. სოსიაშვილი. ნარკვევები შიდა ქართლის ისტორიიდან, თბ., 2011, გვ. 22-28.; ი. ალიმბარაშვილი, საქართველო-კავკასიის ქვეყნების ურთიერთობის ისტორიიდან, თბ., 2014, 230-238; ასევე: საქართველოს მთიანეთისა და ჩრდილო კავკასიის ხალხთა ზოგიერთი ადათისა და ტრადიციის შესახებ, გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის ისტორიისა და არქეოლოგიის ცენტრის შრომათა კრებული №8, თბ., 2015, გვ. 198-211.

26. **მუშეკტი** – ძველებური პატრუქიანი მსხვილკალიბრიანი თოფი.

27. სამხრეთ კავკასიაში გავლენის გავრცელების შემდეგ ოტომანთა იმპერიის მესვეურნი ცდილობდნენ ჩრდილოეთ კავკასიაში გაბატონებასაც. სწორედ ამის შედეგი იყო სახანოების ჩამოყალიბება და ისლამის გავრცელება.

28. **კუმლის ციხე** – *ქუმლის ციხე* მდებარეობს ყაზბეგის რაიონში.

29. **გოგი და მაგოგი** – იოქმის ყოვლისშემძლე ან შიშისმომგვრელ, თავზარდამცემ არსებაზე (ბიბლიაში მოხსენებული მძვინვარე მეფის - გოგის და მისი ხალხის - მაგოგის სახელის მიხედვით).

30. **გუდ გორა** – უნდა იყოს გუდაური.

31. **მილი** – (ინგლ. mile) - სიგრძის საზომი ერთეული, რომელსაც ახლა უმთავრესად საზღვაო საქმეში იყენებენ. საერთაშორისო საზღვაო მილი უდრის 1,85 კმ-ს.

32. **კაშოურის საგუშაგო** - უნდა იგულისხმებოდეს კაიშაურის საგუშაგო.

33. **ჰენრი V ლანკასტერი**, ინგლისის მეფე 1413-1422 წლებში. მან განაახლა ასწლიანი ომი საფრანგეთთან 1415 წელს. აზენკურის ბრძოლის გმირი.

34. **კარტელანი** – იგულისხმება ქართლი.

35. უნდა იგულისხმებოდეს **ბაზალეთის ტბა**, რომელიც მდებარეობს ქალაქ ღუშეთის სამხრეთით 5 კმ-ზე.

36. **არტისკალა** – ვფიქრობთ, იგულისხმება ღართის-კარი.

37. **ჰარმასტი** – აქ პორტერი უნდა გულისხმობდეს არ-მაზციხეს, ძველი მცხეთის შიდაციხეს მტკვრის მარჯვენა ნაპირზე, ქალაქის სამხრეთ ნაწილში. არმაზციხეს პლინიუსი Harmastus-ის სახელწოდებით მოიხსენიებს.

38. **მდ. ნეორი** – პორტერის მიერ დამოწმებულ პლინიუსის „ნეორში“ შესაძლოა იგულისხმებოდეს მდ. არაგვი. ანტიკური პერიოდის ბერძნულ წყაროებში (დიონ კასიოსი) არაგვი იხსენიება „პელორის“ სახელწოდებით. იხ. საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. I, თბ., 1970, გვ. 504.

39. **კური** – მდინარე მტკვარი.

40. **წმინდა ნუნია** – იგულისხმება საქართველოში ქრისტიანული სარწმუნოების მქადაგებელი კაბადოკიელი ქალწული წმინდა ნინო.

41. **ჰერაკლიუსი** – ავტორი უნდა გულისხმობდეს ქართლ-კახეთის მეფეს - ერეკლე II-ს. (1720-1798).

42. **პლუტარქე** – (დაახ. 46/50–125-127) — ბერძენი ისტორიკოსი, ბიოგრაფი და ესეისტი. მისი რამდენიმე მნიშვნელოვანი ლიტერატურული მემკვიდრეობა მოღწეულია ჩვენამდე. ყველაზე ცნობილია პლუტარქეს ნაწარმოები „პარადელური ბიოგრაფიები“.

43. **ტიგრანი** – ტიგრან II დიდი — სომხეთის მეფე ძვ. წ. 95-55 წლებში.

44. **პომპეუსი** – გნეუს პომპეუს მაგნუსი (ძვ. წ. 106-48), რომაელი მხედართმთავარი და პოლიტიკური მოღვაწე, მდიდარი და გავლენიანი პატრიუციუსი.

45. **აფრანიუსი** – აქ უნდა იგულისხმებოდეს ლუციუს აფრანიუსსი (გარდ. 46 წ. წ.-აღ-მდე) – რომის რესპუბლიკის კონსული, გამოჩენილი პომპეუსელი.

46. **მითრიდატე** – აქ იგულისხმება მითრიდატე VI ევპატორი, პონტოს მეფე (ძვ. წ. 120-63). მოელი ცხოვრება ებრძოდა რომაელებს, მაგრამ დამარცხდა და ყველასაგან მიტოვებულმა, ცხოვრება თვითმკვლელობით დაასრულა.

47. **სატურნალია** – ძველ რომში სახალხო ზეიმი, დღესასწაული, რომელიც ნაყოფიერების ღმერთის - სატურნის პატივსაცემად მინდვრის სამუშაოების დამთავრების შემდეგ ეწეობოდა.

48. **კიროსი** – მდინარე მტკვარი (თურქ. „Kura“)

49. **დანგილე** – არ იძებნება.

50. **ქალაქი ტუმარა** – არ იძებნება. სავარაუდოა იგი მდებარეობდა მდ. არაგვის ნაპირას ჰარმოზიკის მახლობლად.

51. **აკჰისკა** – ახალციხის თურქული სახელწოდება.

52. **პროვინცია მაგანი** – ვფიქრობთ, პორტერ გულისხმობს მტკვარ-არაქსის სამხრეთით, თანამედროვე აზერბაიჯანის ტერიტორიაზე არსებულ მულანის ველს.

53. **ბაქტრია** – ბაქტრიანა, უძველესი ოლქი მდინარე ამუდარიის შუა და ზემო დინებაზე.

54. **მდ. ჯეჰონი** – მდინარე ამუდარიას არაბულად ჯეიჰონი ეწოდებოდა.

55. **ოქსუსი** – მდ. ამუდარიის სპარსული სახელწოდება.

56. **ეუქსინის პონტოს** – შავი ზღვის ძველი სახელწოდება.

57. **გიბონი** – ედუარდ გიბონი (1737-1794) ინგლისელი ისტორიკოს-განმანათლებელი.

58. **მდინარე საროპინა** – მკვლევართა ვარაუდით ბერძნული წყაროებში მოხსენიებული სარაპანისი დღევანდელ შორაპანს ეწოდებოდა. ბერძენი გეოგრაფის -

სტრაბონის (ძვ. წ. I - ახ. წ. I სს) მიხედვით: „მდ. ფაზისი, სანაოსნოა ვიდრე ციხე-სიმაგრე სარაპანისამდე“. გ. მედიქიშვილი, ისტორიული კოლხეთის მოსახლეობა ძვ. წ. II-I საუკუნეებში, საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. I, თბ., 1970, გვ. 476. „სარაპას“, იგივე სარაპანისის იხსენიებს VI საუკუნის ბიზანტიელი ისტორიკოსი მენანდრე პროტიქტორი. აკად. ს. ყაუხჩიშვილი ბიზანტიელ ავტორებთან მოხსენიებულ „სარაპანისს“ დღევანდელ შორაპანთან აიგივებს. ბიზანტიელი მწერლების ცნობები საქართველოს შესახებ, ბერძნული ტექსტი ქართული თარგმანითურთ გამოსცა და განმარტებები დაურთო ს. ყაუხჩიშვილმა, ტ. III, თბ., 1938, გვ. 223. პორტერის მიერ ნახსები მდ. საროპინა უნდა იყოს მდ. ყვირილა.

59. **თბილისში არსებულ ციხესიმაგრეში** ავტორი გულისხმობს ნარიყალას ციხეს. იხ. ქართლის ცხოვრების ტოპოარქეოლოგიური ლექსიკონი, თბ., 2013, გვ. 275.

60. **ტროფონიუსი** – ძველი ბერძნული მითოლოგიის პერსონაჟი, ხეროთმოძღვარი.

61. **ერმოლოგი** – ალექსი ერმოლოვი (1777-1861), რუსი სამხედრო და სახელმწიფო მოღვაწე, საქართველოს მთავარმართებელი 1816-1827 წლებში, ბოროდინოს ბრძოლის გმირი.

62. **ქალაქის დამაარსებელ მეფე ლივანგში**, მეფე ვახტანგ გორგასალი უნდა იგულისხმებოდეს, თუმცა, გაუგებარია, რა წყაროზე დაყრდნობით უთითებს პორტერი თბილისის დაარსების თარიღად 1063 წელს

63. **სავარაუდოდ**, პორტერი გულისხმობს მუსტაფა-ალა ფაშას ლაშქრობას. 1578 წლის ზაფხულში ოსმალებმა (24 აგვისტოს) დიდი წინააღმდეგობის გარეშე აიღეს თბილისი.

64. **ქან შარდენი** წერს: „მიუხედავად იმისა, რომ ეს ქალაქი მაჰმადიანთა სახელმწიფოს ეკუთვნის და, როგორც ამ ქალაქს, ისე მთელ მხარესაც მაჰმადიანი მეფე განაგებს, ტფილისში მეჩეთი სრულებით არ არის. სპარსები ბევრსა ცდილან, ბევრჯერ კიდევ დაუწყიათ მეჩეთის შენება, მაგრამ ვერ დაუსრულებიათ. ქრისტიანები მაშინვე იარაღს ხელში იღებდნენ, არეულობას ახდენდნენ, შენობას ანგრევდნენ და შეურაცხყოფას აყენებდნენ ამშენებლებს. საქართველოს მეფეებს გულში ძლიერ უხაროდათ ხალხის ამგვარი ამბოხება, თუმცა, თავს კი ისე აჩვენებდნენ, ვითომც არ მოსწონდათ ხალხის ასეთი საქციელი. მეფეები თუმცა ქრისტიანობას გადაუდგებოდნენ და მაჰმადიანობის გავრცელებას ეხმარებოდნენ, მაგრამ ამას მხოლოდ იმიტომ ჩადიოდნენ, რომ მეფობა მოეპოვებინათ, გული კი ისევ ქრისტიანებისაკენ ჰქონდათ“. **ქან შარდენი**. მოგზაურობა საქართველოში. თარგმნილი ფრანგულიდან ვასილ ბარნოვის მიერ, თბ., 1935, გვ. 93-94. იხ. აგრეთვე: **ქან შარდენის** მოგზაურობა სპარსეთსა და აღმოსავლეთის სხვა ქვეყნებში (ცნობები საქართველოს შესახებ). ფრანგულიდან თარგმნა, გამოკვლევა და კომენტარები დაურთო მზია მგალობლიშვილმა, თბ., 1975, გვ. 321-322.

65. თბილისში, როგორც ზემოთაც მივუთითებდით მართლმადიდებელი ტაძრების გარდა არსებობდა კათოლიკური და სომხური ეკლესიები, იხ. გვ. 31.

66. რუსეთ-სპარსეთის ომები – სავარაუდოდ, პორტერი გულისხმობს რუსეთ-ირანის 1796 წლის, 1804-1813 წლებისა და 1826-1828 წლების ომებს.

67. კახეთის აღბანეთად და კახელების აღბანელებად მოხსენიებას დიდი ხნის ტრადიცია ჰქონდა. XVI საუკუნის იტალიელი ისტორიკოსი პაოლო ჯოვინო კახელებს აღბანელებს უწოდებს. *Giovio P., La seconda parte dell' Historie del suo tempo, Firenze, 1553, p. 478.* დამოწმებულია:

მამისთვალისშვილი ე., საქართველოს საგარეო პოლიტიკა და დიპლომატია, I (XV-XVI სს.), თბ., 2009, გვ. 103.

68. **ესქილე** – (ძვ. წ. 525-ძვ. წ. 456), ძველი ბერძენი დრამატურგი, ევროპული ტრადიციის მამა.

69. **მოსხენიებულ ომებს პორტერი არ აკონკრეტებს, თუმცა ხაზს უსვამს ქართველების მონაწილეობას რუსეთის მხარეზე.** აღსანიშნავია, რომ XIX საუკუნის დასაწყისში რუსეთის საიმპერატორო კარის სამსახურში არაერთი ქართველი იდგა. 1812 წლის რუსეთის სამამულო ომში 72 ქართველი მონაწილეობდა, მათ შორის ცნობილი გენერლები: პეტრე და რომან ბაგრატიონები, ლევან და ვლადიმერ იაშვილები და სხვ. იხ. Н. Джавахишвили, Грузины под российским флагом, Тб., 2003, стр. 10.

70. იგულისხმება საქართველოს მთავარმართებელი **ერმოლოვი**. იხ. შენიშვნა 61.

71. **ანაპა** – ქალაქი რუსეთში, კრასნოდარის მხარეში, კლიმატური და ტალახის კურორტი. გაშენებულია შავი ზღვის სანაპიროზე. 1475 წელს დაიპყრეს თურქებმა, 1829 წელს შეუერთდა რუსეთს ადრიანოპოლის ხელშეკრულების საფუძველზე.

72. **მოსიანის გორები** – შესაძლოა, პორტერი გულისხმობს მესხეთის ქედს, ე. წ. მცირე კავკასიონზე.

73. **მოგანის ველი** - იხ. შენიშვნა 52.

74. **ჩილდირი** – ჩვენი აზრით, აქ იგულისხმება ჯავახეთის ზეგანის სამხრეთ და აღმოსავლეთ ნაწილზე ჩილდირის ახალგაზრდა ვულკანური ქედი.

75. **კისლარი** – ყიზლარი, ქალაქი ჩრდილო-აღმოსავლეთ კავკასიაში, დღევანდელ დაღესტანში.

76. იგულისხმება საქართველოს მთავარმართებელი **ერმოლოვი**. იხ. შენიშვნა 61.

77. **კოდი** – ეს უნდა იყოს ამჟამინდელი სოფელი კოდა თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტში, ქვემო ქართლის ვაკეზე, მარნეულიდან 12 კილომეტრში, მდინარე ალგეთის მარცხენა ნაპირას. კოდაზე გადიოდა თბილისიდან სამხრეთით მიმავალი საქარავნო გზა, ამ გზას იხსენებს XVIII საუკუნის ფრანგი მოგზაური ჟ. პ. ტურნეფორი (იხ: ჟ. პ. დე ტურნეფორი. მოგზაურობა აღმოსავლეთის ქვეყნებში, ფრანგულიდან თარგმნა, შესავალი და კომენტარები დაურთო მზია მგალობლიშვილმა, თბ., 1988, გვ. 19)

78. **ქულაგირი** – ჩვენი აზრით აქ იგულისხმება თბილისიდან სამხრეთ-დასავლეთით 45 კილომეტრში, მდ. ალგეთის მარცხენა მხარეს ახლანდელი ბოლნისის მუნიციპალიტეტში არსებული სოფ. ქოლაგირი. ქოლაგირში დარეჯან დედოფლის მიერ 1788–1798 წლებში აიგო ციხესიმაგრე.

79. **ტაბატე, ხრამის შენაკადი** – ვფიქრობთ, ეს უნდა იყოს მდ. დებედა, ლორე-ბამბაკის მთიანეთში.

80. **სომხითი** - ტერმინი „სომხითის“ ქვეშ იგულისხმება X ს-ის მეორე ნახევარში ქვემო ქართლის, კერძოდ, სამშვილდის საერისთავოს ტერიტორიაზე წარმოქმნილი ტაშირ-ძორაგეტის სამეფო. IX ს-ის ბოლოს ტაო-კლარჯეთის ბაგრატიონებს შორის (გვარამ მამფლისა და დავით კურაპალატს) შორის ატეხილი დაპირისპირებით ისარგებლა კვირიკიანთა სომხურმა საგვარეულომ და ეს ტერიტორიები დროებით დაიკავა. სომხურ წყაროებში ამ ტერიტორიებს „გუგარქი“, ანუ ქართველთა ველი ეწოდებოდა, ხოლო ქართულ წყაროებში „სომხითის“ სახელით დამკვიდრდა (მოიცავდა მდ. ფოლადაურის, შულავერის, ბანუშ-ჩაის ხეობებს და მდ. დებედას ქვემო წელს) (დაწვრ. აღნ. საკითხზე, იხ: ვახუშტი ბატონიშვილი. აღწერა სამეფოსა საქართველოსა, ქართლის ცხოვრება IV, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწე-

რის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, თბ., 1973, გვ. 50, 275, 311, 404, 708; ივ. ჯავახიშვილი. საქართველოს საზღვრები ისტორიულად და თანამედროვე თვალსაზრისით განხილული, თბ., 1919, გვ. 20-43; დავით მუსხელიშვილი. ქვემო ქართლის ისტორიულ-გეოგრაფიული ექსპედიციის საველე სამუშაოთა (1956-1958 წწ.) შედეგები, გვ. 168-186; ასევე: Некоторые вопросы истории Грузии в освещении армянской историографии, გვ. 115-124; კრებულში: დავით მუსხელიშვილი, სამეცნიერო სტატიები, წერილები და პუბლიცისტიკა, თბ., 2014; დევი ბერძენიშვილი. ნარკვევები საქართველოს ისტორიული გეოგრაფიიდან (ქვემო ქართლი), I, თბ., 1979, გვ. 3-103; ზაზა აბაშიძე, ვალერი ვაშაკიძე, ნათია მირიანაშვილი, გიორგი ჭეიშვილი. ყოველი საქართველო (ქართული სახელმწიფოს ისტორიული საზღვრები უძვ. დროიდან დღემდე), თბ., 2014, გვ. 16-17; 69-71; 82-87 და სხვ.

81. **ბამბეკი** – იგულისხმება ბამბაკი - მხარე ისტორიულ სამხრეთ საქართველოში. მოიცავდა მდინარე დებედის სათავეს მთიან ხეობას. იგი სტრაბონისეული გოგარენეს და სომხური წყაროების გუგარქის, ანუ ქვემო ქართლის უკიდურესი სამხრეთი თემი იყო.

82. **დერბიშაი** – საგრაფო ცენტრალურ ინგლისში.

83. **ლორი** – აქ უნდა იგულისხმებოდეს ლორეს მაზრა, ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეული რუსეთის იმპერიაში. შეიქმნა 1801 წელს. მაზრის ცენტრი თბილისი. 1802 წელს ქართლ-კახეთის მაზრებად დაყოფის საფუძველზე ლორის მაზრამ მოიცვა ქვემო ქართლის, შამშადილოს, ყაზახის, ბორჩალოსა და ბამბაკის ტერიტორიები.

84. **აკპეტის** მონასტერი – ახპატის მონასტერი.

85. **დომინიკანები** – კათოლიკე ბერ-მონაზონთა ორდენი, რომელიც შეიქმნა მე-13 საუკ.-ში (ერესის დასაბრუნავად). არსებობს დღესაც.

86. **სენარის მონასტერი** – სანაინის მონასტერი. ვახუშტი ბატონიშვილის ცნობით, ახპატისა და სანაინის მონასტრები ქართველ მეფეთა მიერაა აშენებული: „არს ახპატი და სანაინი მეფეთა ქართველთათა აღშენებული, ეკკლესიანი გუმბათიანნი, კეთილნაშენნი, საეპისკოპოზო“. ვახუშტი ბატონიშვილი. აღწერა სამეფოსა საქართველოსა, ქართლის ცხოვრება IV, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, თბ., 1973, გვ. 308. განსაკუთრებით მფარველობდა ამ მონასტრებს დავით აღმაშენებელი. ახპატის 1121 წლის წარწერაში დავით IV „თვითმპყრობელ მეფედ, სხვადასხვა გვართა და ნათესავთა მფლობელად, ჰაღპატსა და სანაინზე მზრუნველად“, იხსენიება, „რომელმაც ჰაღპატი აოხრების სიბნელისაგან გაათავისუფლა“. ბერძენიშვილი დ. ნარკვევები საქართველოს ისტორიული გეოგრაფიიდან (ქვემო ქართლი), I, თბ., 1979, გვ. 77.

XVIII საუკუნეში ახპატის მონასტერი ჯერ კიდევ ქართლ-კახეთის მეფის დაქვემდებარებაში შედიოდა. როგორც ვახუშტი ბატონიშვილი გადმოგვცემს, „გარნა აწე სხედან სომეხნი, არამედ მეფე ქართლისა დასუამს ეპისკოპოზთა მიწვრითა ოქივატერიანთა (სულიერი მამა), ვინადგან რავდენნი სომეხნი ქართლს მსახლობელნი არიან, სამწყსოსი მისნი არიან“. ვახუშტი ბატონიშვილი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, გვ. 308.

ქართველი მეფის იურისდიქცია ახპატში XIX საუკუნის დასაწყისამდე ვრცელდებოდა. ახპატის მონასტერში არაერთი ქართული წარწერა იყო შესრულებული იხ: Джанашия С., Об одном примере искажения исторической правды (по поводу книги Н. Токарского «Архитектура

древней Армении», в. сб. Некоторые вопросы истории Грузии в армянской историографии, Тб., 2009, с. 54.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. აბაშიძე ზ., ვაშაკიძე ვ., მირიანაშვილი ნ., ჭეიშვილი გ., ყოველი საქართველო (ქართული სახელმწიფოს ისტორიული საზღვრები უძვ. დროიდან დღემდე), თბ., 2014.
2. ავალიანი გ., რუსი და ქართველი ხალხების საბრძოლო თანამეგობრობის ისტორიიდან, თბ., 1967.
3. აღასანია გ., ყივჩაღები საქართველოში, ვალერიან გაბაშვილის 90 წლისთავისადმი მიძღვნილი საიუბილეო კრებული, თბ., 2003.
4. აღბუთაშვილი მ., პანკისის ხეობა, ტექსტი გამოსაცემად მოამზადეს, შესავალი და შენიშვნები დაურთეს პროფესორებმა გიორგი და ნიკო ჯავახიშვილებმა, თბ., 2005.
5. აღიმბარაშვილი ი., საქართველო-კავკასიის ქვეყნების ურთიერთობის ისტორიიდან, თბ., 2014.
6. აღიმბარაშვილი ი., საქართველოს მთიანეთისა და ჩრდილო კავკასიის ხალხთა ზოგიერთი ადათისა და ტრადიციის შესახებ, გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის ისტორიისა და არქეოლოგიის ცენტრის შრომათა კრებული №8, თბ., 2015.
7. ანჩაბაძე ზ., ბოცვაძე თ., თოგოშვილი გ., ცინცაძე მ., ჩრდილო კავკასიის ხალხთა ისტორიის ნარკვევები, ნაკვ. I, თბ., 1969.
8. აუგუსტ ჰაქსტჰაუზენი, საქართველოს შესახებ, გერმანულიდან თარგმნა, შესავალი, კომენტარები, საძიებლები დაურთო გია გელაშვილმა, თბ., 2011.
9. ბატონიშვილი ვახუშტი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, ქართლის ცხოვრება IV, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, თბ., 1973.

10. ბერძენიშვილი დ., ნარკვევები საქართველოს ისტორიული გეოგრაფიიდან (ქვემო ქართლი), I, თბ., 1979.

11. ბიზანტიელი მწერლების ცნობები საქართველოს შესახებ (გეორგიკა), ბერძნული ტექსტი ქართული თარგმანითურთ გამოსცა და განმარტებები დაურთო ს. ყაუხჩიშვილმა, ტ. III, თბ., 1938.

12. გელაშვილი გ., ინგლისელი მოგზაური რობერტ ლაიელი თბილისის შესახებ, კრებ: ახალი და უახლესი ისტორიის საკითხები, თბ., 2014.

13. გიულდენშტედტის მოგზაურობა საქართველოში. გერმანული ტექსტი ქართული თარგმანითურთ გამოსცა და გამოკვლევა დაურთო გ. გელაშვილმა, ტ. II, თბ., 1964.

14. დე გრაი დე ფუას ცნობები საქართველოს შესახებ, ფრანგულიდან თარგმნა, შესავალი, შენიშვნები და საძიებლები დაურთო ჯუმბერ ოდიშელმა, თბ., 1985.

15. ედუარდ აიხვალდი საქართველოს შესახებ, გერმანულიდან თარგმნა, შესავალი და საძიებლები დაურთო გია გელაშვილმა, თბ., 2005.

16. თბილისის ისტორია, ტ. I, თბ., 1990.

17. თოფჩიშვილი რ., კავკასიის ხალხთა ეთნოგრაფია, ეთნიკური ისტორია, ეთნიკური კულტურა, თბ., 2007.

18. იდა პფაიფერის მოგზაურობა კავკასიაში, ქართული თარგმანი გერმანულ ტექსტთან ერთად გამოსცა, შესავალი, შენიშვნები და საძიებლები დაურთო პროფ. გიორგი სოსიაშვილმა, თბ., 2013.

19. ითონიშვილი ვ., ქართულ-ოსურ ურთიერთობათა ისტორიიდან, თბ., 1995.

20. ლომოური ნ., კლავდიოს პტოლემეაიოსი, „გეოგრაფიული სახელმძღვანელო“, ცნობები საქართველოს შესახებ, მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის, ნაკვ. 32, თბ., 1955.

21. მაკალათია ს., თუშეთი ტფ., 1933.

22. მაკალათია ს., ფშავი, ტფ., 1934.
23. მამისთვალისშვილი ე., გორის ისტორია, I (1801 წლამდე), თბ., 1994.
24. მამისთვალისშვილი ე., საქართველოს საგარეო პოლიტიკა და დიპლომატია, I (XV-XVI სს.), თბ., 2009.
25. მამისთვალისშვილი ე., ქრისტეს კვართის ისტორია, გორი, 2003.
26. მაჩაბელი კ., ქართული ისტორიული კოსტიუმი, V-X სს. თბ., 2013.
27. მაჭარაძე ვ., მასალები XVIII საუკუნის მეორე ნახევრის რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის ისტორიისათვის, ნაწილი III, რუსეთ-თურქეთის ომი 1768-1774 წლებში და საქართველო. თბ., 1988.
28. მუსხელიშვილი დ., ქვემო ქართლის ისტორიულ-გეოგრაფიული ექსპედიციის საველე სამუშაოთა (1956-1958 წწ.) შედეგები, *კრებულში: დავით მუსხელიშვილი, სამეცნიერო სტატიები, წერილები და პუბლიცისტიკა, თბ., 2014.*
29. ჟან შარდენის მოგზაურობა სპარსეთსა და აღმოსავლეთის სხვა ქვეყნებში (ცნობები საქართველოს შესახებ). ფრანგულიდან თარგმნა, გამოკვლევა და კომენტარები დაურთო მზია მგალობლისშვილმა, თბ., 1975.
30. რაინესი ი., მოგზაურობა საქართველოში, გერმანულიდან თარგმნა, შესავალი და საძიებლები დაურთო გია გელაშვილმა, თბ., 2002.
31. საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. I, თბ., 1970.
32. სოსიაშვილი გ., გერმანელი მოგზაურები ოსების შესახებ, თბ., 2007.
33. სოსიაშვილი გ., მხატვარი, მოგზაური და დიპლომატი რობერტ კერ პორტერი საქართველოში, კრებ. ქართული დიპლომატია, თბ., 2015.

34. სოსიაშვილი გ., ნარკვევები შიდა ქართლის ისტორიიდან, თბ., 2011.

35. სოსიაშვილი გ., რობერტ კერ პორტერის საქართველოში მოგზაურობის დღიური, როგორც საისტორიო წყარო, კრებ. „ქართული წყაროთმცოდნეობა“, თბ., 2015 (იბეჭდება).

36. სოსიაშვილი გ., რობერტ კერ პორტერის ცნობები ალექსანდრე ბატონიშვილის პოლიტიკური მოღვაწეობის შესახებ, კრებ. ქუთაისური საუბრები, ქუთაისი, 2013.

37. სოსიაშვილი გ., რობერტ კერ პორტერის ცნობები თბილისის შესახებ, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის მაცნე, ისტორიის, არქეოლოგიის, ხელოვნების სერია, თბ., 2015 (იბეჭდება).

38. ტურნეფორი ჟ. პ. დე, მოგზაურობა აღმოსავლეთის ქვეყნებში, ფრანგულიდან თარგმნა, შესავალი და კომენტარები დაურთო მზია მგალობლიშვილმა, თბ., 1988.

39. ქართლის ცხოვრების ტოპოარქეოლოგიური ლექსიკონი, თბ., 2013.

40. ქოქრაშვილი ხ., რუსეთის რელიგიური პოლიტიკა საქართველოში (XIX ს-ის I ნახევარი), წიგნში: რუსული კოლონიალიზმი საქართველოში, თბ., 2008.

41. შარდენი ჟ., მოგზაურობა საქართველოში. თარგმნილი ფრანგულიდან ვასილ ბარნოვის მიერ, თბ., 1935.

42. ცინცაძე ვ., თბილისი, თბ., 1958.

43. ციციშვილი მ., თბილისი ქართველი და უცხოელი მხატვრების შემოქმედებაში, თბ., 2004.

44. ჭოღოშვილი ნ., გერმანული მხატვრული ტრადიცია და საქართველო XIX საუკუნის დასაწყისიდან XX საუკუნის 40-იან წლებამდე, ხელოვნებათმცოდნეობის კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად წარმოდგენილი დისერტაცია, თბ., 2006.

45. ჯავახიშვილი ივ., საქართველოს საზღვრები ისტორიულად და თანამედროვე თვალსაზრისით განხილული, თბ., 1919.

46. A narrative of the campaign in Russia, during the year 1812. By Sir Robert Ker Porter, Baltimore, E. J. Coale, 1814.

47. A narrative of the campaign in Russia, during the year 1812. By Sir Robert Ker Porter. To which is added, A narrative of the events which followed Buonaparte's campaign in Russia, to the period of his dethronement. By William Dunlap, Hartford, Andrus and Starr, 1815.

48. Ancketil M.D.I. The Silver Palette, Lantern. 1978. July;

49. Armstrong W. M., The many-sided world of Sir Robert Ker Porter, The Historian, №25, Washington, 1962.

50. Barnett R. D., Sir Robert Ker Porter — Regency Artist and Traveller, Iran. 1972. Vol. 10.

51. Barnett R. D., Sir Robert Ker Porter, British Museum Society Bulletin, 7, June, 1971.

52. Comment B., The panorama, 1999.

53. Dupouy W., Sir Robert Ker Porter's Caracas Diary. 1825-1842, Caracas, 1969.

54. Giovio P., La seconda parte dell' Historie del suo tempo, Firenze, 1553.

55. Hutchison S. C., The Royal Academy Schools, 1768-1830, Walpole Society, №38, 1960-62.

56. Lister R., British Romantic art, 1973, №8-9.

57. Porter R. K., Letters from Portugal and Spain, written during the march of the British troops under Sir John Moore ... By an officer, London, Longman, Hurst, Rees, and Orme, 1809.

58. Porter R. K., Travelling sketches in Russia and Sweden. During the years 1805, 1806, 1807, 1808, Philadelphia: Published by Hopkins and Earle, 1809.

59. Porter R. K., Caracas diary, 1825-1842, Caracas, 1966.

60. Renne E., *British artists in Russia in the first half of the nineteenth century, British art treasures from Russian Imperial collections in the Hermitage*, Ed. by B.Allen and L.Dukelskaya. New Haven & London, 1996.

61. Seccombe T., Robert Ker Porter, *Dictionary of National Biography*. London, 1896, XLVI.

62. *Travels in Georgia, Persia, Armenia, ancient Babylonia, During the years 1817, 1818, 1819 and 1820*, By Sir Robert Ker Porter, Vol. I, London, 1821.

63. *Travels in Georgia, Persia, Armenia, ancient Babylonia, During the years 1817, 1818, 1819 and 1820*, By Sir Robert Ker Porter, Vol. II, London, 1822.

64. *Travels in Russia, the Krimea, the Caucasus, and Georgia by Robert Lyall*, vol. I, London, 1825.

65. Vasileva N.E. *About The History of Sir Robert Ker Porter's Album with his sketches of Achaemenid and Sassanian monuments*, *Achaeologische Mitteilungen aus Iran*. Berlin, 1994. Bd 27.

66. Архив кн. Воронцова, Т. 23, М., 1882.

67. Васильева Н.Е., *Альбом Р.Кер Портера с рисунками древнейших памятников скульптуры и архитектуры*, *Эрмитажные чтения 1986—1994 гг. памяти В.Г. Луконина*. СПб., 1995.

68. Васильева Н.Е., Роль А.Н. Оленина в определении научной цели экспедиции Р. Кер Портера в Иран, *Центральная Азия от Ахеменидов до Тимуридов: археология, история, этнология, культура*. СПб: 2005.

69. Губер К.П., *Три картины для Главного Адмиралтейства, Россия - Англия. Страницы диалога. Краткое содержание докладов V Царскосельской научной конференции*. СПб., 1999.

70. Джавахишвили Н., *Грузины под российским флагом*, Тб., 2003.

71. Джанашия С., *Об одном примере искажения исторической правды (по поводу книги Н. Токарского*

«Архитектура древней Армении»), в. сб. «Некоторые вопросы истории Грузии в армянской историографии», Тб., 2009.

72. Дубровин Н., История войны и владчества русских на Кавказ, т. I, книга I, СПб 1871.

73. Марина М., В старом, радушном дворянском гнезде на Арбате, Русская старина. 1909. Т. CXL.

74. Мუსხელიშვილი დ., Некоторые вопросы истории Грузии в освещении армянской историографии, კრებული: დავით მუსხელიშვილი, სამეცნიერო სტატიები, წერილები და პუბლიცისტიკა, თბ., 2014..

75. Ренне Е.П., Британские художники в России в первой половине XIX века, С берегов Темзы – на берега Невы. Шедевры из собрания британского искусства в Эрмитаже, Под ред. Б.Аллена и Л.Дукельской. СПб., 1997.

76. Ренне Е.П., Роберт Кер Портер в России, Труды Государственного Эрмитажа 25, 1985.

77. Ренне Е., Художник сэр Роберт Кер Портер в России, <http://www.nasledie-rus.ru/podshivka/6412.php>.

78. Сосиашвили Г., Из истории религиозной жизни осетин, Сбор. Археология, этнология, фольклористика Кавказа, Тб., 2010.

79. Цагарели А., Грамоты и др. исторические документы относящиеся по Грузии. Т. II. Вып. I. Груз. тексты с 1768-1801 гг. СПб., 1898.

80. <http://www.encyclopedia.com/article-1G2-2591307617/porter-anna-maria-17801832.html>

საძიებლები

ა) პირთა

- აბას მირზა (ირანის შაჰი) 12
აბაშიძე ზაზა 150
აბდულ ჰასან ხანი 11-13
აბიათარ მღვდელი 67
ავალიანი გიორგი 141
ალასანია გიული 139
ალბუთაშვილი მათე 142
ალექსანდრე ბატონიშვილი 14
ალექსანდრე I (რუსეთის იმპ.) 7, 1, 0, 18, 18, 138
ალიმბარაშვილი იოსებ 143
აიხვალდი ედუარდ 24, 28, 142
ანჩაბაძე ზურაბ 141
არუთინი (თბილისელი სომეხი) 29, 74
აფრანიუსი (პომპეუსის სარდალი) 69, 145
- ბაგრატონი პეტრე 7, 148
ბაგრატონი რომან 148
ბარკერი რობერტ 5
ბარნოვი ვასილ 147
ბატონიშვილი ვახუშტი 31, 79, 80, 141, 149, 151
ბერძენიშვილი დევი 150, 151
ბოლივარი სიმონ 20
- ბონაპარტი ნაპოლეონ 6, 8-10
ბოცვაძე თეიმურაზ 141
ბუნკინსონი რობერტ 3
- გაბაშვილი ვალერიან 139
გელაშვილი გია 24, 25, 28, 140-142
გეორგ IV (ინგლისის მეფე) 10
გვარამ მამფალი 149
გიბონი ედუარდ 73, 145
გიორგი II (აფხაზთა მეფე) 141
გიულდენშტედტი იოჰან 24, 32, 43
გოია ფრანსისკო 7
გრიბოედოვი ალ. 15
გუსტავ IV (შვედეთის მეფე) 9
- დავით აღმაშენებელი 151
დავით კურაპალატი 149
დანვილე 71
დარეჯან დედოფალი (ერეკლე II-ის მეუღლე) 149
დე გრაი დე ფუა 138
დე კიკინი პიერ 20
დუბროვინი ნიკოლოზ 143

ჟაკტერინე II 23, 41, 137, 138

ერეკლე II 14, 63, 66, 85, 137,
140, 141, 144

ერმოლოვი ალ. 24, 28-30, 34,
74, 87, 99, 146, 148

ესქილე 83, 148

ვაშაკიძე ვალერი 150

ვახტანგ გორგასალი (მეფე
ლევანგი) 74, 146

ვენდრამინი ჯონ 6

ვესტი ბენჯამინ 5, 6

ვორონცოვი ს. 7

თამარ მეფე 50, 54

თოგოშვილი გიორგი 141

თოფჩიშვილი როლანდ 142

იაშვილი ვლადიმერ 148

იაშვილი ლევან 148

იოთნიშვილი ვახტანგ 141

იუსტინიანე I (ბიზანტიის
იმპ.) 45, 140

ქავადი (ირანის შაჰი) 45,
140

კალოევი ბ. 142

კანინგი ჯონ 19

კაპიტანი მონტეითი 74

კერ-პორტერი რობერტ 3-15,
18-30, 33-36, 96, 145-148

კერ-პორტერი უილიამ (იხ:
პორტერი უილიამ)

კლარკი ი. 13

კუტუხოვი მიხეილ 10

ლაეროვი ლ. 142

ლაიალი რობერტ 25, 26,
32

ლე ბრანი 36

ლეონ I 45, 139

ლომოური ნოდარ 139

მაკდონალდი ფლორა 4

მამისთვალისშვილი ელდერ
24, 27, 67, 148

მარია ფეოდორის ას.
(ალექსანდრე I-ის მეუღლე)
10

მაჩაბელი კ. 80

მგალობლისშვილი მზია 143

მელიქიშვილი გიორგი 146

მენანდრე 146

მეფე ლევანგ იხ: ვახტანგ
გორგასალი

მიოთრიდატე VI 69, 145

მიოიანაშვილი ნათია 150

მური თომას 6

მური ჯონ 9

მური ჰანა 5

მუსტაფა ლალა ფაშა 146

მუსხელიშვილი დავით 150

მშვიდლაძე მ. 138

ნაპოლეონ ბონაპარტი (იხ:

ბონაპარტი ნაპოლეონ)

ნიბუა 36

ნიკოლოზ I (რუსეთის იმპ.)
20

ნოე (ბიბლ.) 83

ნორკოტი ჯოზეფ 5

ოდიშელი ჯუმბერ 138

ოლენინი ალექსი 11-13, 18, 35

პაროტი იოჰან 140

პიშჩევიჩი ალ. 32

პლინიუსი 44, 45, 65, 71-73, 138, 139, 144

პლუტარქე 69, 144

პომპეუსი 69, 70, 144

პორტერი ანა-მარია 3, 5

პორტერი უილიამ 3, 20

პორტერი ჯეინ 3, 5, 7, 13, 20

პორტერი ჯონ 3

პრომეთე 38, 83

პტოლემეოსი (პტოლემეი) 45, 64, 65, 71, 72, 95, 96, 138, 139

პფაიფერი იდა 22, 23, 28, 39

რაინეგსი (რეინეგსი) იაკობ 46, 71, 85, 140,

რეინოლდსი ჯოშუა 5

რენე ედუარდ 11, 12

როსა სალვატორე 140

სოლომონ I (იმერეთის მეფე) 137

სოსიაშვილი გიორგი 14, 43, 141, 143

სტეინკირკი რეინოლდ 5

სტევანე მოციქული 140

სტრაბონი 45, 64, 72, 139, 146, 150

სუეოროვი ალ. 6, 7

სუხოტინი 137

ტიგრან II (სომხეთის მეფე) 69, 144

ტოტლებენი 23, 41, 137

ტროფონიუსი 74, 146

ტურნეფორი ჟან 149

უესტი ბენჯამენ 4

უოზლი გორ (ბრიტანეთის კონსული) 11

ფათჰ ალი ხანი (ირანის შაჰი) 14

ფლიქსმანი ჯონ 5

ქოქრაშვილი ხათუნა 142

ყაზბეგი ალექსანდრე 141

ყაზბეგი გაბრიელ 23, 49-52, 140, 141

ყაზბეგი გიორგი 141

ყაზბეგი მიხეილ 141

ყაზბეგი ნიკოლოზ 141

ყაუხჩიშვილი სიმონ 146, 150

შარდენი ჟან 36, 72, 74, 81,
101, 147

შერბატოვი თეოდორ 8, 9

შერბატოვი მარია 8, 9

ჩინაკოვი პ. 8

ცაგარელი ანტონ 138

ცინცაძე მ. 141

ციციანოვი პავლე 23, 41,
138

წმ. ნინო 25, 61, 66, 144

ჭეიშვილი გიორგი 150

ჭოლოშვილი ნ. 34

ჯავახიშვილი გიორგი 142

ჯავახიშვილი ივანე 150

ჯავახიშვილი ნიკო 142,
148

ჯოგოი პაოლო 147

შაქსტჰაუზენი აუგუსტ 141

ჰენრი V ლანკასტერი 59,
143

ბ) გეოგრაფიული

აგინკურტი 3, 6

ადილე 142

ადრიანოპოლი 96, 148

ავლაბარი 82

აზენკური 143

აზერბაიჯანი 145

აზიური რუსეთი 22, 23, 39

ალაზანი (მდ.) 17, 72

ალბანეთი 45, 64, 69, 70,
85, 147

ალგეთი (მდ.) 101, 149

ალექსანდრია 6

ალექსანდროფი 39

ალექსანდრია 138

ალპები 56

აკისკა (იხ: ახალციხე)

ამუდარია (მდ.) 145

ანანური 24, 25, 28, 59-62,
66

ანაპა 95, 148

არაგვი (მდ.) 55, 56, 58, 59,
65, 68-71, 144, 145

არარატის მთა 83, 97, 140

არაქსი (მდ.) 72, 96, 145

ართისკალა (იხ:

ღართისკარი)

აღმ. რომი 139

ახალციხე 72, 96, 145

არმაზი 65, 71, 144, 145

არტანისი 65, 71

აფრიკა 92

აწყური 137

ახაპტის მონასტერი 104,
144, 145

- ბაბილონი 35, 36
 ბაზალეთის ტბა 144
 ბათუმი 96
 ბამბაკი 150
 ბამბაკი (მდ.) 102, 104
 ბანუჩ-ჩაის ხეობა 149
 ბაღდადი 28
 ბაქტრია (ბაღხი) 73, 145
 ბახჩისარაი 26
 ბიზანტია 140
 ბოლნისი 149
 ბოროდინო 10, 146
 ბრისტოლი 3, 20
 ბრიტანეთი (იხ: დიდი ბრი-
 ტანეთი)
 ბორჩალო 150
 ბუხარა 17
- გეორგიევსკი 39
 გლაზგო 6
 გოგარენე 150
 გორი 24
 გუგარქი (ქართველთა ვე-
 ლი) 149, 150
 გუდაური (გუდგორა) 55,
 56, 143
- დარეში 3
 დარიალი (დერიალი) 43-46,
 138, 139
 დარიალის ხეობა 22, 23,
 44, 92
 დაღესტანი 139, 142, 148
- დეხედა (ტაბატე, მდ.) 101,
 102, 149, 150
 დერბენტი (დარუბანდი) 45,
 97, 139
 დერბენტის ხეობა 45, 97
 დერბიშაი 150
 დერბიშაის მთები 103
 დიდი ბრიტანეთი 7, 9, 11,
 12, 14, 15, 19, 20
 დონი (მდ.) 94
 დუბლინი 6, 37
 დუშეთი 25, 26, 62-64, 144
- ედინბურგი 3, 4, 6, 37
 ევფრატი (მდ.) 96
 ელბრუსი (იხ: იალბუზი)
 ელბრუსის ხეობა 83
 ერევანი 82
 ესპანეთი 9, 19, 38
 ეუქსინის პონტო (იხ: შავი
 ზღვა)
 ეშერი 3
- ვესტმინსტერნი 7
 ვენესუელა 19, 20
 ვილმეირი 9
 ვლადიკავკაზი 40, 41, 52
- თავრიზი 12, 14, 34, 97
 თბილისი 17, 23-26, 28-33, 39,
 42, 58, 62, 70, 72-76, 79-82,
 84, 93, 94, 97, 98, 100, 137,
 146, 147, 149, 150
 თეთრიწყალი (მდ.) 54

თეთრიწყარო 149
თეირანი 11, 14
თერგი (მდ.) 22, 29-41, 44,
45, 54, 92
თერგის ხეობა 23, 45, 38,
139
თურქეთი 72, 94, 96, 138
თურქმენეთი 17

იაღლეზი 38, 40, 46, 49, 83,
84, 95, 137
იაფე 7
იბერთა კარი 139
იბერია 45, 64-66, 69-71, 139
იკარუსი (მდ.) 73
იმერეთი 17, 64, 72, 95, 96,
137
ინგლისი 5, 9, 10, 14, 15, 18,
20, 37, 62, 143
ინდოეთი 12, 73
ირანი 11-15, 22, 34, 45, 147

კავკასია 17, 21, 29, 38, 39,
41, 45, 46, 52, 59, 72, 83, 91,
97, 99, 139, 142, 143, 148
კავკასიის კარი 139
კავკასიონის მთები 22, 24,
28, 38, 40, 68-70, 72, 74, 76,
84, 92, 94-96, 137
კაიშაურის საგუშაგო 58,
143
კარავასი 19, 20
კარლტონ ჰაუსი 10

კასპიის ზღვა 39, 69, 73,
94, 95, 139
კახეთი 83-85, 147
კემბრიჯი 5
კიროსი (მდ.) 69
კისლარი (იხ: ყიზლარი)
კობი 22, 39, 51, 54
კოდი (კოდა) 100, 149
კოლუმბია 20
კოლხეთი 64, 72, 95, 139,
146
კონსტანტინოპოლსკი 39
კორუნი 9
კრასნოდარის მხარე 148
კუმანია 45, 139
კუმლის ციხე 24, 55, 61,
143

ლარსი 42, 45
ლიეგერპუელი 6
ლონდონი 4-6, 37
ლორე 104, 150
ლორე-ბამბაკის მთიანეთი
149
ლორეს მაზრა 150

მაგანის პროვინცია 73, 96
მანი (კუნძ.) 3
მარნეული 149
მესხეთის ხედი 148
მოზდოკი 39
მოსიანის (მოხისის) მთები
95
მოსკოვი 10

მტკვარი (მდ.) 17, 65, 66,
68-73, 81, 82, 94, 97, 100, 101,
144, 145

მუდანის ველი 145, 148

მცირე აზია 97

მცირე კავკასიონი 148

მცხეთა 25, 27, 28, 65-67,
70-72, 97, 144

ნარიყალა 146

ნეორისი (მდ.) 65, 144

ოდესა 17

ონი 24

ოსმალეთი 96, 137

ოქსუსი (მდ.) 73

ოქსფორდი 14

პანკისის ხეობა 142

პეტერბურგი (იხ: სანკტ
პეტერბურგი)

პირენეის ნახ. კუნძული 9

პლიმუტი 6

პონტო 139, 145

პორტსმუტი 5

პორტუგალია 9, 38, 62

რიონი (მდ.) 17, 73

რედუტ-კალე (იხ: ყულევი)

რომი 5, 45, 145

რუსეთი 7-11, 15-20, 22-24,
28, 29, 33, 35, 39, 41, 82, 86,
87, 94, 96, 97, 99, 137, 138,
140-142, 147, 148, 150

სადახლო 102

სამშვილდის საერისთავო
149

სამხრ. ამერიკა 19, 20, 92

სამხრ. საქართველო 150

სამხრ. სპარსეთი 13

სანაინის (სენარის) მონას-
ტერი 104, 151

სანკტ პეტერბურგი 7, 8, 11,
18, 20, 29, 74, 97

სარაპანისი (იხ: შორაპანი)

სარმატია 45

სარმატიის მოეზი 64

საროპინა (იხ: შორაპანი)

საფრანგეთი 8, 143

საქართველო 17, 21-28, 30,
33-35, 41, 56, 59, 63-68, 71, 73,
74, 81, 85, 86, 94, 96, 99-101,
104, 137-142, 144, 146-148, 150

საქართველოს მთიანეთი 143
სევერნაია 38

სვეტიცხოველი 26, 27, 67

სომერსეტი 4

სომხეთი 22, 35, 64, 69, 70,
72, 101

სომხითი 149

სოღანლუდი 34, 97, 100

სპარსეთი 11, 12, 15-17, 29,
30, 33-35, 74, 75, 82, 97, 147

სტეფანწმინდა 49, 141

სურამი 28

სურეის საგრაფო 3

ტაგანროკი 17

ტაო-კლარჯეთი 149
ტაშირ-ძორაგეტის სამეფო 149
ტილზიტი 8
ტიფლისი (იხ. თბილისი)
ტულონი 7
ტუმარა 71
ტჩუსკარი 102

ფახისი (მდ.) 73, 146
ფასანაური 59
ფინეთი 8
ფოთი 137
ფოლადაური (მდ.) 149

ქარელი 28
ქართლი 32, 67, 96, 143, 149, 151
ქართლ-კახეთი 14, 140, 144, 150, 151
ქაშმირი 17
ქვემო ქართლი 149, 150
ქოლაგირი (კულაგირი) 101, 149
ქუთაისი 17
ქუმლის ციხე (იხ. კუმლის ციხე)
ქურთისტანი 37

ღართისკარი 65, 144

ყაბარდო-ბალყარეთი 137
ყაზახი 150

ყაზბეგი 23, 48, 49, 54, 83, 84, 92, 143
ყაზბეგის მთა 46, 49, 55, 95
ყარაჩაი-ჩერქეზეთი 137
ყვრილა (მდ.) 146
ყიზლარი 97, 148
ყულევი 17

შავი ზღვა 17, 49, 73, 94-96, 145, 148
შამშადილი 150
შვედეთი 8, 9
შიდა ქართლი 143
შირვანი 96
შოდერიჩი 5
შორაპანი 73, 145, 146
შულავერი 34, 101, 149

ჩერქეზეთი 142
ჩენეთ-ინგუშეთი 142
ჩენეთი 24
ჩილდირი 96, 148
ჩოლოქი (მდ.) 96
ჩრდილოკავკასია 23, 39, 49, 138, 141-143
ჩრდ. ამერიკა 92
ჩხერი (მდ.) 139

ცხინვალი

წმინდა ოსვალდი
წმ. ჯვრის მთა 56

ჭოროხი (მდ.) 96

ხრამი (მდ.) 189

ხუნძეთი 142

ჯავახეთის ზეგანი 148

ჯვრის მთა 5

ჰერმასტი (იხ: არმაზი)

ეთნიკური

აგსტრიელები 22, 28, 39

ალანები 139

ალბანელები 69, 87

არაბები 139

აფხაზები 141

ინგლისელები 11, 13, 14, 19,
22, 34, 59

ინდოელები 92

ირანელები (იხ:

სპარსელები)

იტალიელები 140, 147

ბერძნები 32, 83, 139, 144,
148

ბიზანტიელები 146

ბრიტანელები 3, 4, 8, 9, 11,
14, 17, 18, 24, 27

კაზაკები 59, 65, 92, 94, 101,
102

კოლხები 84

კუმიკები (იხ: ყივჩაღები)

გერმანელები 24, 28, 32, 43,
140, 141

ლათინები 32

ლაკები 142

ლეკები 33, 64, 65, 86, 99,
137

ღარგოელები 142

თათრები 32, 41

თრაკიელები 139

თურქები 32, 33, 74, 78, 81,
82, 86, 137, 148

ოსები 24, 43, 49, 50, 59,
141, 142

ოსმალები 146

იბერიელები (იხ: ქართველები)

პონტოელები 139

პრუსიელები 137

რომაელები 68-70, 144, 145

რუსები 8, 10, 16, 23, 24, 32,
42, 49, 52, 66, 74, 79, 83, 87,
92, 100, 137, 138, 143, 146

სარმატები 139

სკიოთები 72

სომხები 29, 32, 39, 74, 76,
81, 97, 104, 149, 151

სპარსელები 16, 33, 81, 86,
89, 139

ფრანგები 6, 149

ქართველები 16, 25, 26, 29,
31-33, 39, 49, 54, 59, 63, 66,
70, 71, 78-80, 85-88, 90, 91,
99, 138, 139, 148, 149, 151

ყაზარდოელები 39, 53

ყივჩაღები 139, 142

შოტლანდიელები 25, 26,
32

ჩერქეზები 39, 50, 90, 92

ჩენნები 40, 53

სარჩევი

მხატვარი, მოგზაური და დიპლომატი რობერტ კერ პორტერი	3
ზოგიერთი შენიშვნა პორტერის საქართველოში ჩანაწერების შესახებ	21
მოგზაურობა საქართველოში, სომხეთში, სპარსეთსა და ძველ ბაბილონში	35
რეზიუმე რუსულ ენაზე	106
რეზიუმე ინგლისურ ენაზე	128
შენიშვნები	137
გამოყენებული ლიტერატურა	153
საძიებლები	
ა) პირთა	160
ბ) გეოგრაფიული	163
გ) ეთნიკური	168